ჩვენი თაობა

2-3

თბილისი
1941

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

წელიწადი მერვე

საქართველოს სამჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 803

2-3

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
Акад. И. Джавахишвили

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1941 წელი. თებერვალი — მარტი.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
გიორგი ძიგვაშვილი—სიმღერა ამირანზე	9
კარლო კალაძე — კობასთან ერთად	11
ადამ ალვანელი—ღამე თეოზე	15
ვლადიმერ უბილავა—უკანასკნელი ღამე	17
კოტე ხიმშიაშვილი—ჯონქა ხორნაული (დასასრული)	18
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — სიმღერა ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებზე	39
ბონდო კეშელავა—ორი ლექსი	40
ანდრო ლომაძე — არხი	42
იოსებ მჭედლიშვილი—ოიანა-ბუიანა (პიესა)	46

კლასიკური მემკვიდრეობა

ბაირონი — ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა (თარგმანი ინგლისურიდან კ. ჭიჭინაძისა)	61
ბერნარდენ დე სენ პიერი—პოლი და ვირჟინი—თარგმანი ფრანგულიდან ირ. ქავჟარაძისა	66

კრიტიკა

გაბრიელ ჯაბუშანური — შენიშვნები ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე (წერილი პირველი)	73
ნიკო გვარაძე — ვასო აბაშიძე	86

ბიბლიოგრაფია

ვანო ხალიფაშვილი—გ. ჯაბუშანური—„არაგვიანი“	93
ალ. სიგუა — კ. გოგიავა — ვლადიმერ ნანეიშვილი	95

სარედაქციო კოლეგია: **ასტვაცატუროვი ერემია, ბენაშვილი დიმიტრი** (რედაქტორი), **გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სერგო, ქიაჩელი ლეო, შენგელაია დემნა, ჩიქოვანი სიმონ.**
რედაქციის მდივანი: **ნიკოლოზ აგიაშვილი**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-41 წ. უე 18551. ანაწყობის ზომა 7×12. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში = 51136. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 7,06. სტამბის შეკვეთის № 456. ტირაჟი 1350.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ვ. ი. ფანცხავა

ი. ბ. სტალინი

ლ. ვ. ბერია

გიორგი ძიგვაშვილი

სიმღერა ამირანზე

სადაც ნისლში მთები არ სჩანს,
ტყე არ სჩანს და ლურჯი მდელო, —
ამირანი მიეჯაჭვათ,
წამებული საქართველო...
გმირის ფიქრი ნისლი იყო,
ოხვრა — მეხი ნაჟღერები,
ამირანის სისხლი იყო
კავკასიის ჩანჩქერები;
ელვა ერქვა გმირის ღიმილს
და მიწისძვრა — ჟრუანტელსა...
მაგრამ ბოლოს რისხვით სავსემ
შვილებს ასე უანდერძა:
— „სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
ელვა კრთოდა ჩემი ხმლისა,
ვკვდები, მაგრამ ჯავრი მიმაქვს
ერთი დევის ვერაგისა,
მისი იყოს ჩემი ოქრო,
ვინც იმ ვერაგს დასცემს ძირსა,
მახარობლად ვინც მომივა —
ცოლიც, ხმალიც ალალ მისა!...“
... დრო არ იყო გათენების,
ოუმცა შეკრთა უკუნეთი,
მოდიოდნენ ქართველები,
ხმალს ლესდნენ და გუგუნებდნენ...
გუგუნებდნენ — დარდით მდიდრებს
რად გვინდაო ოქროს ქისა,
რად გვინდაო სხვისი ცოლი —
ჩვენიც მთებში გაიხიზნა!
კაცის გული განა მართლა
ზვირთი არის შავი ზღვისა?
ჩვენ ჩვენი ხმლით ბრძოლა გვინდა —
ჩრდილოეთიც ადგა მთელი,
მთის არწივი წამოფრინდა

და მგზნებარე კოლხიდელი...
და აჯანყდნენ... ბევრი ხანი
სისხლს იშრობდა ტყე და მდელო,
და დაიხსნეს ამირანი —
წამებული საქართველო...
დღეს კი, როცა ჩვენი მთებიც
ახალ მზის ქვეშ დადგნენ მტკიცედ —
ღღეს სამშობლოს ერთგულება
უკვდავ ფიცით შევიფიცეთ —
რომ იმ გმირის სასახელოდ,
ვინც მომავლის გახსნა გზანი —
მტერს არ მივცეთ საქართველო,
ბედნიერი ამირანი;
რომ ვადიდოთ, ვინც აანთო
შუქი ჩვენი ალამისა,
ვინც ნათლის გზა გახსნა ფართო
და მტარვალი დაამიწა,
ვინც კლდეს ახსნა ამირანი
და სიცოცხლის ძალა მისცა —
ჩვენი გული, ჩვენი ჯანი,
ჩვენი სისხლიც ალალ მისა!...

———

კარლო კალაძე

კობასთან ერთად

კარი მესამე *)

1.

სტუმრებივით ისხდნენ ჩუმად,
ეწეოდნენ ჩიბუხს მხოლოდ.
ეცვათ ირმის ტყავის ჯუბა
მოსირმული საუცხოოდ.
ეცვათ მხეცთა ბეწვეული,
მოეხარათ ფართო მხრები, —
და თავის ბედს თითეული
ჩასცქეროდა ჩაფიქრებით.
ისხდნენ ჩუმად. იქვე გვერდით
ხის უბრალო ტახტი სჩანდა
და ეკიდა კედელს ღვედით
სანადირო თოფი, ჩანთა.
იყო ბადეც კუთხის განზე,
გაფენილი, როგორც ფარდა, —
ხოლო მოგრძო მაგიდაზე
ხელნაწერი წიგნის გარდა
ათას წიგნს და ათას გაზეთს
უცხო მთები აღემართა...

2.

მათ გულისთქმა უხმოდ ხდიდა,
გულის პასუხს ანატრებდა,
და სანთურიც მაგიდიდან
იმედივით ანათებდა...
ასეთია ჩრდილოელის
გულითადი ჩვეულება,
ზის ტუნგუსი, ზის და გელის....
და არაფერს გეუბნება.
მცოდნე კაცთან იგი სტუმრად
მოკრძალებით მოვა ხოლმე,
სულს მოითქვამს თავისუფლად,
უყვარს ჩუმი სიახლოვე..

*) რომანი ლექსად. ნაწყვეტი.

შეჰყურებდნენ თვალში სტალინს,
ახლა მათებრ ჩაფიქრებულს, —
რას ეტყოდა ძილგამკრთალი
ხმაწართმეულ კაცთა კრებულს!
მისი ჩუმი სამართალი
გრიგალს ჰგავდა ჩასაფრებულს...

3.

აქ მრავალჯერ მსხდარან ასე
თითო სიტყვის მოსასმენად,
რომ მგზნებარედ მობაასემ
გადააწრთოს ფიქრი რწმენად!
დღეს კი თუმცა დაუღამდათ, —
სდუმდა მათი მეგობარი...
გულჩათხრობილთ სუნთქვას ჰგავდა
რომ გაიღო ქოხის კარი;
თქვეს: დავტოვოთ, მოვერიდოთ, —
აჭრიალდა ვიწრო კიბე,
და სტუმრები თითო-თითოდ
ოთახიდან გაიკრიფენ.
კობას არც კი გაუგია,
ვერ აართვა თვალი ბარათს, —
მარტოდმარტო და გულღიად
ზის ფიქრების ანაბარად,
მზერაც განგებ ჩაუქვრია
ბწუხარების დასაფარად...

4.

ჩრდილოეთით დაკარგული
დაშორებულთ წერილს სწერდა,
მაგრამ, უცებ დასწყდა გული,
უცებ ხელი შეუჩერდა.

ახლა ვინღა გაამხნეოს!
ციმბირელთა ბედი იცის,
ახლო არვინ მოსახლეობს,
არის კიდე დედამიწის....
ალბათ უმძიმთ გამკლავება
სადღაც ბნელში მფეთქავ სანთურთ!—
ანუ მიმქრალ ვარსკვლავებად
ცივს ქარბუქში მიმოფანტულთ...
ათას ცხრაას თექვსმეტ წელის
ჭირვეული ზამთარია.
კობა უკვე ნიშანს ელის,
სხვებიც ალბათ მზად არიან.
ვინ მიწვდება ენისეის
გაღმა სურენ სპანდარიანს.

5.

— ალბათ იწვის ღამის თევით,
იცის აქვე უნდა იყოს,
რომ ლენინის ბარათები
ჩემთან ერთად გადიკითხოს!
გუგა ცეცხლის კერას უგავს,
იწვის აგრე თვალხილული...
სულს იმედით შეისუნთქავს
სუსხით ფილტვებდაცხრილული,
ჩაეჭედოს ოღონდ მაჯას
მტკიცე ხელი სტალინისა, —
და ვერც ჯავრი ვერ დასტანჯავს
გულში ჩამკვდარ წადილისა!..
მაგრამ, კობას გადაჭრილი
გზადაკვალი აგონდება...
დაეფარა ბარათს ჩრდილი,
— რატომ არის, რატომ ხდება! —
იტყვის კობა ჯუღაშვილი
და ტყვესავით დაღონდება...

6.

— „კვლავ წასულან... მხოლოდ საით,
თოვლი საით გაიკვალა?!
ტუნგუსებიც აქ ჩვენსავით
უბინადროდ შთენილთ გვანან...
ჩვენ სამშობლო დაგვიკარგეს,
მათ სრულიად არ ჰქონიათ, —
მაგრამ ტუნგუსს, როგორც ქართველს
გულში ჭეჭკად ჩაჰყოლია, —
მახსოვს როგორ დამაძახეს
დილით ერთხელ: „ნათესავო!“
და ვაჟკაცი დამანახეს
გამოსული სათევზაოდ!...
მან ჩამკიდა ორთოლვით ხელი,
თავის ქოხში წამიყვანა,
თქვა: დამარქვეს კაცისმკვლელი,
მაგრამ მკვლელი მე ვარ განა!“
კობას დარჩა აუხსნელი
მაშინდელი გამოცანა.

7.

„ჰქონდა სახე სანთლისფერი,
მდუმარებდა სტუმარსავით,
მორეოდა შავი წვერი
წლიდანწლამდე უპარსავი.
ჩუმად იდგა „კაცისმკვლელი“,
გადაეჭდო მკლავი მკლავში.
წინ ფიქრივით უცოდველი
მშვიდად იწვა მისი ბავშვი.
ქართველ მამას არყის ხისგან
ყრმის აკვანიც გაეთალა, —
ცოლი იქვე უცხოდ იდგა
თმა-ქერა და ცისფერთვალა...
— აი, ჩემი სიყრმის შვილი! —
ამოკვნესით თქვა მან ბოლოს, —
— ასაფრენად ფრთებაშლილი
მტერმა უნდა დაიმონოს,
მშობლიური ნანა ტკბილი
ვერც დედისგან გაიგონოს....

8.

„უსამშობლოდ ვხედავ შთენილს,
და თავზარი დამცა ბრაზმა, —
თქვი, განწირულს ვინ უშველის,
საბრძოლველად ხალხს რომ რაზმავ...
ჩრდილოეთით ამტყდარ გრიგალს
არ შთაენთქა ჩემი ხვედრი, —
სატრფიალო გულის ფიქალს
თვითონ ხასჯლით არ გავკვეთდი!
ახლა კაცის მკვლელი მქვია,
ნახეთ ბედი გურამისა! —
გრიგალივით მომეხვია
ფიქრი განადგურებისა...
შვიდი წელი უხმოდ ვწუხდი,
მაინც დამრჩა ერთი რწმენა,
დამრჩა ერთად-ერთი წუთი,
ამოიდგას შვილმა ენა! —

თქვა და იქვე გახსნა ყუთი,
დედისგულიც გაიხსენა...

9.

„სჩანს, რომ დედას ამ ბარათით
დაულოცავს შვილისშვილი!
შორს მოსულა ამანათით
ჩურჩხელა და ხმელი ხილი...
თვალი ცრემლით გაუბრწყინდა
კობას, თითქო მოეჩვენა:
პაწაწინა ჭრელი წინდა
და წითელი „დედა-ენა“.
მან ხმამაღლა გადიკითხა,
წიგნის გული გადაშალა,
და გურამიც მტკიცედ იდგა,
თითქოს ანბანს ჰქონდა ძალა“.
უსამშობლოდ მარტო შთენილს
ხმა არ გასცა მაშინ კობამ...
დღეს კი ცრემლი წარუშლელი
მოაგონა მარტოობამ, —
თქვა, რომ ჯავრი არ უშველის,
მტერი უნდა დასცეს მტრობამ!...

10.

ტუჩებს ღიმილი ეფინათ,
კვლავ მორეოდათ ხალისი, —
ახსენდებოდა ზეპირად
სიყრმის ოცნება თავისი:
„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა,
ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო“.
დედის იმედო! — დასძინა,
ბრძოლაში დამიფარეო...

11.

ადგა და ფიქრი თან აჰყვა,
ხელთ ჩაიბღუჯა წერილი,
ლანდიც დასდევდა კვალდაკვალ
ჯავრივით შემოჩენილი,
ღამითაც მთელი ქვეყანა
სჩანდა ამ ნათელ სახლიდან, —
თოვლი ქარს ამოეყარა
და მაღალ სარკმელს ახლიდა...
ომის ხმა ამოიკითხა
სივრცეში, დაღამებისას, —
თითქოს თვითონაც იქ იდგა
სიკვდილს ხედავდა მეფისას!
მან მოაგონა ყმაწვილი
სამშობლო დაკარგულისა...
ორთავიანი არწივიც
ნიშანი წყევლა-კრულვისა. —
გულს რომ იკორტნის განწირვით
მწყურვალი ყრმათა გულისა...

12.

ამბობდა: „ომში ჩარევა
რამდენჯერ გვინატრიაო,
დროა მებრძოლმა ჯარებმა
კონდახი შეატრიალონ!
ულუკმაპუროდ შთენილნი
ველარ დამშვიდდენ ზავითაც!..
და მოწოდებას ლენინიც
უთუოდ გამოგზავნიდა..
გვკეტავს ციმბირის ზამთარი
ავი და ავდარიანი! —
ნეტავ სვერდლოვი სად არი,
სად არის სპანდარიანი!..
მრისხანედ წარბებდახრილი
სურენ ამ წუთებს ველოდით,
თოვლში მიჰქროდა მარხილი,
ქართულად მივიმღეროდით!
ქარიც შორს გადმოვარდნილი
გვისტვენდა ლერწმის ღეროთი...

13.

„ხელთა მაქვს ყველა ბარათი
შენკენ წამომსვლელთ ვეძებდი,
ვაჰ თუ ლოგინად ჩავარდნილს
ვერ მოგაწვდინო ვერცერთი!

ვერ გითხრა მეფის დამხობა,
ველარ აგინთო იმედი!..
ნეტავი შენთან მამყოფა,
ჩემს მკლავზე დაიძინებდი“..
დაჰქანცა თითქოს დგომამაც
და როგორც ბადე მეთევზემ
ერთის მოქნევით კობამაც
ჯუბა მოიგდო ბეჭებზე...
თან გული გაიხალისა, —
იფიქრა: ერთად ვიქნებით! —
რაზა რომ გახსნა კარისა,
შინ საიდუმლოს მიგნებით
ბრბო შემოიჭრა ქარისა
და გადაფურცლა წიგნები...

14.

შემოეგება ჯუღაშვილს
წინ ვიღაც მდგარი გვიანაც.
ხელი ჩასჭიდა ჯუბაში,
ღიმილით გაეხმიანა:
— ვიდექი ღამის უკუნში
გითვალთვალებდი კობასა, —
ერთი საბრალო ტუნგუსი
ვჩემობდი მეგობრობასა!..
— შენი ალალი თვალებით
ვხედავ ბნელშიაც კიაფობ, —
ისევ ნუ დაიმალები,
რა გსურს მკითხე და გიამბობ...
მომყე გავაწყოთ მარხილი,
ვაუკაცო, მაღალ მხრიანო, —
ჩვენი ხმის ამოძახილით
ხეობამ დაიხრიალოს, —
ტყე დარჩეს გზაზე წახრილი,
ძახილი დაიგვიანოს!..

15.

სამი დღე ასე ივლიან,
არ გამოჩნდება სოფელი, —
ღრუბლებად დაფლეთილია
ცა ვარსკვლავჩაუქრობელი!
ველარც ქარბუქი აბრკოლებთ,
სამი ფეხმარდი ირემი
გულდაგულ ებრძვის მთაგორებს
უკან რქებგადაყრილები!...
მარხილს მხნე ვინმე თუ უზის
მმართველი მათი სირბილის, —
ბნელს გაიგნებენ... ტუნგუსიც
მკვიდრი შვილია ციმბირის...
გზა ისე გადაიარა
წარბი არ გაუტიხრია, —
უგიათ მიწა კრიალა,
მდინარის მკერდზე მიჰქრიან,
ყინულ ქვეშ ტალღა კი არა,
მისი მღელვარე ფიქრია...

16.

მღელვარებს თვითონ სტალინიც,
ერთგულად მიეჩქარება,
გზა ყინულებში გავლილი
ვერ ჩაუკეტეს ქარებმა!
დახშულ ღამეებს ხალისით
გაივლის როგორც მაღაროს, —
რომ გამოცნობა თავისი
სნეულ მეგობარს ახაროს.
რომ მასთან ერთად იხილოს
სინათლე ბედნიერების, —
სიმღერა დაიღიღინოს
ბორკილაყრილი ერების!
გონების თვალით უყურებს
და ბრძოლა თვალწინ ჰგონია,
გრძნობს უკვე ხალხი გუგუნებს
ჯავრი ქვით ჩაუქოლია! —
გრძნობს გაჩაღებულ უკუნეთს
რამდენი მტერი ჰყოლია!..

ადამ ალვანელი

ღამე თეოზე

ნელა ირწევა შუაღამის გაშლილი კალთა,
თვალმოლივლივე ვარსკვლავები ზეცას ხატავენ.
მისდევს ხეობას ხუნძახისკენ გუგუნი ზვავთა,
ჯანღი კი თეთრად ეფინება ივრის სათავეს....

ეგ ლურჯი მთები ვინ დააწყო ნეტავი ასე,
ან ეგ ღრუბელი ფრთანაცარა სადამდე ივლის?..
ღამეა ყუჩი და ქარვებით დალურსმულ ცაზე
თეთრ ბილიკივით გაზიდულა ნაფრენი ირმის....

ცრიატ სივრცეში დათოვლილი ქედები სჩანან,
ჩაიბალახეს დეკიანი ლეგა ნისლებმა, —
რძენარევ ღამეს იდუმალად გავყურებ, თანაც
ასე მგონია — ჩანჩქერებით მკერდი ივსება...

გამიკრთა ძილი, თითქო მიწის სუნთქვაც კი მესმის,
ღია თვალები მივაგებო განთიადს იქნებ, —
აქვე — თეოზე ბალახებში ჩამჯდარი მწყემსიც
აედევნება ყმაწვილივით საკუთარ ფიქრებს...

ნაცრისფერადი ღამეები ასე გადიან,
გულს უხალისებს დოვლათი და იმედი ხვალის,
ზოგჯერ კაშკაშა ვარსკვლავების დათვლა სწადიან
და ნატრობს — არტელს ჰყოლოდაო მაგდენი ცხვარი...

ახარებს ნამით დაწინწკლული ფრთაცივი დილა,
უმზერს ვაჟკაცი ქარაფიდან აფრენილ არწივს,
ზოგჯერ ხსოვნაში ჩამოწვება ყორნისფერ ჩრდილად,
ყორნისფერ ჩრდილად გაეშლება წარსული თვალწინ...

ზოგჯერ კი უნდა ბალღი იყოს რძიანი, რადგან
ახლა მიწაზეც ვარსკვლავები ყრია გუნდებად, —
გაჰხედავს აქვე ბამბასავით დაფენილ ბატკანს
და გულში თითქო ათასი მზე ჩაუცურდება.

შეეჩვია და თვითეულის გუმანი იცის,
იცის, სად გდია ამ მხარეში კენჭი ყოველი,
და სურნელებას აყვავებულ ქართული მიწის
გულზე დაიბნევს უხუცესი სტახანოველი.

მოსკოვსაც იყო, მზიანი დღე ნახა რამდენი,
რამდენ სიხარულს დაეწია კიდევ მასუკან,
მისცეს ბარაქა, დაილოცა ძალა არტელის,
რომ ბერიკაცი ხელმეორედ გააჭაბუკა.

უნდა საფერხედ დარახტული ჰყავდეს ქურანი,
უნდა უმღეროს ჩვენი ქვეყნის შნოს და დიდებას,
მაგრამ იძალებს შუაღამის ტკბილი ბურანი,
ტკბილი ბურანი ხშირ წამწამებს დაეკიდება.

ზეცა კი ისევ ალივლივებს ოქროსფერ თვალებს,
ცრიატად სჩანან ხეობები კალთაგაშლილი,
ბორბალას წვერზე შემომჯდარი პირსავსე მთვარეც
ხევსურეთისკენ ჩაგორდება მწიფე ვაშლივით.

ვლადიმერ უბილავა

უკანასკნელი ღამე

ფიქრებში ხშირად
ისევ ადგება
ის ბრძოლის ღამე ჯერარნახული;
აი დაშლილი მტრების ბანდები,
მთები, მინდვრები
ტყვიით დახრული.
მოღალატენი გარბიან ზღვისკენ;
გზებს ტყვიაწამლის
ბურუსი აკრავს.
და განწირულნი დაბინდულ ცისქვეშ
ეძებენ ბედის ჩაფერფლილ ვარსკვლავს.
ზღვასაც არ სურდა
მიღება მათი
და თურმე თავი ვერ შეიმაგრა.
დაჰკრეს ტალღებმა
ვიში და ზათქი
და ხალხმაც ბრძოლის ყიჟინა დაჰკრა.
და გვიან, გემი
შესვრილი სისხლით,
ნაყაჩაღარი განძის დამტევი,
გადის,—
მიყვება მასების ზიზღი
და გავარდნილი ემიგრანტები.
ბნელოდა...
ჰქონდათ ალიონამდე
გმირებს და ხანჯლებს ბრძოლა შემდგომი;
დილით ლენინის
მზე ამოვიდა,
საქართველოში სჭექდა რევკომი.
ფიქრებში ხშირად ისევ ადგება
ის ბრძოლის ღამე
ჯერ არნახული;
მერე წამიღებს ფეთქვა ვარდების
და ჩემი ქვეყნის დიდი ზაფხული.

12 803

საქ. ს. ალიშაშვილის ხელოვნების ბიბლიოთეკა-მუზეუმი Библиотека-Музей имени

კოტე ხიმშიაშვილი

ჯონქა ხორნაული

(დასასრული)

IX

ჯონქა არც ისე გულუბრყვილო იყო, რომ არ შეემჩნია — ნინოს საკუთარი ძლიერი წყენა, დედის გულისტკივილი ალაპარაკებდა, მაგრამ მის მხურვალე აღსარებაში, თითქოს შვილის ბუდიდან გადაფრენამ, მარტოობის პირველმა წუთებმა რომ ათქმევინა, ბევრი რამ მხოლოდ ჯონქას გასაგონად ისმოდა.

ჯონქამ მადლობა იგრძნო აქამდე მისთვის სრულიად უცხო ქალისადმი და გაიფიქრა, რომ იშვიათად შეხვედრია ასეთ კეთილშობილ ადამიანს.

ნინო გულწრფელად ლაპარაკობდა, თავის ერთადერთ ქალიშვილს კი დედა უთუოდ სხვებზე უკეთესად უნდა იცნობდეს. მით უმეტეს ისეთი დედა, როგორიც ნინო ციხისელი იყო. ხორნაული გაჩერდა ფილაქანზე და სიბნელეში ხელები გაშალა — ნუ თუ თითონ სცდებოდა აქამდე?..

მას ისევ მოაგონდა წეღანდელი ფიქრი, აქეთ-მომავალი რომ უსიამოვნოდ გაჰკენწლა გულში — მანანასთან დაახლოვებამ მხოლოდ შფოთი მოუტანა, თავისთავთან ბრძოლა და დამცირება. თუ ნინო მართალია — ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჯონქას ერთ წუთს თვალწინ გაუარა მანანასთან დამეგობრების, პირველი ნაცნობობის ამბებმა, თითქო უნდოდა მეხსიერებაში მიეგნო დაკარგული ნივთისთვის, ბევრი სიარულის დროს რომ სადღაც დარჩენია. ზოგს ერთი შეხედვით შეიცნობ, განა საკმარისი არ იყო კიტი ნადირაშვილისათვის თვალი გაგედევნებია, სანამ იგი ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე მივიდოდა, რომ უკვე გცოდნოდა ყველაფერი? მანანას ძნელად გაუგებდი. ბევრ სტუდენტს, განსაკუთრებით პირველ წლებში, დამცინავ და ამაყ ქალად მიაჩნდა, რადგან მას შეეძლო გაჩუმებულიყო, როცა ყველა იცინოდა და პირიქით, მწვანე თვალები ხშირად დაცინვით უკრთოდნენ, როცა ძლიერ სერიოზულად ელაპარაკებოდი. მან უთუოდ კარგად იცოდა ვისთან როგორ უნდა მოქცეულიყო; მაგრამ ჯონქას ღრმად სწამდა — მანანა მაინც არაოდეს თამაშობდა, არ ცდილობდა თავი სხვაგვარად მოეჩვენა. ისე კი, ჯონქა ხომ მუდამ გრძნობდა იმ უხილავ კედელს, რომელიც დღეს თითქო ხილული გახადა ნინომ. მერე რა ვუყოთ, თუ მანანა ძლიერ ახლო ეგონა, როგორც პატარა მწყემსს ბინდისას სერზე ამოსული მთვარე.

ჯონქამ უნებურად გულჯიბისკენ წაიღო ხელი და თითის წვერებით ფრთხილად ამოიღო გამხმარი, სიფრიფანა ენძელა, მინაზე ყინვის ნახატივით უცნაური.

ეს ავგაროზი მთელი გაზაფხული ატარა მან. მარცხი მაინც ვერ აიცდინა.

თანაც თითქოს ძალა წაართვა ჯმუხ მთიელს იმ პატარა ყვავილმა, თავის ნებაზე დაატარებდა, ფიქრის მალვა და ჩუმი წუხილი ასწავლა, პირდაპირობა დაავიწყა. თავისთავს ვეღარ სცნობდა ჯონქა, თითონაც უკვირდა, რომ უწინდურად შეტევა, პირში თქმა აღარ შეეძლო. ითმენდა, ბევრს ითმენდა და ენაც კი შეეცვალა, მოკვეთილ, მთიულური სიტყვა-პასუხის მაგივრად თითქო დარცხვენილი, გაუბედავი ლაპარაკი დასჩემდა. თუმც წინად გრძნობდა, რომ სწორედ პირდაპირობისა და ხასიათის სიმტკიცისათვის მოსწონდა იგი მანანას.

ჯონქამ ხელი შეკუმშა და მძლავრად, მაგრამ ალერსით მოუჭირა თითები პეპლის ფრთასავით გამჭვირვალე ენძელას. იქნებ ისე, როგორც მანანას ხელს მოუჭერდა და ატკენდა. ეს ალერსიც იქნებოდა, წუხილისთვის სამაგიეროს ზღაც.

ცოტახნის შემდეგ მან ხელი გაშალა. გამხმარი ყვავილი ფერფლივით პატარა, ბაცი ფერის ნამსხვრევებად ქცეულიყო.

ღიმილით გაიფიქრა, რომ ახლა მკლავში მეტი ძალა უნდა ეგრძნო, მხრებში გამართულიყო. ხელისგულს შეუბერა და როცა ყვავილის მტვერი გაიფანტა — ისევ მოიწყინა.

ეჩვენებოდა, რომ ენძელის ნამსხვრევები კვლავ თითებზე ეკვრიან; ისინი ხელებსაც და გულსაც ახლა უკვე ქარისაგან თვალში მოხვედრილი ქვიშის ნამცეცებივით ეხამუშებოდნენ.

გამოდის, რომ სიყვარულიც გაჰქრა იმ მარტის ყვავილივით.

ვინ იცის, ფიქრები მაინც მას დასტრიალებდნენ, იქნებ უნებურად, როგორც მეთოვლია დაჰფარფატებს ხოლმე ზღვის ზედაპირს, მძლავრად მოქნეული ფრთები ვეღარ შეუჩერებია, თუმც თევზი უკვე კარგახანია შთაინთქა ხვირთებში.

საკმაოდ ბევრი იარა ეუჩებში ჯონქამ. მას არც მოჰგონებია, თუ ამაღამ მეგობრებს გამოსალმების ლხინი ჰქონდათ; მაგრამ შეუმჩნევლად, ინსტიქტით, რომელიც მატარებელში ჩაძინებულ კაცს გამოაფხიზლებს ხოლმე, თავი ასწია და ნახა, რომ სწორედ იმ ქუჩაზე გასულიყო, სადაც სტუდენტები უნდა შეკრებილიყვნენ. მან ახლა დაგვიანებულივით აუჩქარა ნაბიჯს, ნაცნობ რკინის ჭიშკარში შევიდა, ხვეულ კიბეს აჰყვა მესამე სართულამდე და გრძელ აივანზე მინებიან კარს მიადგა. თეთრი, ორმაგი ბანდის ფარდებში ოთახიდან განთიადის სხივივით ჟონავდა სინათლე აივანზე.

იმდენი ნაცნობი ხმა და მხიარული სიცილი ისმოდა შიგნიდან, რომ ფიქრებში გართულმა ჯონქამ პირდაპირ შეაღო კარი, თითქო თავის ოთახში შესულიყოს საერთო საცხოვრებელში.

სუფრაზე მსხდომთა თავები სწრაფად მობრუნდნენ მისკენ. მაგიდის ერთ ბოლოში ეგნატე ლაზიშვილს მოკლე წვერი ბრწყინავდა და ჯონქა გონს მოვიდა.

— ოჰ, ჯონქას გაუმარჯოს, — მიაძახეს ამხანაგებმა, — აქეთ, ჯონქა... აგერ მობრძანდი...

სტუდენტები ისე შეეგებნენ და ეპატიჟებოდნენ, რომ უთუოდ ყველა მასპინძლად სთვლიდა თავს.

მალე ჯონქა მეგობრების გვერდით იჯდა და სიამოვნებით იშმუშნიდა ხელებს. იგი გაახარა გულღია შეხვედრამ და ძალდაუტანებელმა მხიარულებამ, რომელიც სუფრაზე მეფობდა. სადა ჭიქებში, ყველაზე უფრო მოხერხებული ფორმა რომ აქვთ — მუცელთან ხელში დასაჭერად შეზნექილი და ზევით პირგადაშლილი — მაყვლის წვენივით შავი ღვინო იდგა. მისი წვეთები თეთრ სუფრაზე, თეფშებზე თუ ტუჩზე, იისფერ მელანივით სტოვებდნენ კვალს.

დიდი ხურჯინის ორივე თვალი ერთად დაცლილიყო მაგიდაზე. ცივად მოხარშული დედლების გვერდით, გამჭვირვალე, ხორკლიან კანზე სიმსუქნისაგან ქარვისფერი რომ დაჰკრავდათ, გორული მსხვილი ვაშლი ეყარა, ნაზამთრი, მაგრამ მაინც ცოცხალი და ლოყაწითელი, დიდრონი, ყვითელი კომშები, ყუნწთან და კორძზე ჩინჩლა მოუცლელი; ყოველგვარი ხილის ჩირი, — მსხლისა, ატმისა, გაგარისა და შავქლიავისა; შინდის კერკი — ლალის მარცვლებივით; შვლისყურა თხილი და გრძელი ჩურჩხელები, სიტკბო შორიდანვე ფერზე რომ ეტყობოდათ. სოფლის თონეში გამომცხვარი, ყუაშებრაწული, წალივით ქუსლწვერ გაგრძელებული შოთი პურები. დანამული წიწმატის კონები, წნელის წვრილი ღეროები. რაც მთავარია — წლევანდელი ბალი, ცოტახნის წინ გარეცხილი წყლის გიშერივით შავად მოციმციმე... იქვე — ქორფა, შუშა კიტრებიც ეწყო, მწვანე კანი დაორთქლილი ჰქონდათ, თითქო ცივმა ოფლმა დაასხათ, რაკი ასე ადრე მოსწყვიტეს.

შენახული ხილისა და ღვინიანი ტიკჭორის მაგარი სურნელი იდგა ოთახში. ახალგაზრდებს თვალები უბრწყინავდათ, ენას, პირსა და ხელებს ერთი წუთითაც არ ასვენებდნენ.

სუფრაზე სულ ხუთი-ექვსი კაცი იყო, ახლო მეგობრები. უცხოთაგან მხოლოდ ეგნატე ლაზიშვილი და გიგას მამა ისხდნენ, მაგრამ მათი აქ ყოფნა თითქო უფრო მეტ საბაბს აძლევდა სტუდენტებს, რათა ერთმანეთის სიყვარული ეგრძნოთ, ერთად გატარებული წლები მოეგონებიათ. ჯონქასაც ხელს არ უშლიდა ეს ხნიერი ხალხი, ძლიერ თავისუფლად და მყუდროდ იჯდა ჩაგუს გვერდით.

გიგა მამამისის ახლო, ტახტის კიდეზე მოწყობილიყო, ტიკჭორა იქვე გვერდით მიესვენებია და წყლის სურას ავსებდა ღვინით. ძია თედომ, ასე ეძახდნენ მამამისს, თიხის პატარა ჯამი გაავსო, ფეხზე წამოდგა და ლეკური, რუხი ხალათი შეისწორა ვერცხლის ბალთიან ქამართან.

— ეს კი სწორედ მასიამოვნა ნიკომ, ჯამი რომ მომიტანა, — სთქვა მან და უბრალო, შავი ფოთლებით მოხატული, ღვინით პირამდე სავსე თიხის ჯამი ოსტატურად დაიჭირა შუათითსა და ცერს შუა, ისე, რომ თუ ჯამს ააცლიდი — ხელი თითქო მომართვის ნიშნად დარჩებოდა გამოწვდილი, — გლეხური ჯამით შესმული გულსაც გაუვლის, სანამ სტომაქში ჩავიდოდეს, — დაუმატა თედომ, მეორე ხელი ჭაღარა ულვაშზე მოისვა და ჯონქას მოუბრუნდა, — შვილო, ჯონქა, ერთი ეს სასმისი გამომართვი.

ჯონქა, სწრაფად წამოდგა, ჯამი ჩამოართვა, მაგრამ ვერ მოახერხა თითონაც ისე ლაზათიანად დაეჭირა, ხუთივე თითი შეუდგა და გაიღიმა თავისთვის.

— აბა, შვილო — დაიწყო თედომ, — ამდენი ნასწავლი კაცი შეყრილხარო და თამადად კი, სანამ შენ მოხვიდოდი, ეს გლეხკაცი ამირჩიეს. დიდ უარზე ვიყავ, მაგრამ ვერა გავაწყე რა. მოდი, ჩვენი აქ შეხვედრისა დალიე და დაგვეწიე.

ჯონქა ცოტახანს სდუმდა, მან ჩაფიქრებით გადახედა ამხანაგებს.

— შენებურად, ჯონქა. ძველებურად სთქვი რამე, — წაიბუტბუტა გვერდით ჩაგუმ, როცა ქათმის ბარკალი წამით პირიდან გამოიღო და მარილს გადასწვდა.

„რატომ ძველებურად?“ გაიფიქრა ჯონქამ. იქნებ ჩაგუც გრძნობდა ცვლილებას, გრძნობდა, რომ ჯონქას ჩუმი წუხილი და შფოთვა, რაღაც მოდუნება დასჩემდა ამ ბოლო დროს.

ხორნაულმა გაბედულად ასწია თავი. დიახ, იგი ისევ „ძველებურად“ იტყვის. აქ ხომ „შთამომავლობით ინტელიგენცია“ არ უსმენს. ეს ბიჭები მასავით ჯონქები არიან, ახალი ფეხადგმული, მაგრამ კუნთმაგარნი და დიდ გზაზე მოსიარულენი.

— არჩევანში არ შემცდარან, ძია თედო, თამადად რომ აურჩევიხართ, — ჯონქამ თვალი გაუსწორა თედოს, უადვილდებოდა ლაპარაკი, როცა ამ გაჭაღარავებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი, მზისგან თიხის ჯამივით ბრინჯაოსფრად დამწვარი კაცის ლია სახეს შესცქეროდა.

— ამ სუფრაზე ყველაფერს გლეხის მარჯვენით მოყვანილსა ვხედავ, — განაგრძო ჯონქამ, — ჩვენ ყველანი, მე და ჩემი ამხანაგები, გლეხის შვილები ვართ. ეს დღე ჩვენთვის მუდამ მოსაგონარი იქნება, რადგანაც მიზანს მივაღწიეთ და ახლა ერთმანეთს დავცილდებით, რათა ახალი ცხოვრება დავიწყოთ. მართალია, ქალაქს სასწავლებლად ჩამოსულები ჩვენ იქნებ სულ სხვა ადამიანები გავხდით, მაგრამ აი, შევკრებილვართ და თამადად მაინც გლეხი ავირჩიეთ. მე მგონია ეს იმიტომ, რომ მუდამ გახსოვს — ფესვები ხალხში გვაქვს და მიწას არ უნდა მოვწყდეთ, ხალხის ამაგი არ უნდა დავივიწყოთ, თორემ...

— ტურა წაგვიღებს, — მიეშველა ჩაგუ, ჯონქამ გაიცინა და ჯამი მოიყუდა.

— იცოცხლე, შვილო, გაგიმარჯოს, — უპასუხა თედომ.

ჯონქამ გამოსცალა ჯამი, დაჯდა და ლაზიშვილს შეხედა. ეგნატე ულიმოდა თავისი მკვირცხლი, ჭროღა თვალებით, თან წინაკბილებით რაღაცას ცმუცნიდა და ალბათ ამიტომაც ახლა უფრო ეტყობოდა მოხუცებულობა. ღვინომ, ეგნატეს ღიმილმა თუ საკუთარმა სიტყვებმა ჯონქა საბოლოოდ კარგ გუნებაზე დააყენეს. მას მოაგონდა როგორ შეეკამათა მაშინ ეგნატე დავით ციხისელს და გაიფიქრა, რომ ეს მოხუციც თავისიანია; მასთან შეიძლებოდა თავისუფლად ლაპარაკი, იგი ყველაფერს მიგიხვდება, იქნებ ტოლამხანაგებზე უკეთესადაც გაგიგებს.

სუფრაზე ისევ გაცხოველდა საუბარი. ნიკოს, ამ ბინის პატრონს, რძალი და ძმისშვილი ნათესავებთან გაუსტუმრებია, რათა ლხინის ინტიმურობა არ დაერღვია. მხოლოდ ნაშუაღამევს, შეიძლება ოჯახის უფროსი რკინისგზელი ძმა მოსულიყო, ღამის ცვლაში მუშაობდა თურმე და ეტყობა, უმცროსმა ვერ გაუბედა ეთქვა — შინ აღარ დაბრუნდეო.

ლაზიშვილი ღვინოს აქებდა, — მშვენიერი, უზადო ატენური საფერავი იყო, ხორციანი — სქელი, როგორც ბადაგი და თან ხავერდოვანი — მისი სმა არ მოგწყინდებოდა, კი არ ჰღლიდა, ეალერსებოდა ენას. ძველ მევენახეს ესიამოვნა თავისი ღვინის შექება, განაცხადა, რომ ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ღვინოა, თან მგზავრობაში ცოტა გალახული, დასვენება სჭირდება. მეექვსე წელიწადია მარანში ერთი პატარა ქვევრი თავკვერისა აქვს შენახული, თუ სოფელში ეწვევიან — ამოიღებს და აბა, მაშინ იგემონ რა ღვინო სცოდნია ატენის ხეობას.

მერე ქართლის სხვა ღვინოებიც მოიგონა, მუხრანისა მოსწონდა, განსაკუთრებით თეთრი, წინამძღვრიაანთ კარსაც არაუშავსო, კასპისა და მეჯვრისხევი ისევ ხელადებით დაიწუნა, — სტუმარს ვერ დაალევინებო. ნანობდა, რომ ლიახვის ხეობაში უწინ კარგი წითელი დგებოდა, მაგრამ ფილოქსერამ გააფუჭა და ახლა ცუდი გემო დაჰკრავს, არც სუნი უვარგა, მდარეა. ისევ თავის ატენურს აქებდა, კახურსაც სჯობია და იმერულსაცაო. აქ კი ლაზიშვილი შეეკამათა, მაგრამ თედო გაჯიუტდა, გაიხსენა ყურძნის ყველა ჯიშები, რაც კი ქართლში მოდიოდა—გორულა მწვანე, თავკვერი, ჭყაპა, რქაწითელი, საფერავი და ბუდეშური, ახლა მუხრანსა და კავთისხევში ევროპული ალიგოტე, რისლინგი და პინოც გააშენეს თურმე. დაკორძებულ, მოუხრელ თითებზე დინჯად, აუჩქარებლად იმდენი საბუთი წამოთვალა, ისეთ წვრილმანებში აღმოჩნდა ჩახედული, რომ ენამჭევრმა ისტორიკოსმა ვერ გაუძლო და სიცილით ჩაიქნია ხელი.

— აგრე იყოს ჩემო თედო.

თედოს თვალის კუთხეებში მხიარული ნაკეცები გაუჩნდნენ, მან თავი გადააქნია და დაეთანხმა:

— ეგეც მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა.

ჯონქა შესცქეროდა ამ ქედმაგარ, ძველ მუხასავით კოჟრიან ვაჟკაცს და გული კიდევ უფრო მეტად უთბებოდა.

თედო წამოდგა და ისევ გაავსო თიხის ჯამი.

— აბა, ხალხნო, სმენა იყოს. უწინ, ჩემ ჯეელობაში—დაიწყო მან და ზუსტად ისევ იმ ადგილას შეისწორა ქამართან ხალათის კალთა, — როცა ოსტატს შვილს ჩააბარებდნენ ხელობის სასწავლებლად, ოსტატი სულით ხორცამდე პასუხისმგებელი იყო თავის შეგირდზე. თუ ბიჭი არ ივარგებდა, ხელმრუდი ან უქნარა დადგებოდა, ოსტატისთვისაც იგეთი შერცხვენა და ხალხში თავისმოჭრა იყო, როგორც იმ უბედურის შშობლებისთვის. თუ შვილი ოჯახს ასახელებდა და რამეს შემატებდა, — მადლობა ყველაზე ადრე ჯერ მისი გამზრდელი ოსტატისათვის უნდა ეთქვათ. ჩემ გიგას მამა მუშაკაცი ჰყავს, დედა — გამრჯე, პაპა მაგისი კიდევ ოთხმოცზე მეტი წლისა იყო, როცა გარდაიცვალა, მაგრამ მთელ კოლმეურნეობას ენანებოდა, სოფელში იმაზე მუყაით და ბაღვენახების მცოდნე კაცს ვერ იპოვიდი. აბა, ჩემი ბიჭი ცუდი რალად უნდა ყოფილიყო. მე მეგონა ეგეც მამაპაპის კვალზე თავის ბაღ-ვენახში იტრიალებდა, მაგრამ სხვა გზა აირჩია. რა უშავს, თუ თითონ ივარგებს, ყველა საქმე — კარგია.

— ნუ გედარდება, მამი, თინია მაინც აგრონომი გამოვა, — უთხრა გიგამ და შუბლზე ჩამოწოლილი სქელი, თითქო მუდამ სველი შავი თმა ხელისგულით გვერდზე გადაიგდო.

— ჰო, შვილო, ოღონდ ჯერ შენი კუდრაჭა დაია ბალღია, კვირაში შვიდი პარასკევი აქვს, იქნება ხვალ, აი, რა ჰქვიან, ფილოსოფიაა რაღაც, ის მოინდომოს. მერე, რა, აკი ვამბობ, თქვენ რითა ხართ სხვაზე ნაკლები. სიტყვას ნუ მაწყვეტინებ, ისედაც გამიგრძელდა. რაცა ხარ, შვილო, პირში ქება რა საკადრისია, კარგი ხარ, ისეთ დროსაც მოვესწარ, რომ შენ რჩევა გკითხო, შენ ჭკუას დაუჯერო. ამისთვის კი მადლობა შენს გამზრდელს, შენს ოსტატს უნდა უთხრა. მარტო შენ კი არა, აი შენი ამხანაგებიც. მე ვიცი, რომ ყველა ეგენი პატიოსანი და ნასწავლი ხალხია. პატივცემულო ეგნატე, ენაწითელობით ვერ გაგაკვირვებთ და უბრალოდ თქმა სჯობს, — მე როგორც მამა და ერთი მშრომელი კაცი, დიდ მადლობას გეუბნები ამ კარგი ახალგაზრდების გაწურთვნისთვის. დიდხანს იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ.

ეგნატე წამოდგა და თამადას გადაეხვია. ყმაწვილებიც წამოიშალნენ, ჭიქები ასწიეს და აღელვებულნი ხან თავიანთ საყვარელ მოხუცს შესცქეროდნენ, ხან ერთმანეთს გადახედავდნენ და თვალით ანიშნებდნენ—ყველას უძნელდებოდა ამ წუთში რაიმეს თქმა, სიტყვას ვერ დააწყობდა, იქნებ ზოგს ხმის კანკალიც გამორეოდა, თანაც აუცილებლად უნდოდათ განსაკუთრებით ედღეგრძელებიათ, გულწრფელად ეთქვათ მისთვის, რასაც ფიქრობდნენ. ბოლოს ისევ ჯონქამ გაჰბედა, თუმც ისიც საკმაოდ წამოწითლებული იყო და წარბი უთამაშებდა.

— ბევრჯერ უთქვამთ, რომ ადამიანს შეიძლება ყველაფერი წაართვა, — ხმადაბლა, თითქო თავისთვის დაიწყო ჯონქამ, — ყველაფერი წაართვა, —ქონება, ღირსება, სილამაზეც, მაგრამ ცოდნას ვერ წაართმევ, ეს ყველაზე უფრო დიდი განძია, ყველაზე უფრო დიადი წუთები კი ადამიანის ცხოვრებაში უთუოდ მაშინ არის, როცა გრძნობ, რომ ახალ, აქამდე შენთვის სრულიად უცნობ სამყაროს მისწვდი გონების თვალით. და ის, ვინც ამ სამყაროს კარები გააღო შენს წინაშე, ისეთივე კეთილის მყოფელია, როგორც მკურნალი, უსინათლოს რომ თვალისჩინი დაუბრუნა და ქვეყანა დაანახა. თვითეული ჩვენგანი, პატივცემულო მასწავლებელო, თქვენ გაფასებთ არა მარტო იმიტომ, რომ წაურთმეველი განძი—ცოდნა მოგვეცით, არა მარტო იმისთვის, რომ უწინ თითქო ნახევარკაცები ვიყავით და ახლა, როცა ქვეყნის ავკარგი გავიგეთ, წარსულში ჩავიხედეთ — მთლად კაცობას მგონი აღარაფერი გვიკლია. არის კიდევ ერთი, რამ, რისთვისაც დიდ პატივსა გცემთ, რისთვისაც განსაკუთრებით ძვირფასი ხართ ჩვენთვის. ყოველი ახალგაზრდის ცხოვრებაში არის ხანა, როცა შეგნებულად და თავისი ნებით, თუ უნებურად და თავისდა შეუმჩნევლად, ვინმესა ჰბაძავს. ზოგჯერ მიბაძვის საგანი ულირსია, ძლიერი შთაბეჭდილებით მიუზიდავს უბრალო სული, როგორც ზიზილ-პიპილები იტაცებენ ბავშვებს, ამ მიბაძვას ან როგორც იტყვიან ხოლმე — გავლენას, —იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს პიროვნების ჩამოყალიბებისთვის, მისი მომავლისთვის...

ჯონქა შესდგა და ფეხზე მდგარ მეგობრებს გადახედა. ისინი ჩუმად უსმენდნენ. გიგას ისევ ჩამოვარდნოდა შუბლზე სქელი თმა, შავი ნამგალას ფრთასავით, განიერი მხრებით ჩრდილავდა მაგიდას, ღვინის ჭიქას დასცქეროდა და შეერთებული, ხშირი წარბები თვალებს უფარავდნენ, მხოლოდ მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები უკრთოდა ხანდახან. ქერა, ცისფერთვალება ნიკო მოწიწებით უყურებდა ლაზიშვილს, ცალი ხელით ნერვიულად ღილებს იგრეხდა ხალათის საყელოზე, მეორეთი კი მაღლა აწეული ჭიქა ისევ ეჭირა მკერდთან, როგორც თოფი საპატიო ყარაულში მდგომს. ჩაგუ ერთ წერტილს დასჩერებოდა მაგიდაზე თავისი წყლისფერი გუგებით, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც უსმენდა სხვებთან ერთად.

— მე მეძნელება ლაპარაკი, — განაგრძო ჯონქამ, — რადგან მსგავსი რამ ჯერ პირში არავისთვის მითქვამს. თქვენ სწორედ ის ადამიანი ხართ, პატივცემულო მასწავლებელო, რომელსაც ჩვენ ვეცდებით მივბაძოთ. ყველა, ვისაც სწავლა-განათლება მიუღია, თავს ინტელიგენტათ სთვლის, მით უმეტეს, თუ უმაღლესი განათლება აქვს; ჩვენ კი თქვენგან ვისწავლეთ, რომ არის ერთი, ძნელად შესამჩნევი, მაგრამ უტყუარი სინჯი, რომელიც „ვითომ იტელიგენტებს“ განასხვავებს ჭეშმარიტი ინტელიგენტებისაგან, რამეთუ უთქვამთ—ყველა ოქრო არ არის, რაცა ბრწყინავსო. ეს სინჯი ხალხისადმი სამსახურია. მე თუ მკითხავთ, უბრალოდ ვიტყოდი — უწინ მთაში ძლიერი ის იყო, ვისაც ხმალი უჭირდა, მაგრამ გმირი იყო მხოლოდ ის, ვინც თავის ძალით კისერზე კი არ

დააჯდებოდა სხვებს,—მშვიდობაში კაცი იქნებოდა უბრალო, და ომში — თემის დამხმარე და იმედი. ახლა ძალა ცოდნაშია.

ჩვენც ვეცდებით ვიყვნეთ უბრალონი და ჩვენი ძალით ხალხის დამხმარე. სხვა რაღა ვთქვა, სტუდენტების კიდევ მრავალი თაობა გაგეცილებიოთ ასე, მასწავლებელო...

ახალგაზრდები მაგიდაზე გადაიხარნენ და ჭიქები მიუჭახუნეს ეგნატეს. მღელვარება, ეტყობოდა, იმასაც გადაედო, მოკლე წვერს იფურჩქნიდა თითეზით და მადლობას ეუბნებოდა ყველას. შემდეგ მოითხოვა დამსხდარიყვნენ; მხოლოდ ნიკო დარჩა ფეხზე და ძლიერ ჩქარა, მაგრამ აბნეულად, ერთიდაიმავე ფრაზების განმეორებით, სიტყვა უთხრა. მის ხმაში იმდენი გულწრფელობა იყო, თვალებიც ისე გაუწითლდნენ, თითქოს სატირლად მოამზადაო, რომ ადვილად აპატიებდი ბუნდოვან აზრებს და უხეირო წინადადებებს.

ჯონქა კი უკვე აღარავის უსმენდა. იგი იჯდა და ატყობდა თავის თავს, რომ უცნაური ამბავი ემართება, — ყველაზე მეტად საკუთარმა სიტყვებმა ისევ ჯონქაზე მოახდინეს შთაბეჭდილება.

ზოგჯერ ხმამაღლა ნათქვამი უეცრად ნათელს გახდის იმას, რაც ჩუმ ფიქრებში ბუნდოვანი და ძლიერ დახლართული გვეჩვენება.

განა, ერთ დროს, ისე როგორც ახლა, ყველაფერი გარკვეული არ იყო ხორნაულისათვის? მას თურმე ჰქონდა თავისი მიზანი ცხოვრებაში, თავისი იდეალი. მაშ საიდან გაჩნდა ეს შფოთვა, დაბნეულობა...

„უფრო მაღლა, მაღლა უმიზნე“...

დიაღ, იგი ისმენდა ქადაგებას და სდუმდა, თუმცა კარგად იცოდა რა სიმაღლეზეც იყო საუბარი, ალფეზი საკმაოდ ცინიკურად ლაპარაკობდა.

და იმ კაცის ჟინიანობით, ხელში შესობილ ხიწვს რომ იჩიჩქნის, ჯონქა შეუდგა ყველა იმის გამოძიებას, რაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში უფიქრია და განუცდია.

მანანას დაბადების დღეს იგი ჯერ კიდევ ჯონქა ხორნაული იყო. გაქერქეშებულმა საყელომ ხელი ვერ შეუშალა —მიხვდა, რომ შეცდა, როცა აქ მოსვლისას რაიმე ახალს მოელოდა. აივანზე ყურმოკრულმა საუბარმა კი უფრო მეტიც აგრძნობინა. შემდეგ იქ, კიკეთის ტყეში, ეშმაკმა უწყის საიდან მოხვედრილი, გულდასმით უსმენდა ალფეზ ჩიქოვანს; უსმენდა და ერთხელ მაინც თუ შეეკამათა? არა, რადგან, — ცოდვა გამხელილი სჯობს ხორნაულო, — როცა ციხისელის სახლი მიატოვე იმ ღამით, წამოხველ და კარი შენვე გამოიხურე — კუდი კარებში დაგრჩა. ალფეზმა სწორედ იმ კუდს, პატივმოყვარეობას რომ ეძახიან, მაგრად ჩასჭიდა ხელი, და მერე, ვინ იცის რამდენ ხანს, უკუღმართად დაგატარებდა.

„დიდების მაძიებელი“.. ჯონქამ ჩაიცინა და გადახედა თავის ამხანაგებს.

ახლა ჩაგუ ამბობდა სიტყვას; იგი მგონი ავტობიოგრაფიას ჰყვებოდა, უთუოდ იმიტომ, რომ ეგნატე ლაზიშვილი, რომელსაც იგი გადაუჭარბებლად რომ ითქვას, თაყვანსა სცემდა, მშობლების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მის ცხოვრებაში.

ამ ბიჭებს საკუთარი დიდი გზა ჰქონდა, მაგრამ ისინი არ იყვნენ დიდების მაძიებლები.

ალფეზიც ხომ ჰპირდებოდა დღეს ხორნაულს „დიდ საქვეყნო გზაზე გაყვანას“...

— ის კაცი ჯონქამაც ნახა, — ჩაგუ ჯონქას მოუბრუნდა, — გახსოვს? ლუდხანაში რომ შეგვხვდა?..

— ვინ კაცი?.. — ვერ გამოერკვა ჯონქა, იგი აქამდე არ უსმენდა ჩაგუს ლაპარაკს.

— აი, ლუდხანაში რომ შემოვიდა, ჩოფურა, ბოხოხიანი... ამ ორი თვის წინ, გახსოვს? გამანთავისუფლესო, ამბობდა...

— ჰო, როგორ არა... — მოაგონდა ჯონქას; ეს სწორედ იმ საღამოს იყო, პირველი ყელსახვევი რომ გაიკეთა და მანანასთან მიდიოდა. თავის გასამხნევებლად ლუდხანაში შეიყვანა ჩაგუ. შემდეგ ჯონქამ უეცრად სხვა რამეც გაიხსენა. ეს ხომ ნამდვილად ის კაცი იყო, თეთრ დუქანში რომ ნახა და ვეღარ კი იცნო, თუმც ძლიერ ეცნაურა.

— ის სარხანია, — განაგრძობდა ჩაგუ, — განაკულაკეს და მერე, ნებადაურთველად საქონლის დაკვლისთვის, ჩასვეს კიდეც. მე მის თხებს ვმწყემსავდი და დაწვრილებით ვიცოდი ყველაფერი...

„აჰ, აი თურმე ვინ ყოფილა“.. ჯონქას უწინაც ეხონდა გაგონილი ჩაგუს თავგადასავალი.

ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა ჯონქა. ავგაროზი კი არა ჯადო იყო ის პატარა ენძელა, მკერდით რომ დაატარებდა აქამდე. გამოლოცვა სჭირდებოდა მისი ძალისაგან თავის დასახსნელად.

როცა ჩაგუმ როგორც იქნა დაამთავრა სიტყვა, სხვებმაც რიგრიგობით ადღეგრძელეს ეგნატე და საკმაოდ დაღალეს, რადგან კურსდამთავრებული თუ თავის პროფესორს სიტყვით მიმართავს — მჭერმეტყველებაც უნდა გამოიჩინოს, ნაკითხობაც, მაღალი მისწრაფებები, სიყვარული, პატივისცემა, და ბევრი სხვა რამ.

სამადლობელი ძლიერ მოკლედ სთქვა ეგნატემ და ჯონქას მოეჩვენა, რომ იგი მხოლოდ მის გასაგონად ამბობდა.

— გახსოვდეთ, ყმაწვილებო, თქვენი მოხუცი ამხანაგის რჩევა, — დააბოლოვა ლაზიშვილმა, — ის პრინციპები, რომლებიც თქვენ ახლა გაქვთ, ცხოვრებაში სასტიკ გამოცდას გაივლიან, ათასი წვრილმანი ეცდება ციხის შიგნიდან გატეხვას. ვინც შეურყეველი დარჩება — მხოლოდ ის ატარებს ახალი ადამიანის საამაყო სახელს.

ჯონქამ გადასწყვიტა ცალკე ენახა ლაზიშვილი და ელპარაკა მასთან. თამადამ ისევ მოითხოვა თიხის ჯამი.

დრო მიდიოდა; თედო თანდათან უფრო ხშირხშირად ისწორებდა ვერცხლის ბალთიან ქამართან ხალათის კალთას, რასაც უსათუოდ ახალი სადღეგრძელო მოჰყვებოდა. სუფრაზე მხიარულებამ იმატა, სიმღერაც შემოსძახეს, ხოლო ტანმორჩილი ტიკჭორა გახდა, დაილია! ტახტზე წოლა აღარ შვენოდა, წამოაყენეს და სკამზე დასვეს. დაფუყულმა ჯერ კიდევ ნახევრამდე სავსე მუცელზე დაიწყო თათები, იჯდა ასე, გაკოტრებულ სოვდაგარივით, ხის ჭიპი უშლიდა, თორემ წელში ორად მოიკეცებოდა.

ნაშუაღამევის მეორე საათი დაიწყო და ეგნატე წამოდგა, ბოდიში მოიხადა — ხვალ დილით გამოცდები მაქვსო. ჯონქამ განაცხადა, რომ სახლამდე გააცილებს; ეგნატე წინააღმდეგი იყო, მაგრამ ჯონქა გაჯიუტდა, კუთხეში მიყუდებული კაუჭიანი ყავარჯენი მოუძებნა და გაჰყვა.

გარეთ გაზაფხულის წყნარი ღამე იყო, მთვარის სინათლეზე, აგურის ქარხნის მილები შორს, სახლების სახურავებზე ისროდნენ გრძელ ჩრდილებს. თალხ არშიებად ეშვებოდა ჩრდილი შენობის კედლებზე, ქუჩას მიჰყვებოდა კუპრის შავი ნაკადივით.

მთვარის სხივებსა და ელექტრონის სინათლეში ეძინა ვაკეს. სიჩუმეში ხმამაღლა ისმოდა ეგნატეს ყავარჯნის რაკუნი ასფალტზე.

— სხვა, ჯონქა, — უთხრა ეგნატემ, — შენ ახლა საით აპირებ სამსახურს? ფშავში?

ჯონქა ფიქრობდა რა პასუხი უნდა გაეცა და მანამ მიჰყვებოდა უსიტყვოთ, სანამ არ შეატყო, რომ კიდევ დუმილი უკვე უზრდელობა იქნებოდა. გადასწყვიტა სიმართლე ეთქვა:

— ფშავში დამნიშნეს, მაგრამ უარი ვთქვი...

ჯონქა მოელოდა მომდევნო კითხვას, რომელიც დღეს ათჯერ მაინც მისცეს — რატომ?

მოლოდინი არ გამართლდა, ეგნატე ისე მშვიდად მიარაკუნებდა ჯოხს, თითქოს ასფალტს სიმაგრეს უსინჯავდა.

ჯონქამ გაიფიქრა, რომ იგი ამ წუთში ან იდიოტად ჩასთვალეს, ან ამ კაცს სულაც არ აინტერესებდა სად იმსახურებს მისი ერთიათასთაგანი სტუდენტი. მაგრამ ჯონქას ახლა ძლიერ უნდოდა ლაპარაკი და მტკიცე ხმით, პასუხს რომ მოითხოვს, იკითხა:

— თქვენ რას მირჩევთ?

ეგნატემ ჩაახველა და ცოტახანს არაფერი სთქვა.

— თუ ფშავში არა, მაშ სად აპირებდი? — თავის მხრივ იკითხა მან.

— თითონაც არ ვიცი...

ეგნატე შესდგა და მიაჩერდა ჯონქას.

— შენ რაღაც მოგსვლია ამ ცოტახანში.

— თქვენ გინდათ სთქვათ, რომ გავგიჟებულვარ, — გაიცინა ჯონქამ.

ეგნატემ არ უარყო, ისევ გაჰყვა ქუჩას, მხოლოდ ყავარჯენი ახლა იღლიაში ეჭირა და მის ჩრდილს კუდი გაუჩნდა. ჯონქამ ერთხელ კიდევ სცადა აელაპარაკებია იგი.

— მე ბინდა ვიცოდე, — სთქვა ხორნაულმა — რა აზრისა ხართ თქვენ სრულყოფილ ადამიანზე. მაინც, როგორი უნდა იყოს... იქნებ ეს სულელური კითხვაა, და აქ არაფერ შუაშია, მაგრამ...

— რა მოგახსენო, — ეგნატემ იღლიიდან გამოიღო ჯოხი და ისევ აახმაურა, — ვის როგორ ესმის. მე ვფიქრობ — სწრაფვა სრულყოფისაკენ, მთლიანობისაკენ თითქო ბუნების კანონია. როგორი უნდა იყოს? — ეგნატე გაჩუმდა და მაღლა ასწია ჯოხი, — პირველი პირობა — გონება და გული მუდამ თანხმობაში იყვნენ, აზრმა ისეთი რამ არ გაიფიქროს, რომ გული სინდისის ქენჯნამ შეაწუხოს, ან გული ჟინიანობას არ გადაჰყვეს, როცა გონება სხვას გეუბნება...

ჯონქამ გულჯიბე მოსინჯა. ავგაროზი უკვე აღარ იყო.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ისინი დაძინებულ ქალაქში. ეგნატე აუჩქარებლად ლაპარაკობდა და ჯოხის რაკუნით აღვიძებდა კარებთან მთვლემარე ღამის დარაჯებს.

როცა მის ბინას მიაღწიეს და გამოემშვიდობნენ ერთმანეთს — ეგნატემ სთხოვა ჯონქას ამ დღეებში მასთან შეევლო, ფშავზე რაღაც მასალები სჭირდებოდა. ჯონქა დაჰპირდა და წამოვიდა.

იგ ახლა პირდაპირ საერთო საცხოვრებლისაკენ გაემართა, რადგან უკვე გვიან იყო. ორიოდე საათით თვალს მოატყუებდა და ისევ ადგებოდა, — ექვსი საათისთვის სოლოლაკში უნდა ყოფილიყო.

იმავე ქუჩებით ბრუნდებოდა უკან ხორნაული და ჩვეულებრისამებრ გზაში ფიქრობდა. სიარულის დროს უფრო ადვილია ფიქრი. ჯიბეებში ხელჩაწყობილი, თავაღებული მიდიოდა დაცარიელებულ ქუჩებში.

მას უკვე გული აღარ აძლევდა ნებას ალფეზთან მისვლისას, ხვალ დილით ადრე ადგომაც ეზარებოდა, მაგრამ სიტყვა მიცემული ჰქონდა, დაპირება უნდა შეესრულებია.

X

ჯონქამ ზანტად გახედა გზას.

ისეთი ამინდი იდგა, რომ კაცს არ გინდოდა, რამეზე გეფიქრნა, შეწუხებულიყავ. თეთრი დუქანი შორს დარჩა და ფარაჯიანი თანამგზავრი ჩუმად მოაბიჯებდა გვერდით.

დილის მზე თვალს დაგახრევინებდა, სახეზე გეალერსებოდა. გზის პირზე ბალახი ცვარით იყო მოფრქვეული, ასველებდა ფეხსაცმლის წვერებს.

ჯონქას გაუკვირდა, როცა თეთრ დუქანთან ეს ფარაჯიანი, ნაყვავილარი კაცი დაუხვდათ და დაუპატიჟებლად ამოვიდა ავტოში.

— სხვა არავინ მოდის? — ჰკითხა ხორნაულმა, რადგან მაშინვე იცნო ჩაგუს მტერ-მოყვარე სარხანია, რომელიც უთუოდ ახლაც ამ შარშანდელი ბუზებით სავსე ფუნდუკში მსახურობდა.

— არა, — მშვიდად მიუგო სარხანიამ, ფარაჯის კალთები აიკეცა და უკანა სკამზე მოეწყო. თავდაჯერებული ქცევის მიუხედავად იგი ნაკლებად ჰგავდა რევიზორს, ამიტომ ჯონქა ახლა შოფერს მიუბრუნდა.

— კიდევ ერთი კაცი უნდა წამოსულიყო ჩვენთან, არა?..

— მერე რა ვიცი, — მკვახედ მიუგო შოფერმა და მანქანა დასძრა. ჯერ კიდევ გარაჟიდან გამოსვლისას სჩანდა უკმაყოფილო ამ ალიონზე მგზავრობის გამო, ჯონქას აღარ გაუგრძელებია გამოძიება, „მივალთ და ვნახავთ“ — გაიფიქრა მან.

მერე ფარაჯიანმა სადღაც, საურმე გზაზე გადაახვევინა შოფერს, კარგა ხანს ტყით მიდიოდნენ აღმართზე, უნაგირა გორაკებთან გავიდნენ და სარხანიამ განაცხადა, რომ „აწი ფეხითა სჯობს“. შოფერმა უსიტყვოდ, როგორც კი მგზავრები მიწაზე გადავიდნენ, ავტო უკან მიაბრუნა და გააქროლა.

ახლა უკვე ერთ საათზე მეტი იყო, რაც ისინი მარტო მიდიოდნენ ამ გზაზე ფეხით.

ჯონქას ეზარებოდა ლაპარაკი. შზე სასიამოვნო ჟრუანტელს ჰგვრიდა, გუნაწყვეტლივ ისმოდა ჭრიჭინების ხმაური, თითქო მიწა, მცხუნვარე მზით შეწუხებული, იშმუშნებოდა და წუწუნებდა ამ ჭრიჭინების პირით.

მწვანე ხვლიკი გაისრიალებდა ზოგჯერ. ტოროლა შეფრთხიალდებოდა მაღლა, მერე ფრთებგაშლილი წამოვიდოდა და მხოლოდ იმ ერთ წუთს, როცა ეცემოდა, ძირს მოდიოდა — უსტვენდა თავის მოკლე და მხიარულ სიმღერას.

— შორს არიან მეცხვარეები? — იკითხა ბოლოს ჯონქამ.

ჩოფურამ შუბლი ხელით დაიჩრდილა და ბოხოხი უკან გადაიწია.

— აგერ, ამ ხევს გადაღმა უნდა იყვნენ.

ჯონქამ თვალი მოავლო მის ფარაჯას და მოაგონდა პირველი შეხვედრა ამ კაცთან, ლუდხანაში, როცა ჩაგუსთან ახალ კოსტუმს ასველებდა.

— თქვენ ჩაგუს იცნობთ, არა? — სთქვა ჯონქამ, თითქო თანამგზავრს ამით ასიამოვნებდა.

— სირიას? როგორ არ ვიცნობ იმ დედამკვდარს... — ბოხოხიანმა ჩაიცინა, — უნდა ერიდოს იმას კაცი, — დარიგებით დაუმატა მან.

— რატომ?..

— მაგან დამღუპა, მაგ სულძაღლმა.

ჯონქა დაინტერესდა, თუმც დაწვრილებით იცოდა ყველაფერი.

— მისი მამა ჩემსას იყო გაზრდილი, — განაგრძო თანამგზავრმა, — მე რომ არ ვყოფილიყავი საჭმელი ჭადი არ ექნებოდათ, მარა ის იყო რომ კარგად გადამიხადა ჩაგუმ. სულ მაგან და მაგის ძმა ბიჭებმა, კომკავშირელებმა ზომიწყეს განკულაკება და მერე კიდეც დამიჭირეს და გადამასახლეს.

სარხანია ცოტახანს ჩუმად მიაფართხუნებდა ფარაჯის გრძელ კალთებს, მერე დაუმატა:

— რაღა დაგიმალო, ჩვენი კაცი ხარ, — საქონელი გადავრეკე ლეჩხუმში...

— მერე? — ერთი წუთით ვერ მიხვდა ჯონქა.

— მერე და დავკალი.

— ჰოო...

ესეც შენი რევიზორი. ამ კაცთან ერთად მიდის ჯონქა რაღაც საქმის გასაკეთებლად.

— ერთი ეს მითხარი, — ჯონქა დაიხარა, ბალახი მოგლიჯა და ნედლი ღერო მოსინჯა კბილებით, — ერთი ეს მითხარი — რა საქმეზე მიდიხართ თქვენ იქ დღეს?

— ო, მაგას კარგად მოფიქრება უნდა.

— მაინც?..

ბოხოხიანმა ჩაიცინა.

— ისე, არც მე ვიცოდი აქამდე. ხომ გენდობიან მეცხვარეები?

— მენდობიან? რა მხრივ...

— ხომ მიგვიშვებენ ახლო, ლაპარაკს გაგვიმართავენ...

— რა თქმა უნდა, თუ მართლა და ჩვენებური, ფშაველი მეცხვარეებია, ახლო მიგვიშვებენ კი არა, აღარც გამოგვიშვებენ, ისე გაეხარდებათ ჩვენი მისვლა.

— აჰ, მაგ ღმრეთმა ნუ ქნას, რომ აღარ გამოგვიშვან.

— რატომ, კაცო...

— რატომ და აბა მოკლედ გეტყვი და ნუ გაგიკვირდება, უკვე გვიანია, — სარხანია დაბლა იცქირებოდა, თითქო ბალახებში ჩავარდნოდა რაიმე, — შენ პირველი არა ხარ, რომ ასეთნაირად... სულ სხვანაირად, იქნებ შენ რომ არ ელოდი ისე შეტრიალდა საქმე, მარა რას იზამ, ნუ გაგიკვირდება, რაკი გამოგგზავნეს და დღეს ჩემთან წამოხვედი — უარი აღარ შეიძლება. არც არავინ დაგიჯერებს.

ჯონქამ გაოცებისაგან ნაბიჯს დაუკლო და ისე მიაჩერდა ამ კაცს.

— ჰოდა, მოკლედ გეტყვი, — განაგრძობდა სარხანია, თან მიწაზე ურმის კვალს თვალს არ აშორებდა, — ჩვენ ახლა მივალთ მეცხვარეებთან და მუსაიფს გაუმართავთ. როცა ლაპარაკში გაერთობიან, შენ ან მე, რომლისთვისაც უფრო მოსახერხებელი იქნება, ან ორივე, ამოვიღებთ, აი ამას, უყურე...

მან ფარაჯის ორივე ჯიბეებიდან ამოაძვრინა პატარა შუშები, მსხლის ფორმისა, შავი, მომწვანო სითხით სავსე.

— ერთს გაჰკრავ წკიპურტს თავზე და ისე თხელი მინაა — ხელად მოტყდება. მერე უნდა შეუმჩნევლად დაიჭირო ცხვარი, ვითომ ეჭიდავები ან დუ-

მას უსინჯავ, ერთი-ორი წვეთი უნდა გამოისხა ეს წამალი პეშვზე და დრუნ-ჩზე მოუსვა ცხვარს. ასე, ხულ ცოტა, ათ ცხვარს მაინც უნდა გაუკეთო, ზო-გი თითონ აგილოკავს ხელს, ზოგს ბალახს, როცა სჭამს ზედ უნდა მოუპკურო.

— კი მაგრამ, რისი წამალია?

სარხანიამ მხრები აიჩეჩა და კატასავით შეანათა თავისი ჭროღა თვალები ჯონქას.

— რა ვიცი, უშვილობის მალამო რომ არ იქნება შენც მიხვდები... მწყეს-ებმა არაფერი შეგვატყონ თორემ... შაბაშ.

ჯონქა გაოგნებული მიაბიჯებდა შარაზე. იგი ვერ ბედავდა დაეჭვე-ბულიყო.

მოაგონდა ის დღე, როცა ფუნდუკში მოხვდა პირველად. ვიღაც პასუხის-მგებელი მუშაკი ბრუნდებოდა ბეთანიის დასასვენებელ სახლიდან და ალფეზ-სა და გიორგის გრძელი საუბარი ჰქონდათ მასთან, ცალკე კარდახშულ ოთახ-ში. შემდეგ, უცნაურად ხანმოკლე ნადირობა კიკეთის ტყეში. მერე უცნაური დავალება და დაპირებები. ჯონქა მოუთმენლად მიუბრუნდა თანამგზავრს.

— კი მაგრამ, ხომ უნდა ვიცოდეთ რა მიზნით კეთდება ყოველივე ეს...

სარხანიამ ისევ აიჩეჩა მხრები.

— რას იზამ, ასეთია დავალება.

სწორედ ამ დროს საურმე გზა ხევისპირს მიადგა და გაღმა, მინდორზე გაფენილი ცხვარი გამოჩნდა. ჩანგლებიანი ნაგაზები ყეფით გამოქანდნენ მგზავრებისაკენ. ნიავმა მოიტანა მატყლის მსუყე სუნი და ფარის ყრუ ხმაური.

— ჰა, ჩაიდე ჯიბეში, — მიაჩეჩა წამლიანი შუშა სარხანიამ.

— არა, — ჯონქამ მოიცილა გამოშვერილი ხელი.

იმავ წუთს ნაგაზებს მწყემსი ბიჭები გამოუდგნენ გასარეკად და სანამ ჯონქა რაიმეს თქმას მოასწრებდა, სარხანიამ დაიძახა:

— ჰეი, მეცხვარეებო, აქეთ მოდით, მეზობლები გესტუმრნენ...

ნაგაზებმა მწყემსებს გამოუსწრეს, ხევგაღმა გამოცვივდნენ და მოსულებს შემოუტიეს. ერთი ჭრელი ნაგაზი, მოზვრის ოდენა იყო, ყელზე ვეებერთელა ჩანგლები უჩხრიალებდნენ, ისე აკაპუნებდა ადლის სიგრძე შუანებს, რომ ჯონქამ და მისმა თანამგზავრმა ჩაბუქნეს და ამაოდ ეძებდნენ ქვებს სველი ბალახით დაფარულ მიწაზე.

მწყესებმა კომბლებითა და შოლტის ტკაცუნით მოაშორეს ძაღლები სტუმრებს.

ჯონქამ ერთი მათგანი, თალფაქიანი ახალგაზრდა ბიჭი იცნო.

— გამარჯვება ლექსო.

— გაგიმარჯოს, — ბიჭმა უთუოდ ვერ მოიგონა ვინ უნდა ყოფილიყო ეს ქალაქურად გამოწყობილი ჭაბუკი, — მობრძანდით, — დაუმატა მან.

— სარქალი ვინა გყავთ, — შეეკითხა ჯონქა.

— მელაანთ თევდორე.

— მართლა?.. — ჯონქას გაეხარდა, კარგად იცნობდა ამ მოხუცს. ამ დროს სარხანია გვერდით ამოუდგა, და შუშა სწრაფად ჩაუდო შარვლის ჯიბე-ში. ჯონქას არაფერი უთქვამს, ალმაცერად მოჰხედა მხოლოდ. იგი უკვე თით-ქმის ყველაფერს მიხვდა. ახლა გულში ჩუმად ღელავდა იმ კაცივით, რომელ-მაც თავის ბინაში შეპარული ჭურდი დაინახა, იცის რომ არ უნდა იყვიროს, თორემ ნაადრევად დააფრთხობს, მაგრამ მოულოდნელობისაგან ვერაფერი მოუხერხებია.

— აგერ, სარქალი იქა დგას, — უჩვენა მწყემსმა კომბლით გაღმა, ფარის ნაპირთან გაჩერებულ მოხუცზე.

— სარქალო, — დაუძახა ბიჭმა, — აბა აქეთ მოდექ, შენა გკითხულობენ.

— ჩვენ თითონ მივიდეთ, უფროსი კაცია, — სთქვა სარხანიამ.

თევდორე კომბალზე დაყრდნობილი იდგა. მას შეერთებული ჰქონდა თეთრი წვერი, თმა და ულვაში. ქამარზე ადლიანი, შავტარა ხანჯალი და ტყავის მათარა ეკიდა. ისეთი სიმშვიდე და თავდაჯერება გამოსჭვიოდა ამ მოხუცის სახიდან, რომ უნებურად პატივისცემასა და კრძალვას იგრძნობდი.

მოხუცი ყურადღებით ათვალიერებდა მოსულებს, სანამ მიუახლოვდებოდნენ. შემდეგ მიესალმა და ჰკითხა — რაზედ გარჯილხართო.

— ჩვენებურების ნახვა მომინდა, პაპავ, — უთხრა ჯონქამ, ამ წუთში იგი ისე გახარებული იყო მოხუცის ნახვით, რომ თითონაც სჯეროდა რასაც ამბობდა.

თევდორემ იცნო ჯონქა და სახე გაუნათლდა.

— ბალღო, შენ ლუკას ბიჭი არა ხარ?

მწყემსები გარს შემოეხვივნენ მათ. ყაფარა და მხრებგანიერი მათეც მივიდნენ. ყველა სათანადოდ ართმევდა ხელს ჯონქას, გულღიად უღიმოდა, მერე გადგებოდა გვერდზე და თავიდან ფეხამდე ათვალიერებდა.

ურთიერთ ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ თევდორე წინ გაუძღვა სტუმრებს და ბატკნებთან მიიყვანა.

თეთრი მატყლის ქუდებით იყო მოფენილი მწვანე მინდორი. ორი-სამი თვის ბატკნები უკვე მოღონიერებული ფეხებით დაბაკუნებდნენ, კიკინით დასდევდნენ დედებს. ირგვლივ ცხვრების ბღავილი და მათი ფეხის ხმის მსუბუქი შრიალი იდგა. ზოგჯერ ძაღლის ყეფა, მწყემსის შეძახილი ან შოლტის ტკაცუნი თუ გამოერეოდა ამ ყრუ ხმაურში. შეუმჩნევლად, წყნარი ძოვნით მიჰყვებოდა ფარა მინდორს და უკან სტოვებდა ჩლიქებითა და წვრილ ხურმასავით მბზინავი დენგრით ჩაშვებულ მიწას.

თევდორემ ერთი ბატკანი დაიჭირა და ხელში აიყვანა. ბავშვივით მოეფერა ეს უხეში ვაჟკაცი პატარა ცხოველს, ვარდისფერი ქაჩაჩი გაუსინჯა წინა ფეხებზე, გაქერქეშებული თითი პირში ჩაუდო და მოაწოვინა, უთუოდ თავის შვილებს არ მოჰფერებია იგი ასე.

მისი შვილებიც, მამასავით მხრებგანიერნი, წვერულვაშით შებანჯგლულნი, მაღალი ცხვრის ქუდებით, რომელშიც შუა ზამთარშიც დაგცხება კაცს, იდგნენ და სიხარულით გაჰყურებდნენ ფარას.

— ავ თვალს არ შეეხედება, შვილო, — უთხრა ჯონქას თევდორემ.

ხორნაულს უსიამოვნოდ გაჰკრა გულში და ბოხოხიან თანამგზავრს გადახედა. იგი ახალგაზრდა მწყემსებში ჩამდგარიყო, ფარაჯის ჯიბეებში ჩაეწყო ხელები, ქუდი უკან გადაეწია და უთუოდ ოხუნჯობდა, — მწყემსებს მზით გაშავებულ სახეებზე თეთრი კბილები უელავდათ.

— ეგ კაცი ვინ არის, ჯონქაო? — უთხრა სარქალმა.

— თეთრ დუქნიდან წამომყვა გზის მაჩვენებლად, — მიუგო ჯონქამ და ბრაზით გაიფიქრა:

— „რევიზორი!..“

იგი უცნაურ მდგომარეობაში იყო. დროც არ ჰქონდა მოეფიქრებია როგორ მოქცეულიყო, მეცხვარეები განუწყვეტლივ ელაპარაკებოდნენ, ქალაქის ამბებს ჰკითხავდნენ.

თევდორემ ახლა ყოჩების სანახავად წაიყვანა სტუმრები. ორი-სამი ისეთი წყვილი მყავსო, იკვეხდა მოხუცი მწყემსი, არც შირაქში და არც თრიალეთზე მათი ტოლი ფალავანი არ მოიძებნებაო.

ჯონქამ გადასწყვიტა თვალი არ მოეშორებია სარხანიასთვის, თან წაეყვანა, სადაც წავიდოდა. ახლაც მკლავში ხელი მოჰკიდა და გაიყოლია.

ჭედილებსა და ყოჩებს ცალკე აძოვებდნენ. ისინი მართლაც იმოდენი იყვნენ და ისეთი მკვრივი ტანი ჰქონდათ, რომ ბიტიუგის ცხენებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე ცხვრებს. განსაკუთრებით ერთი ჟღალი ფერისა გამოირჩეოდა. უცხო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანების დანახვაზე მან ბალახის ძოვას თავი მიანება და მიაშტერდა მათ, გამომეტყველებას მოკლებული, მსხვილი თვალებით. ჟღალა მატყლით მზის ქვეშ ოქროს ვერძსა ჰგავდა ბორცვზე შემდგარი.

სარხანიამ ალერსით დაუსტვინა და გაემართა ცხვრისაკენ. ყოჩმა ჯიუტად დახარა თავი მოლოდინში, ორი გრეხილი რქა რკინის რვალებივით ჰქონდა მიკრული ფართო კეფაზე.

— მოეცა, ყინჩო, თორო იქნება მიწა გათხრევინოს, — სიცილით უთხრა სარქალმა. სარხანაიამ დაუჯერა, ფარაჯის კალთები აიკრიფა და გვერდზე გადგა.

მწყემსებმა მეორე, თეთრი ყოჩი გამოათრიეს რქით, ოქროს ვერძს დაუპირისპირეს და ხელი ჰკრეს უკანიდან. თეთრი გაჰქანდა, მოისმა მძლავრი ჯახანი. დაიწყო ჭიდილი, რომელსაც არავითარი მსაჯული არ ესაჭიროებოდა, ორივ ფალავარი მეტისმეტად კეთილშობილი რაინდი იყო; ყოველგვარ წესებს იცავდნენ, საშინლად ურტყამდნენ ერთმანეთს თავებს, ჩლიქებით მიწას სჩიჩქნიდნენ და ჯონქამ, რომელსაც უკვე დიდი ხანი იყო აღარ ეყურებია ყოჩების ჭიდაობისათვის, გაიფიქრა, რომ ცხვრებს თვალები წამოსცვივდებოდათ, ან ტვინი შეერყეოდათ.

— ჰაი, თქვე ცეტებო, თქვენა, — დასძახა თევდორემ, — დაიცა შიშაგებში გარიოთ, იქ ვნახავ თქვენ ვაჟკაცობასა, კისერს დაგიბოშებენ სქელდუმიანები.

მწყემსებმა ჩაიცინეს.

— ყველის საქმე როგორა გაქვთ, პაპავ? — ჰკითხა ჯონქამ.

— კარგად, წელს ცხვარი მადლიანად იწველება, ყუათიანი ბალახია, ქარცხვსა სძოვს...

სარქალმა კარავში შეიყვანა სტუმრები და უჩვენა შეყველებული რძით სავსე ქვაბი, რომელიც შუაცეცხლზე იდგა. რძის ორთქლით იყო გაჟღენთილი ჰაერიც და კარვის კედლებიც. ერთმანეთზე ყველით სავსე გუდები ეწყო. ქვაბთან ორი მწყემსი ტრიალებდა. შემოსასვლელში, მიწაზე გაშლილ ნაბადზე კოჭები ეყარა.

— ერთი ამათ დამიხედეთ, — სთქვა სარქალმა, — ბალღები ცხვარში ვეღარ მოგვყავს, სკოლას მოსცდებიან, ეხლა ამათ დაუწყიათ ბალღებივით კოჭების თამაში.

ისევ გარეთ გამოვიდნენ, კარავთან ჩამოსხდნენ ქვებზე. იქვე პატარა, ჯერ კიდევ ყურმოუჭრელი ბუთხუზა ლეკვები დარბოდნენ, მურა დრუნჩებით ედებოდნენ ყველაფერს და იღრინებოდნენ თავის გასართობად.

— აბა, შვილო, ახლა შენ გვითხარი ქვეყნის ამბავი, — სთქვა თევდორემ და ჩიბუხი ამოიღო, — ნასწავლი კაცი ხარ, ჩვენს სოფელში ახლა შენზე უფრო ნასწავლი ვინღა იქნება. მამაშენი ლუკაი ბედნიერია, აგრემც დაურჩი. კარგია შვილო, ნათქვამია, უსწავლელს ჯაბანიც დაჩაგრავსო, — მოხუცმა რბი-

ლი ტყავის ჯიბეში ჩაჰყო ჩიბუხი და წყნარად გასტენა, — ერთი ახალი გაზეთი გექნება, ომისა ხომ არაფერი ისმის, წაგვიკითხე შენს გახარებას.

ჯონქას გაზეთი არ ჰქონდა. მან სარხანაიას გადახედა. იჯდა ეს გაიძვერა, ქუდი ცხვირამდე ჩამოეწია და იღიმეებოდა. ჯონქამ სირცხვილიც იგრძნო და ბრაზიც.

იმ ხნის განმავლობაში, რაც აქ მოვიდნენ, ჯონქას ერთი კითხვა უტრიალებდა თავში: რა უნდა ყოფილიყო ის შავი მომწვანო წამალი?

იგი მზად იყო ყოველივე ცუდი ეფიქრა, მაგრამ ალფეზი? ნუ თუ ალფეზი სჩადის ასეთ საქმეს.

შემდეგ ისევ მოაგონდა ალფეზთან საუბარი. მაღლა, სულ მაღლა. იქნებ ესეც გზა იყო სიმაღლისაკენ.

ჯონქას მწარედ ჩაეცინა გულში. პატარა ბატკნების დახოცვა, ამ ხალხის გაუბედურება, დღედაღამ, ავდარშიც ნაბადშეფარებული ფეხზე რო დგას და თავს დასტრიალებს მარჩენალ ცხვრის ფარას...

თითქოს და მისი ფიქრის საპასუხოდ სარხანია ღიღინით წამოდგა ფეხზე და ფარისაკენ დააპირა წასვლა.

— სად მიდიხარ, — დაუძახა ჯონქამ, — მოდი აქ დაჯექი.

და იგრძნო, რომ მკვახედ გამოუვიდა. სარხანიამ აგდებულად მოჰხედა.

— გავიარ, შე კაცო, ხომ არ დავიკარგები.

— არა, მოდი აქ დაჯექი.

— გაუშვი, იქნებ უჭირს მაგ კაცსა, — სთქვა სიცილით ყაფარამ.

სარხანაია მობრუნდა და ღიღინით წავიდა.

— შენ არ გესმის? — თითქმის დაუყვირა ჯონქამ, თითონაც წამოდგა, წამოეწია და მკლავში ხელი ჩაავლო...

სარხანიამ გაიღიმა სხვების დასანახავად, თვალები კი ბრაზით გადმოეკარკლნენ.

— გადირიე? — უთხრა ჩურჩულით, — ეჭვს აიღებენ... რომ ჩავვარდეთ, დაგვხვრეტენ ორივეს.

— მოიტა აქ წამალი.

— ხომ გაქვს შენ ერთი შუშა.

— მოიტა მეორეც.

— რად გინდა...

— მოიტა.

— მითხარი რად გინდა, კაცო, ასე როგორ შეიძლება...

— მოიტა მეთქი...

— დავალებას შესრულება უნდა, ძმაო...

— ვერ შეასრულებ.

— რაო?

ნაყვავილარს სახე გაუფითრდა, მეჩხერი წვერით დაფარულ ღაწვებზე მხოლოდ ფოლაქების მსგავს ხორცმეტებს შერჩათ შავწითელი ფერი. ერთ წუთს თვალების ხამხამით შეჰყურებდა ხორნაულს, შემდეგ ხმაშეცვლილმა სთქვა:

— გამიშვი ხელი, შენ შენთვის, მე ჩემთვის. წავალ და რაც გინდა ჰქენი...

ჯონქამ იგრძნო, რომ სიხარულით დაახრჩობდა ამ კაცს. მეორე ხელიც ჩაავლო მაჯაში, ტუჩზე იკბინა და ისე უთხრა:

— ვერსად ვერ წახვალ.

სარხანიამ გაიბრძოლა, გაინთავისუფლა ცალი ხელი და ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ ჯონქამ წელზე შემოხვია მკლავები, ჰაერში ასწია, მიწაზე დაანარცხა და თითონაც თან გადაჰყვა. რამდენჯერმე გადაგორდენ მიწაზე, ასე ჩაბლუჯულები.

მწყემსები მოცვივდნენ, გააშველეს და ფეხზე წამოაყენეს ორივენი.

— რასა ძიძგილაობთ, ყინჩო... ეკითხებოდნენ გაკვირვებით.

— დაიჭით ეგ კაცი, არ გაუშვათ, — დაიძახა აქლოშინებულმა ჯონქამ, — ცხვრის მოწამვლას აპირებდა ეგ...

სარხანიამ გაიწია, მაგრამ მაგრად ეჭირათ.

— რა ამბავია, შვილო, ცხვართან რა ხელი აქვს... — შეშფოთებული კითხულობდა თევდორე.

— აი, წამალი, — ჯონქამ ჯიბეზე ხელი მოისვა, მაგრამ შუშა იქ ალარ ყოფილა, იგი დაიხარა ძირს და სწრაფად იპოვნა, — ბალახებში გადავარდნილიყო ჭიდაობის დროს.

— ერთიც მაგასა აქვს, გაჩხრიკეთ...

სარხანიას ფარაჯის ჯიბეში ჩასტყდომოდა ბოთლი და რუხი ქსოვილი მწვანედ გაჟღენთილიყო.

— ამ ადგილს მიწა მოაყარეთ, ცხვარი არ მიაკაროთ, კარგად ნახეთ სად დაიღვარა წამალი...

მწყემსები გაოცებულნი იდგნენ, ხან ბალახს დაჰყურებდნენ, ხან ამ უცნაურ სტუმრებს შესცქეროდნენ.

— პაპავ, ორი კაცი უნდა გამატანო თოფიანი, ამას ქალაქში ჩავიყვან, — ჯონქამ თვალით ანიშნა სარხანიაზე; იგი ორივ მკლავით ისევ ეჭირათ მხარბეჭიან მწყემსებს.

სარხანიამ ხმადაბლა, მაგრამ მაინც გასაგონად, მყრალად სასოწარკვეთილად შეიგინა.

XI

სიცხე იყო და გიორგის მაინც ბეწვის საყელოიანი, თბილი პალტო ეცვა; ალფეზი უკვე ვეღარ იტანდა მის დანახვას. ბეწვის საყელოდან ისე იყურებოდა გიორგი რქის სათვალეებით, თითქო გომბეშო შოსდგომიაო ტალახიან თხრილის პირს.

ყოველთვის ცუდი ფერი ჰქონდა გიორგის, მაგრამ ახლა უცნაურად ჩასცვივნოდნენ საფეთქლები. დაწითლებულ ქუთუთოებზე ეტყობოდა, რომ სიცხე უნდა ჰქონოდა. იგი სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა კაბინეტში, კარები მაგრად მოიხურა, სავარძელში ჩაეშვა და მუხლებზე ტყავის დიდი პორთფელი დაიდო.

— გაიგე?

ალფეზმა მაგიდაზე დადებულ ტელეფონისაკენ წაიღო ხელი, თითქო ეშინოდა საიდუმლოება კაუჩუკის ყურსაც კი არ მოესმინა. მან კითხვით შეხედა გიორგის.

—დავით ციხისელი წუხელ დაუპატიმრებიათ.

ალფეზმა უეცრად იგრძნო საშინელი სურვილი — მაგიდიდან აეღო მარმარილოს მძიმე დაფა, სამელნეების დასაწყობი, გადასწვდომოდა მაგიდას და

ისე ჩაესრისა ეს სათვალეებიანი კაცი სავარძელში, როგორც გომბეშოს ან სხვა რომელიმე ქვეწარმავალს გასრესენ ხოლმე, ზიზღით, თვალის არიდებით, მხოლოდ ჭყლეტის ხმას გაიგონებენ, თორემ აღარც მიხედავ იმ ადგილს.

— მერე ჩემთან რა მოგარბენინებდა?

— თუ რაიმე ქაღალდები გაქვს — უნდა დასწვა.

— არ მჭირდება დარიგება, ბავშვი არა ვარ.

— ვიცით, გამოცდილება მართლაც და არ გაკლიათ... — გიორგის დაწითლებული ქუთუთოები აუხამხამდნენ, მან პორტფელი დააგდო მაგიდაზე და აცახცახებული ტუჩები მოკუმა. ალფეზი პირველად ხედავდა მას გაბრაზებულს.

— ნეტავი ვიცოდე რისი იმედითა გაქვს ასეთი კადნიერი ტონი, თქვენ...— გიორგიმ ასე აუწია ხმას, რომ ალფეზმა კარებისკენ მიიხედა, — ხომ იცით, რომ ახლა ერთი გზა გვაქვს, პატივცემულო, იქნებ პროფესორ ციხისელივით მხოლოდ დროებით თანამშრომლობდით ჩვენთან?.. სასაცილოა პირდაპირ, ციხისელსაც უთუოდ თქვენსავით გარკვეული, „წმინდა პოლიტიკური" მიზნები ჰქონდა, როცა პრეპარატს ამზადებდა ცხვრის ეპიდემიით დასაავადმყოფებლად...

— ყოველ შემთხვევაში, — ალფეზმა საყელო შეიხსნა, რადგან სუნთქვა ეკვროდა, — მე არ ვეფარებოდი რაღაც არსებულ თეორიებს.

— მე თქვენ გეტყვით ახლა, როცა უკვე აღარ ხართ საჭირო, რას წარმოადგენთ თქვენ, ალფეზ, — გიორგიმ ცხვირსახოცში ჩააფურთხა და ტუჩები მოიწმინდა.

ალფეზმა მშვიდად დაიწყო გულზე ხელები. მას ბრაზით უთრთოდნენ კისრის კუნთები, მაგრამ დაცინვით შესცქეროდა მოსაუბრეს.

— რას იზამ, ნიშნის მოგებით რომ მელაპარაკებით, უნდა იცოდეთ — ჩემზე ადრე თქვენ დაგხვრეტენ.

გიორგიმ ისევ ჩააფურთხა ხელსახოცში.

— ვინ იცის, იმასაც ფიქრობთ, რომ რაკი ცუდად წავიდა საქმე — გაგვცეთ და თავი დაიძვრინოთ, მაგრამ ამაო ოცნებაა, ბოლშევიკებს თქვენ ვერ შოატყუებთ. პირისპირ დაგვაყენებენ დაკითხვის დროს.

გიორგი უეცრად შეიკუმშა მთელი ტანით, ნიკაპი ღრმად ჩამალა ბეწვის საყელოში. ერთ წუთს დაფიქრებული იჯდა, თვალები გაუშტერდნენ. შემდეგ სწრაფად წამოდგა ფეხზე, პორთფელი იატაკზე გადმოუვარდა მუხლებიდან.

— წავედი.

პორთფელი აიღო და კარის სახელურს მისწვდა. კარი თითონ გაიღო, ტალანში ხაკისფერ ტანსაცმელიანი, რევოლვერიანი კაცები იდგნენ.

გიორგიმ ერთი მოხედა ალფეზს უკან.

ჩიქოვანს ორივე ხელები მაგიდის უჯრაში ჩაეწყო და ოდნავი სიფითრე გადაჰკრავდა სახეზე.

გიორგი გავიდა ტალანში და თან კარი გაიხურა, თუმცა აშკარა იყო, რომ ხაკისფერ ტანსაცმელიანები ჩიქოვანის კაბინეტში აპირებდნენ შესვლას. იგი ერთ წუთს შესცქეროდა მის წინ მდგომ უცნობ სახეებს, შემდეგ ნაბიჯის გადადგმა დააპირა, მაგრამ... შეაჩერეს:

— მოითმინეთ, თქვენ დაპატიმრებული ხართ.

XII.

როცა შინსახკომიდან გამოვიდნენ, ჯონქამ სოლოლაკამდე მიაცილა მწყემსები, გამოემშვიდობა და რუსთაველის გამზირისკენ გამობრუნდა.

მან უკვე იცოდა ალფეზ ჩიქოვანის დაპატიმრება. იგი დარწმუნებული იყო, რომ კიდევ ბევრი ახალი ამბავი დაუხვდებოდა ქალაქში და ახლა თვალით ეძებდა ნაცნობებს გამვლელთა შორის.

უკვე დაიწყო სიცხეები თფილისში. სასახლის წინ ხეივნის ფოთლებს მტვერი დასწოლოდა და გაეყვითლებია. ასფალტი ზოგგან ცომივით იზნიქებოდა ფეხქვეშ, სივდებოდა და ბორცვად ამოზიდულიყო აქა-იქ.

ხორნაული არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს გრძნობდა დიდიხნის სულთმძიმობის შემდეგ. უნდოდა ხულ ხმამაღლა ელაპარაკა და უმიზეზოდ სიცილი დაეწყო, როგორც ფშაველ მწყემსებთან ერთად ხჩადიოდა წეღან, ქუჩაზე მიმავალი.

ოპერის თეატრამდე ჯონქას რამდენიმე გამზირელის გარდა ნაცნობი არავინ შეხვედრია. ბოლოს ერთგან თვალი მოჰკრა ციცინო ამილახორის შუქურა ქუდს, მაშინვე გზა გადაუჭრა და მიესალმა.

— რა არის თქვენსკენ ახალი, ციცინო? — ჰკითხა მან ქალს ხელის ჩამორთმევისთანავე.

— რა უნდა იყოს, ჯონქა შენ ალბათ ჩემზე უკეთესად იცი ყველაფერი.

— არა, მე ეს ორი-სამი დღეა სახლიდან არ გამოვსულვარ, — გულმართლად იცრუა ჯონქამ, — ჩამოვრჩი ცხოვრებას.

— ორი-სამი დღეა? მაშ იქნებ არც ის იცი, რომ მანანა გათხოვდა,

ჯონქას ძლიერ არ გაკვირვებია. იგი უკვე გადაეჩვია გაწითლებას, ახლა მხოლოდ თვალის ქუთუთოები აეწვა.

ხომ მოელოდა, წინასწარ გრძნობდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო.

— არ იცოდი, ჯონქა?

— არა, არ ვიცოდი, — ციცინო გამომცდელი თვალით უყურებდა. მას ჩვეულებად ჰქონდა მოსაუბრის მკლავზე დაყრდნობით წელში ოდნავ თავისუფლად მოხრა და გვერდიდან ცქერა; უთუოდ იმიტომ რომ იშვიათად თუ იპოვიდა თავისი სიმაღლის მოსაუბრეს; თანაც ამგვარი ქცევა მის ტანს უფრო მეტ სინაზესა და მოქნილობას აძლევდა.

ჯონქას უნდოდა სრული გულგრილობა გამოეჩინა.

— შენ, ციცინო? შენ როდისღა გათხოვდები?

— მგონი აროდეს.

— მართლა?

— შენ რას იტყვი, ჯონქა, შევძლებ თუ არა მე თავისუფლად ვიცხოვრო და თანაც სახელი არ გავიტეხო?

— რას ეძახი თავისუფლად ცხოვრობას ან სახელის გატეხვას? — ჯონქას უკვე აღარ უნდოდა ამ ქალთან ლაპარაკი.

— მაშ მანანა გათხოვდა.

გათავდა ზღაპარი.

— მე ვერ ვივარგებ მრჩევლად, ციცინო, — დაასკვნა ჯონქამ.

ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს, ჯონქას უნდოდა ეკითხა ვინ იყო მანანას ქმარი, მაგრამ თავი შეიკავა. როდესაც უკვე გამომშვიდობებას აპირებდნენ, ციცინოს უეცრად მოაგონდა:

— მართლა,შენ არც ის გეცოდინება, რომ ძია დავითი დააპატიმრეს.

ჯონქამ არც ეს იცოდა.

— შენ წარმოიდგინე, წინა დღით მანანამ და თამაზმა ხელი მოაწერეს და მოსკოვს გაემგზავრნენ, მეორე ღამეს კი დავითი დააპატიმრეს... ამბობენ, რომ დიდი მავნებლობა აღმოუჩენიათ.

ჯონქასთვის თანდათან ყოველივე ნათელი ხდებოდა.

— ნახვამდის ციცინო.

— ნახვამდის...

მაშ ასე, მანანა მოსკოვს გაემგზავრა.

თავაღებული, ფიქრიანი თვალებით მიდიოდა ბიჭი ქუჩაზე. იგი არ გრძნობდა გულისტკივილს. ყოველივე ისე წარიმართა, როგორც მოელოდა და თავის გატაცებისათვის არ უნდოდა სისულელე ეწოდებია. ჯონქა შეეცადა მოეგონებია მანანას ღიმილი, ისეთი ღიმილი, როგორიც მხოლოდ მანანამ იცოდა. შეეცადა და ვერ იპოვა, ისევ ის ცივი, ზოგჯერ მაცდური, დამცინავი, უცხო გამოხედვა მოაგონდა, ბოლო დროს, უბრალო ყოფნისას რომ ჰქონდა მანანას. მან თავისთავს უღალატა, შეიცვალა. რომელი იყო ნამდვილი მანანა, ის პირველი, თეთრი იასამანი, თუ მეორე, გამოცვლილი? რასაკვირველია პირველი. მაგრამ იგი გაჰქრა. და ჯონქამ ისევ თითონვე გაუღიმა თავის წარსულ სიყვარულს. მას ახსოვდა, ყველაფერი ახსოვდა და საოცარია — მოგონება მაინც არ იწვევდა ტკივილს.

გათავდა ზღაპარი.

პატარა ენძელა კი, უფოთლო ენძელა, წელიწადში ორჯერ ამოდის. თუმც მეორეჯერ მხოლოდ შემოდგომით, როცა ფოთოლცვენა დასრულდება და საფაცაცა უნდა დაიწყოს ჭირხლი, ცივი ნისლი. მაგრამ რა საჭიროა ეს სიმბოლიკა. ჯერ მაისია: ჯონქასთვის მაინც, — ენძელები ისევ ამოვლენ. მარტის ენძელა თუ დასჭკნა, — მზეს ვერ გაუძლო უთუოდ.

ჯონქა ფიქრებიდან გამოერკვა, მან გადასწყვიტა ახლა პირდაპირ ეგნატე ლაზიშვილთან წასულიყო.

მოხუცი პროფესორი სახლში დაუხვდა. მის ოთახში ისევ ისეთი უხერხული სისუფთავე იყო, როგორც ყოველთვის. გაპრიალებულ იატაკზე მაინც დარჩებოდნენ ლაქები, რაც უნდა გულდასმით გაგეწმინდა ფეხსაცმელი შესასვლელში. ჭერამდე იყვნენ აღმართული ოთხივე კედლის გასწრივ წიგნის კარადები. მაგიდაზეც წიგნები ეწყო, ტახტზეც, დერეფანშიც, მაინც არ ეტეოდა და რამდენიმე იატაკზეც მოესვენებიათ კუთხეში.

სისუფთავე და წესრიგი მეფობდა მთელ ბინაში, მაგრამ გამოცდილი თვალი შეიტყობდა, რომ მარტოხელა კაცი ცხოვრობდა აქ.

ეგნატე სათვალეებით იჯდა მაგიდასთან. გაყვითლებული ხელნაწერები ფართალივით ჰქონდა გაშლილი.

— ოჰ, ჯონქა, შემოდი, შემოდი. — იგი სავარძლიდან წამოდგა და ხელი ჩამოართვა.

— კარგი ჰქენ, რომ მინახულე..

მოხუცს უთუოდ გულწრფელად გაეხარდა ჯონქას მისვლა, ჭროლა თვალები კეთილად უღიმოდნენ სათვალეებ ქვეშ.

— სხვა, ჯონქა, ახალს რას იტყვი?

ჯონქას ახალი ის უნდა ეთქვა, რისთვისაც მოვიდა აქ.

— ახალი ის არი, რომ მე უკვე გადავწყვიტე — სთქვა მან.

— გადასწყვიტე?..

— დიაღ, ჩემს სოფელში დავბრუნდე მასწავლებლად.

ეგნატე ადგა, პატარა აივნის კარებთან მივიდა და ქალაქს გახედა. იგი ასე იქცეოდა ყოველთვის, როცა ფიქრი უნდოდა.

— ყოჩაღ, ჯონქა. მე ვიცოდი, რომ შენ ადრე თუ გვიან, აგრე უნდა მოქცეულიყავ. — ეგნატე მობრუნდა და ისევ მაგიდასთან დაჯდა.

— ადამიანი ისე სიყვარულით და პატივისცემით არვის მოიგონებს, როგორც კარგ მასწავლებელს, — ეგნატემ ჩაფიქრებით დაუწყო თითებით ვარცხნა მოკლე წვერს,—ზოგჯერ შემთხვევით წამოცდენილი რამ ისე ღრმად ჩაიმარხება გულში, რომ შემდეგ თითონვე აღარ გახსოვს—საიდან გაჩნდა ეს უძველელი ლტოლვა თუ ინტერესი ცხოვრების რომელიმე მხარისადმი, შენ მაშინ კარგადა სთქვი, მართლაც რა უნდა იყოს იმაზედ უფრო დიდი სიხარული, როცა ამჩნევ თუ როგორ გაუღე ბუნების კარი ადამიანებს, როგორ უფართოვდებათ ბავშვებს თვალები. სამუდამოდ აღიბეჭდება მათ ხსოვნაში ის, რასაც ინტერესით, მონდომებით გადასცემ. თუ შენ გსურს გახდე სრულყოფილი, მთლიანი პიროვნება, ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული თვითაღზრდით და ყველაზე უკეთესი პირობა ამისათვის არის თვალყურის დევნება ხსვების აღზრდაზე. უბრალო ჩვეები სკოლის სკამიდანვე ანსხვავებენ ადამიანებს ერთმანეთისაგან. მასწავლებელი ყოველთვის წაბაძვის საგანია ბავშვებისათვის. იქ უნებურად დააკვირდები შენს თავს.

ჯონქა იდაყვით დაყრდნობოდა მაგიდას, ხელები თავზე შემოედო, და თმებში დაემალა, ყურადღებით უსმენდა.

— ხომ გაგიგონია ჯონქა, — განაგრძობდა ეგნატე, — ზოგიერთ ოჯახზე, გვარზე, ან უფრო იშვიათად,—სოფელზედაც იტყოდნენ ხოლმე — პატიოსანი ხალხიაო. ეს იმიტომ, რომ ერთი გამორჩეული მათ შორის კეთილშობილი, ძლიერი ნებისყოფით, გავლენა მოუპოვია ახლობლებზე და მთელი თაობა მის კვალს გაჰყოლია. ასეთი უნდა იყოს მასწავლებელიც. ახლა ეს მითხარი, როდის აპირებ გამგზავრებას.

— სულ მალე. უთუოდ ვეღარც გნახავთ წასვლამდე. სახელმწიფო გამოცდებს კი შემოდგომაზე ჩავაბარებ.

— მაშ მოიცა, მე შენ სამუშაოს მოგცემ. იქ, სოფლად უკეთესად, უფრო გულდამჯდარად შეიძლება კითხვა და რაც მთავარია — წაკითხულზე ფიქრი.

პროფესორმა დაიწყო წიგნების ჩხრეკა, რამდენიმე მათგანი ამოარჩია და წინ დაუწყო ჯონქას. შემდეგ დავალება მისცა, სთხოვა მისი ახალი შრომისათვის ისტორიული გადმოცემების შეგროვება.

ბოლოს, გამომშვიდობებისას, კიბემდე გამოაცილა და მოეხვია.

— წერილები მოიწერე ჯონქა, არ დამივიწყო. როცა კი ჩამოხვიდე, უსათუოდ მოდი ხოლმე, მინახულე...

ჯონქა გახარებული გამოვიდა გარეთ.

გადასწყვიტა ვაკეში, სტუდენტთა ქალაქამდე ერთხელ კიდევ ფეხით გასულიყო.

როცა უნივერსიტეტის თეთრ შენობასთან ჩაიარა, გაჩერდა მოპირდაპირე მხარეს, ვარაზის ხევთან და დიდხანს უცქერდა.

მზით განათებული დიდი ფანჯრების იქით, დერეფნების სიღრმეში, სახეები გაიელვებდნენ ზოგჯერ. ბაღში, სადაც მელიქიშვილის ძეგლი იდგა, ფართო კიბეებზე და კარებში სტუდენტები ირეოდნენ.

ჯონქამ განაგრძო გზა სტუდენტთა ქალაქისაკენ. ნაბიჯი მსუბუქი ჰქონდა და თანაც მშვიდი.

მას მოაგონდა თავისი ოჯახი, რომელსაც მალე ნახავდა. დედა, კალთაზე რომ მუდამ ნიგვზის ხის ქერქის სურნელი ჰქონდა; ქერაულვაშა, ჯმუხი ფშაველი მეცხვარე — ლუკა ხორნაული. შემდეგ თვალწინ დაუდგა ის ორსართულიანი, რიყის ქვით ნაშენი სახლიც, სადაც მათი სოფლის სკოლა იყო. ქვევითა სართულის ფანჯრებს სულ ფიცრები ჰქონდა მიკრული, რადგან მინებს ბავშვები ამტვრევდნენ შურდულებით. აივანი იორის ტოტს გადასცქეროდა, მდინარეზე გადახრილ წნორებს ფოთლები დარშიც სველი ჰქონდათ ლოდებზე აქაფებულ ზვირთებისგან.

ჯონქამ ასწია თავი და გახედა ქუჩას. პირველად იგრძნო ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, რომ ის რიყის ქვით ნაშენი სახლი ძლიერ ახლობელი იყო მისთვის. ყველა ოთახი, შერყეული კიბის საფეხურებიც კი დაწვრილებით ახსოვდა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სიმღერა ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებზე

მაისის ციდან რამდენიც წვიმის წვეთები ვარდება,
იმდენი სიტყვა რომ მქონდეს — გულში გაშლილი ვარდებად, —
მაინც ვერ ვიტყვი სამშობლოს გმირთა ღირსეულ დიდებას,
მათზე მომღერალს უთუოდ შოთას კალამი სჭირდება.
ბედნიერ ქვეყნის შვილებო, მკერდით მიარღვევთ გრიგალებს,
ნეტავ რა ძალა გაგიძლებთ შევარდნებს დაურიდალებს?
არასდროს მიიფერფლება ცეცხლი გულებში ჩაღვრილი,
ცაში დაჰქრიხართ ამაყად ფრთებზე ვარსკვლავებდაყრილნი.
სამშობლოს გაღიმებაა თქვენი სიტურფე ქებული,
მზე გიელვარებთ თვალებში და ყვავილების კრებული.
გზრდით ბრძენი მამის ალერსი — სიცოცხლის წყარო ანკარა,
ვის უნახია ცხოვრება ამღერებული ამგვარად!
მტერს თქვენი ძალა უტეხი ძილშიაც დაეზმანება,
ბრძოლა გჩვევიათ ლომური, სამშობლოს ლამაზმანებო.
შრისხანე ძალით ჩააქრობთ ყველა ვერაგის ავთვალებს, —
ეს სტრიქონები, ლამაზნო, თქვენს სადიდებლად ავთვალე!

ბონდო კეშელავა

ორი ლექსი

* * *

ტყე რას ნიშნავდა არ ვიცოდი, იას ვეძებდი,
ვნახე ია და იამ თვალში სინათლე მტყორცნა,
დავფიქრდი ბავშვი გულჩვილი და გაუბედავი,
სხვა გზა ვერ ვნახე და აღვბეჭდე იაზე კოცნა.
ნაკოცნი ია პატარა ბავშვს სახლში მიმქონდა,
დედის სარკის წინ რომ დამედო კონა იისა,
ტყე ჩურჩულებდა, სასიამო ნიავი ჰქროდა,
და დღე გათენდა ტყის და ბავშვის სიყვარულისა.
გზაზე შემომხვდი, ჩამღუღუნე:—მაჩუქე ია...
ვაჟმა გოგონას, მე უარი ვეღარ გითხარი,
თუმცა ხედავდი, რომ გიჩვენე თვალები მღვრია,
მაინც წაიღე ია ჩემი და გაიხარე.
ჩვენი ბავშვობა, ჩვენი ყრმობა თვით ია იყო,
გულებიც იამ შეაერთა, ვარდის გულები,
დავიზარდენით... სიყვარული ორად გაიყო,
და დღეს იმ იის ნაფუძრიდან გებულბულები.
ჩემთან არა ხარ, მე დაგტოვე თუ შენ წახველი,
ეს ვის რად უნდა, საიდუმლო ჩვენშივე დარჩეს,
თუმცა ოდესმე ბარათების ვინმე მნახველი
გაიგებს ამა საიდუმლოს და გამოაჩენს.
წლები წასულან და წასულან, საით წავიდა?
შენ სად იყავი, არ ვიცოდი გულს გეფიცები,
შემხვდი, გიცანი, რით გიცანი? ტკბილი ხმითა და
შენი ლამაზი, ახოვანი მკერდის ფიცარით.
შეგხვდი, მიამა და სიამე არ მსურს ჩავთელო,
ყრმობის დღეები რადგან წუთით შენ გააცოცხლე.
თვალწინ მეხატვის ახლა, კარგო, ის ტყე, ის მდელო,
სადაც პირველად იას ვაკოცე.

*
* *

იმ სახლთანა ვარ, სადაც ოქროს დღენი ატარე,
იმ აივანთან, იმ სარკმელთან, თმას რომ იწნავდი,
სადაც გიხილე თვალმაყვალა, ტანად პატარა,
სად ციმციმებდი ნათელ სახით, როგორც წმინდანი.

შემოგეჩვიე და ორთავეს ჩრდილით გვფარავდა
შენს აივანთან მოშრიალე თუთის რტოები,
და მიტაცებდა, მიტაცებდა ალისფერადი
ზაფხულის ძილით მოთენთილი ქუთუთოები.

დღესაც აქა ვარ, იმ თუთასთან, იმ აივანთან,
ასე მგონია გადმომხედავ კვლავ თმებდაწნული,
არ მჯერა, არა, ის დღეები თუ გაიფანტა,
აღარ შემხვდები ტანწერწეტა, კოხტა ქალწული.

საღამოვდება, ამაოა ლოდინი ახლა,
შევრჩი ოცნებას... ახლობელი აქ არვინ არი,
ეზოში შენი ჩაის ვარდიც არ მოსჩანს ბაღთან
და სდგას მოწყენით ის თუთის ხე, ის აივანი.

ანდრო ლომიძე

ა რ ხ ი

I.

შემოდგომის ღამეში ქარის ფრთები გამოიბეს წვიმის წვეთებმა; მწყრე-ბივით ეცემოდნენ ფანჯრის მინებს და ქვეით მისრიალებდნენ.

ფანჯარასთან იდგა მღვდელი. შიშითა და სიძულვილით გაჰყურებდა ექსკავატორს, რომელზედაც ქანაობდა შუქჭარბი ელნათური.

ოთახში ჭრაქი ბოლავდა.

ორი კვირის წინათ მან ინახულა კოლხიდმშენის უფროსი და სთხოვა: ჩემს ეზოში ნუ გაიყვანთ არხს, საფლავიდან ნუ ამოჰყრით ჩემი ცოლისა და შვილის ძვლებს, საცაა სიკვდილი მომნახავს და იქამდე მაცალეთო.

ახალგაზრდა, შავთვალწარბა უფროსმა დინჯად უპასუხა:

— ბეგლარ! თქვენს ეზოში არხის გაყვანით მთელს სოფელს დავიცავთ წყალდიდობისაგან. ახალ სახლს აგიშენებთ, მიწის უკეთეს ნაკვეთს მოგ-ცემთ. სხვა, მეტი არაფერი შეგვიძლია.

თან ეტირებოდა და თან ბრაზი აღრჩობდა ბეგლარს, როცა უკან ბრუნ-დებოდა.

შეღამებამდე ზღვის პირას იჯდა.

ჰორიზონტზე გიგანტური თეთრი დათვებივით იზმორებოდნენ ღრუბ-ლები.

ბეგლარი სევდიანად თვალს ადევნებდა პატარა, ყელშავ თოლიას, რო-მელიც ეცემოდა ზვირთებს და თევზს იჭერდა. თოლიამ წყლიდან ძლივს ამოათრია „სულტანკა“. შეფართხალდა თევზი, ნისკარტიდან დაუსხლტა და ბეგლარის წინ გაადინა ტყაპანი. მცირე ხანს თოლია ერთ ადგილზე დასტრი-ალებდა, და მერე ზღვის ნაპირს გაჰყვა ფარფატით.

ამოიოხრა. ფანჯარასთან მიითრია სკამი და დაებჯინა, მოაგონდა ძმა ლევანი: მაღალი, ახოვანი ჟანდარმი; ესტუმრებოდა ხოლმე და ღრეობდნენ. განთიადისას მთვრალი ლევანი გარეთ გამოდიოდა. ბარბაცებდა, წარბებს თვალებზე იფარებდა. ბოლჩიდან ამოიძრობდა „ბერლინ გერმანიას“ და გლე-ხების ქათმებს ესროდა. ბეგლარსაც რამდენჯერ ჩაუცვამს თავისი შვილის — ბოქაულის ტანისამოსი, წვერი ყაბალახში დაუმალნია (რომ გლეხებს ვერ ეცნოთ) და სოლოაში შესჯიბრებია ლევანს! შევიწროვებული გლეხები სხვა სოფლებში გადასახლდნენ. ბეგლარის ბინა ამისათვის დარჩა განმარტოებით.

ემდუროდა წარსულს: რად მიმატოვე წუთისოფლის ამ ბნელ, გაუვალ ღამეშიო. და ეჩვენებოდა, რომ ზღვაური კი არა, შავი, ბებერი, თვალებწირპლიანი ძაღლი ჩამოსკუპებულიყო ბუხრის მილზე და გულღამიან ღრუბლებს შეჰზმუოდა, თითქო ისიც დაკარგულ პატრონს უხმობსო.

შეგორდა ბინძურ საბანში. ზედ დაკონკილი ანაფორა წაიხურა და ხვრინვა ამოუშვა.

ექვსოთახიან სახლში დარბოდნენ ვირთაგვები.

წვიმა ატანდა ჭერს და რიტმიულად არხევდა აქა-იქ გაბმულ აბლაბუდას; ქსელზე დარბოდნენ ობობები, მსხვერპლს ეძებდნენ.

იატაკზე და კედლებზე დაფუსფუსებდნენ ხოჭოები. მძინარე, ბებერ კატას ხოჭო შეაცოცდა ყურზე. წითური ყური ზანტად გაიქნია კატამ და ვირთაგვის ზურგს მიანარცხა ხოჭო. შეშინებული ვირთაგვა შედგა უკანა ფეხებზე და რამდენიმე წუთის განმავლობაში უმზერდა კატას.

II.

დილით მღვდელი ამონალის საწყობთან იდგა და ამოძირკვის ოსტატს ესაუბრებოდა:

— ამოვაგდებ მუხის ფესვებს და მომავალ წელს მთელ ეზოში დავრგავ მანდარინებს. აბა მაშინ შევეჯიბროთ მე და კოლექტივის წევრები. ახლანდელი მთავრობა მე თქვენზე ნაკლებად არ მიყვარს, შვილებო.

ულვაშ-მოპარსულმა, შუახნის ოსტატმა ამონალი მიაწოდა და უთხრა:

— თუ არ იცით ხმარების წესი, მე გავასუფთავებ თქვენს ეზოს. ამონალთან ხუმრობა არ შეიძლება.

— როგორ არ ვიცი, შვილო. რომ საჭირო იყოს, შენისთანა ოქრო კაცს როგორ მოვერიდები!

მადლობა გადაუხადა ოსტატს და ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისაკენ.

ძონძებში გახვია ამონალი და ტახტის ქვეშ შეინახა.

III.

ექსკავატორი სთხრიდა არხს. ფოლადის კბილებს ხარბად ასობდა მიწას და ღამეს, ზურგით მიჩოჩავდა ბეგლარის სახლისაკენ.

ჭაობის წყალი ეშვებოდა არხში და წყაროსავით ხმაურობდა.

ექსკავატორთან მდგარი ბრიგადირი ეხვეწებოდა სახე-გამურულ, გაძვალტყავებულ მემანქანეს:

— შენი გულის ჭირიმე, ვანო, დაწექი სამალარიო სადგურში. მოგკლავს, შე ოჯახქორო, ციება. რომ გიყურებ—ვიტანჯები. გეგმას უშენოდაც როგორმე შევასრულებთ.

— ციებას როგორ შევუშინდები? ციება და მე დავძმობილდით,— ხუმრობდა მემანქანე ვანო უდავიჩენკო და ქანჩს ატრიალებდა ბერკეტის ჭანჭიკზე.

როცა ძალა დაატანა ბრიგადირმა, გული მოუვიდა ვანოს, ხელი აუკანკალდა და ჭანჭიკი ჩაუვარდა ტლაპოში.

— არსად არ მივდივარ. ხუთი დღე დამრჩა თვის ბოლომდე. გეგმას შევასრულებთ და მერე ვილაპარაკოთ,—ჩაიდუდუნა, ექსკავატორი გააჩერა და ძირს ჩამოხტა ჭანჭიკის საძებნელად.

ბრიგადირმა ხელი ჩაიქნია; — როგორც გენებოს ისე მოიქეცი. გადახსნა ცალლულიანი თოფი, ჩასდო შიგ ვაზნა და არხს გაჰყვა.

ცეცხლფარეშმა დურუ ოჩიგავამ დაჰკეტა ქვაბის ონკანი, დაიხარა და ძეგრულად შეესიტყვა მემანქანეს:

— ვიცი, ვანო, რაც გაწუხებს. ქალს თხოულობ და იმისათვის არ გინდა საავადმყოფოში დაწოლა.

— ჰო, ამ თვის ბოლოს უნდა ვითხოვო. — უხერხულად ჩაეღიმა, შეაჟრჟოლა, კბილები დააკაწკაწა და დასძინა: თუ საუკეთესო სტახანოველი არ გახდები — არ გამოგყვებიო, მითხრა ლუბამ, მაგრამ ეს მაინც არ არის შთავარი.

უდავიჩენკოს შეყვითლებულ თვალებში წყენა გამოიხატა. ელნათურის შუქში შენიშნა ეშმაკური ღიმილი ცეცხლფარეშის წვერგაუპარსავ სახეზე და თავათ გაუბრწყინდა სახე.

— კარგად რომ ვმუშაობთ, დურუ — მიხარია. იცი რასა ვგრძნობ...

მემანქანე იხედებოდა თავისსავე სულში, სიტყვებს ეძებდა.

დურუმ თვალები მოწკურა და წასჩურჩულა:

— აი, ფული როცა ბევრი გვაქვს, ყველასთვის ყიდულობ საჩუქრებს და გიხარია.

— სწორედ ეგ არის! — აღფრთოვანებით შეაწყვეტინა სიტყვა, ჭანჭიკი ამოიღო ტლაპოდან, ავიდა ექსკავატორზე და ისევ აამუშავა.

ბრიგადირმა წარმოიდგინა ევკალიპტისა და მანდარინის თვალუწვდენი, აშრიალებული ბაღები და ინატრა: ნეტავ კიდევ მაცოცხლა ასი წელიო.

შედგა.

შორს შველი უხმობდა შველს.

მას მოაგონდა ყელმოღერილი შველი, ორი დღის უკან რომ გამოვარდა არხთან და დაიბნა.

თოფი ძირს დაუშვა. ეწადა მისულიყო შველთან, ჩაჰხუტებოდა, მისი ყელი მოეფხანა და ეთქვა: რად გიკანკალებს მუხლები, მშვენიერო? დამშვიდდი, მე აღარ გესვრი თოფსო.

ათრთოლებული შველი და თვალებ-ალერსიანი ბრიგადირი მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

შველს შუბლზე დაეცა თხმელის ხიდან მოწყვეტილი ფოთოლი. ახტა, ბარდს გადააფრინდა და ტყეს შეაფარა თავი.

ბრიგადირს ახარებდა ჭაობების ამოშრობა და თან ტკივილსა გრძნობდა. ხომ დადგებოდა დრო, როცა ვერც შველს და ვერც თხმელის ტყეს ველარ ნახავდა კაცი! თითქო იმ შველთან, იმ თხმელის ხეებთან ერთად ისპობოდა შისი სიცოცხლის ის ნაწილი, რომელიც იქ გაეტარებინა.

ღამეში და ტყეში შველი ისევ უხმობდა შველს.

ჭაობებიდან მომსკდარი წყალი არხში კვლავ გალობდა წყაროსავით.

ხეებს შორის უცებ გამოჩნდა კატერპილარი. ტახივით გარბოდა. საწვავი და საცხები მასალით დატვირთულ მარხილს ექსკავატორისაკენ მიაჭრიალებდა მიწაზე.

IV.

ულრან ტყეში დაძუნძულებდა ძუ მგელი, ზღვაურთან ერთად ყმუოდა, წამწამებით სთხრიდა ღამეს, როგორც თხუნელა მიწას და დარდიან თვალებს გზას უკაფავდა სინათლისაკენ.

ბეგლარს იღლიაში ამოედო ამონალი, გაწოლილიყო თხმელის სველი ფოთლებით დაგებულ მიწაზე, მიხოხავდა ექსკავატორის ზურგისაკენ და ფიქრობდა: მაშხალასავით რომ აენთოს და არ ააფეთქოს ექსკავატორი? რომ შემამჩნიოს ცეცხლფარეშმა ან მემანქანემ?

მან იცოდა, რომ ექსკავატორის აფეთქება განადგურებისაგან ვერ იხსნიდა მის ეზოს; ერთი თუ გაფუჭდებოდა, მეორეს დააყენებდნენ. მას კარგად ესმოდა, რომ სჩადიოდა მძიმე ბოროტმოქმედებას, რომლის გულისათვის დახვრეტდნენ, ან გადაასახლებდნენ და მაინც რაღაც ძალა ძალუმად ეზიდებოდა ექსკავატორისაკენ.

მუხლუხებთან წუმწუმა ამოიღო ბეგლარმა და გაიყინა. შიშმა შეიპყრო: სინათლეს მოჰკრავენ თვალს და თავს დამატყდებიანო. მან უცებ წარმოიდგინა ტყვიით გაპობილი საკუთარი შუბლი, თავისი თავი შეეცოდა და მოუდუნდა სხეული. უსაზღვრო სიყვარული იგრძნო ბეგლარმა იმ ლბილ, დამპალ ტოტებით და ფოთლებით მოფარდაგებულ მიწისადმი, რომელზედაც იწვა. უნდოდა უკან დაბრუნება, გაპარვა, მაგრამ იწვა მოდუნებული და ვერ ინძრეოდა.

გრუხუნებდა ექსკავატორი. მისმა კბილებმა მიწის სიღრმიდან ამოაგდო გველი. გველი შხრიალით ჩაცურდა ბეგლარის გვერდით და იქვე მაყვლის ბუჩქს მიაშურა.

ექსკავატორი დაიძრა და ბუჩქს გადაუარა.

———

იოსებ მჯედლიშვილი

ოიანა-ბუიანა

(ისტორიული ტრაგი-კომედია 4 მოქმედებად და 7 სურათად)

მოქმედნი პირნი:

რევაზ—მოურავი ქიზიყისა საქართველოს მეფის დროს.

ოიანა-ბუიანა — მეფის მასხარა, ქიზიყელი გლეხი, ბერიკების ხელმძღვანელი.

ხიხო, კიკო, რიკო, დოყო, ბოყო, როყოყო — ბერიკები.

ბერიკა **ტახი**, ბერიკა **ვირი**, ბერიკა **ქალი**, ბერიკა **სიძე**, ბერიკა **პატარძალი**, ბერიკა **აბდულ-მირზა**. **ბეგო მაწუნწარას-ძე**—ჯამბაზი (ოიანა-ბუიანას მიერ გაზრდილი ობოლი, ქიზიყელი გლეხი).

მეძავ-მანანა—რევაზის ძმების მიერ ქუთაისში ნაყიდი მონა-ქალი.

სანთო—ოიანა-ბუიანას ასული.

თაფლო—რევაზის შინაყმა ქალი.

ბაძო—თავისუფალი გლეხი.

ზაზო—ბაძოს მოხუცი მამა.

უთრუთ—რევაზის შინაყმა გლეხი.

სიდო—უთრუთის დედა.

თადე—პატარა ტანის გლეხი.

სანდრია—ყმა, მეჩონგურე ბიჭი.

მოტირალი დედაკაცები—ხალხიდან.

ტიბუირა—აზნაური, რევაზის ციხე-კოშკის უფროსი.

ფეშანგი—თავაღებული ახალგაზრდა თავადი, გარყვნილი და მოქიშპე რევაზისა.

ზაქარია და **ოთარი**—რევაზის ძმები.

ბატონიშვილი—მეფის პირმშო, ბატონი კახეთისა, ხალხის მიერ ცხვარიჭამიად წოდებული.

კამარგელი (აზნაური)—მეფის საიდუმლო აგენტი რევაზის წინააღმდეგ.

ქილიფთარი—ბატონიშვილის მოსამართლე.

ორი შიკრიკი—ბატონიშვილისა.

დარაჯი, ჯალათი თორლა, მედოლე ლეკი, შავი კაცი—(მოჩვენებანი), იფრინდა, დიდებულნი, თავადები, მოხელენი, გლეხები, ყმები, ყმა-ქალები და სხვანი.

მოქმედება ხდება ქიზიყში საქართველოს მეფის დროს მეცხრამეტე საუკუნემდე.

მოქმედება პირველი

ქოდალო. რევაზის ციხე-კოშკი. დილა-ბინდია. შორიდან მოისმის ოლოლის ხმები. ბერიკები ასახიერებენ ხალხურ თქმულებას ოლოლზე. ციხის კარებში დგას დარაჯი.

— მეხბორეე...

— უუუ...

— იპოვნეე?..

— ვერა, ვერაააა...

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

დარაჯი — საკვირველია! ამ დროს ოლოლის ძახილი არ გამიგონია ჩემს სიცოცხლეში. მაგრამ სიცილი რაღაა? ავი სულები ხომ არ არიან? საცაა მზე უნდა ამოვიდეს და რა უნდათ ამ დროს ავ სულებს?... ციხეს მივხედო, არავინ გამეპაროს, თორემ ბატონები სულს თვალებიდან ამომჩიჩქნიან. (თან ათვალიერებს, თან თავისთვის ღიღინებს):

მამაჩემიც სდარაჯობდა ამ ციხეს.
ციხეში კი იმისი ძმა ტყვეობდა.
მეც, ვინ იცის, იმნაირ ტყვეს ვდარაჯობ,
ვის გულშიაც ჩემი ძმობა მზეობდა...

გარედან — ხა, ხა, ხა, ხა, ხა.

დარაჯი — კიდევ... ვინ უნდა იყვნენ?

ხმები გარედან—(როგორც ბაყაყებმა იციან გუბეში):

— გატეხილია, გატეხილია.

— ყუაში! ყუაში!..

დარაჯი — ეს ბაყაყები რაღაა?

ხმები — დამპალა...

— ლაყეა...

(შემორბიან ურიამულით ბერიკები. წინ შემოუძღვით ტახი. ჯამბაზ-ბეგოს აქეთ-იქიდან ხელს თავში აჭერენ და ყვირიან „დამპალა, ლაყეა". ხიხოს მოჰყავს აკიდებული ვირი. ნიღაბში არიან).

ხიხო — ჰაცე ვირო! (დაარტყამს სახრეს).

ვირი—ეი, რატო იგრე მართლა ვირსავითა მცემ!

ხიხო—მაშ კარგი და მუტრუკსავით აგადებ! (კიდევ დაარტყამს).

ვირი—ეჰეი, ფრთხილად. თორემ თუ გიჩივლე ბატონთან!

ბერიკები—ხა, ხა, ხა, ხა, ხა. (ტახი დააკაპუნებს).

ხიხო—შენ ეი, ტურუხანავ! (შიდის ტახისაკენ).

ტახი—მე თავი დამანებე, თორემ სათითესავით წამოგიცვამ ეშვზე.

დარაჯი—ვინა ხართ თქვენა?

ხიხო—ჩვენა? მოხუცი ზაზო და მანდილოსნები სათვალავში არ ჩაიგდეზა. დანარჩენებს კი ეხლავ გაგაცნობ: (მიიდებს გულზე თითს) ხიხო! (მერე გააცნობს სხვებს): კიკო, რიკო. ეს ერთი დასტა. ეხლა მეორე: დოყო. ბოყო, როყოყო და ესეც ბეგო მაწუნწარას-ძე. ვირსა და ტახს შენც კარგად იცნობ—დანარჩენები წარამარა ხალხია. მხოლოდ ოიანა-ბუიანაღა გვაკლია.

დარაჯი—მე თქვენ გიჩვენებთ ოიანა-ბუიანასა! გამშორდით აქედან!

ხიხო—აეყუდე მაგ ციხის კარებს. პატიმარი არ გაგეპაროს... ბიჭებო, აგე, აგე, აგე! ჰხედავთ? მოდის!

კიკო—არა, მობობღავს.

რიკო—მოქივქივებს.

ხიხო—რა უნდა იყოს?

კიკო—ზღარბია.
რიკო—ტურაა.
დოყო—ტურა კი არა კიბორჩხალაა.
ბოყო—თხუნელაა, თხუნელა.
როყოყო—რას ამბობთ კაცო, ეგ ხომ ჭიანჭველების ხელმწიფეა.
ხიხო—ხელმწიფე კი არა, ახლა დედოფალი მომიგონეთ — მუტრუკია.
(შემოდის ტიბუირა).

კიკო—მაიმუნი ყოფილა.
ტიბუირა—რაო?
(ბერიკები ვითომ ვერ დაინახავენ ტიბუირას, ზურგს შეაქცევენ, შეეუჩდებიან ერთად და რაღაცას აშენებენ ჰაერში).
ხიხო—ვაშენებთ!
კიკო—ვაშენებთ!
რიკო—ვაშენებთ!
დოყო—თარაზო!
ბოყო—აჰა!
როყოყო—შიმშა!
ბოყო—აჰა!
ყველანი—აშენდი კედელო, დაუნგრეველო!
ხიხო—ავიდა!
კიკო—ავიდა!
რიკო—ავიდა!
ყველანი—(მღერიან)

მანავისა ციხეო,
ალარ ჩამოინგრეო,
ზურაბის დატანებით
თავი გაიმკვიდრეო...
დედისერთა ზურაბო!
უნდა დაგადუღაბო!

დოყო—კირი!
ბოყო—აჰა!
როყოყო—აგური!
ბოყო—აჰა!
ხიხო—ავაშენეთ, ავაშენეთ!
დოყო—ქვა მომაწოდე.
ბოყო—რომელი?
დოყო—ნიშა-ნიკორა და საყურეებიანი! ქვა არ იცი?.. მომაწოდე!
ყველანი—ავიდა კედელი, დაუნგრეველი... ხარიხა!
(შედგებიან ერთმანეთის მხრებზე, ვითომ მეორე სართულს აშენებენ).
ყველანი—(მღერიან).

დედისერთა ზურაბო!
უნდა დაგადუღაბო!

ხიხო—მეორე სართული ადის.
ყველანი—ავიდა! ავიდა! აშენდა! (ჩამოცვივიან უეცრად) ვაააა... დაინგრა! (მღერიან) ვაიმე, აშენებული დაგვენგრა კედელი, ვაიმე!

ტიბუირა—ნეტა რა ააშენეს, ან რა დაენგრათ? ნაცრის ნასახიც კი არსადა ჩანს, რომ ნაცარქუქიები მაინც ვუწოდო.

ზაზო—ვაიმე, ვაიმე... ეს რა გიჟებში ჩავვარდი! ამათი იმედით ეს ქალებიც კი ამედევნენ და ესენი... განა რასმე გამიკეთებენ ბატონთან?!

ტიბუირა—რის გაკეთება შეუძლიანთ ამ თავიდან ფეხებამდე მასხრებს.

ხიხო—(ვითომ მხოლოდ ეხლა შეამჩნია ტიბუირა) აბა ეს ვინღა არის, ნემსიყლაპიასავით რომ წამოგვადგა თავზე. ცოტა იქით დადექ, თვალში არ ჩამივარდე!

კიკო—ერთი უყურეთ: სათულე დეემტვრევა ყასაბს ამის გატყავებაზე.

რიკო—ბიჭებო, საქათმიდან გამომძვრალ ტურასავით არ მიურბის თვალები?

დოყო—ქუდი ქამა-სოკოს მიუგავს!

ბოყო—ხმალი რა საქანლის კირკალივითა ჰკიდია!

როყოყო—რამსიგძე ფრჩხილები აქვს! რწყილებს ხომ არ ატყავებდი საღორეში, ძმობილო?

ტიბუირა—დახე ამათა! (ტახი დააკაპუნებს).

ხიხო—არ შეიძლება, მაგ ფრჩხილებით შენს ბატონს რევაზს ჭკუის ქავილები დაუამო?

ტიბუირა—ბატონზე ჩუმად, თორემ!..

კიკო—თორემ რა უნდა მიყო, ჩამოხვეტილ ჩურჩხელასა ჰგევხარ!

ტიბუირა—ჰაი თქვე შეჩვენებულებო! (მათრახს ასწევს. ტახი წინ გაურბენს და დაუკაპუნებს) მასხრები რომ არ იყოთ, გველის ფხაში გაგაძვრენდით!

კიკო—ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო! რა გაბრაზება სკოდნია აი ამ ხიხოს ღიპივით (დაარტყამს ღიპზე ხელს ხიხოს).

ხიხო—ვაიმე დედავ, მუცელი!

კიკო—მუცელი, შენ ნუ მომიკვდები, სულ ვარიების ჭამით გექნება განებივრებული!

ხიხო—მუცელი დედავ, მუცელი!

კიკო—საწყალი!.. რა დაგემართა?

ხიხო—ორსულადა ვყოფილვარ და... მუცელი!

ყველანი—ჰარიქათ, ბებია!.. გავაჩენინოთ!

ხიხო—არ მინდა, შიგ იყოს! (წააქცევენ და აჩენინებენ წიხლის დაჭერით).

კიკო—გააჩინე!

ყველანი—გააჩინე!

ხიხო—ვაიმე დედავ!

ყველანი—გააჩინე!

ხიხო—გაიჭედა კაცო, ვაიმე!

ყველანი—გააჩინე! გააჩინე!

ხიხო—დავიწვი და დავიბრაკე დედავ. ნუღა ეწევით კაცო, ძირხვენა ხომ არ არი! ვაიმე!

ყველანი—ჩნდება, ჩნდება!

ხიხო—გული წამივიდა... ვაიმე!

ყველანი—ჰა-ტა-ტა-ტა-ტა! ჩნდება, ჩნდება—გაჩნდა! ჰუ, რა მწარე გაჩნდა! შავი ბოლოკი!

(გამოიღებენ შავ ბოლოკს).

ხიხო—(გახარებული წამოხტება) მართლა მწარე გაჩნდა? მაშ სიფთაზე მიართვით ბატონს...

ტიბეირა—კიდევ წასწვდით ბატონსა? (ტახი დააკაპუნებს).

ბოყო—ბიჭებო, აგე—მართლა მოდის.

ყველანი—მოდის...

დოყო—რა პირქუშად მოდის! გაჯავრებული მოდის. გავიპარნეთ და, სანამ სიბრაზის ოფოფები არ გაუფრინდებიან, ნუ შეეხვდებით. (ფეხაკრეფით გადიან).

ტიბეირა—მეც გავეცლები. (დარაჯს) თუ მიკითხოს ბატონმა, მოახსენე: ციხე-კოშკს ჩამოუვლის და აქვე გეახლება-თქო. (გადის).

დარაჯი—(მღერის) „მამაჩემიც სდარაჯობდა ამ ციხეს"... (შემოდის რევაზი).

რევაზ—არავინ მოსულა?

დარაჯი—ტიბეირა გახლდათ ბატონო, ციხე-კოშკს ჩამოუვლის და გეახლებათ. (შემოდის ფეშანგი).

რევაზ—აქ რას დადიხარ?

ფეშანგი—ქალს მოვკარ თვალი!

რევაზი—საკუთარ ცოლს ვერ უპატრონე და სხვებს დასდევ?

ფეშანგი—მე რას მედავები თავადო. სადავო შენს ძმასთანა გაქვს, ზაქარიასთან. გაყრილობაში მას მეტი ერგო მიწაც და ყმაც.

რევაზ—კიდევ რას იტყვი?

ფეშანგ—მე აღარაფერს, მხოლოდ ზაქარია მოგახსენებს: საქართველოს მეფეს მივემხრობი და რევაზს დავამხობო.

რევაზ—მეფეს როგორ მიეშხრობა, როცა თვითონ დამაჭერინა იმისი გამოგზავნილი ოიანა-ბუიანა.

ფეშანგ—მაშ რაღად შეიფარა იმავე მეფის გამოგზავნილი აზნაური კამარგელი შენს წინააღმდეგ?

რევაზ—შენ ვისზე ამბობ, შე ფაშატი ცხენის ბუზალაკო, როცა შენ უფრო უმსგავსი მტერი ხარ ჩემი?

ფეშანგ—შენს ჯავრს შენივე ძმა ამომყრის. შენსკე წამოვიდა... აგერ, მობრძანდება კიდეც... იმას მიე ეგ პასუხები. (გადის)

რევაზ—ჩემს გასაბმელ ბადესა ჰქსოვენ ჩემს სახლში, მაგრამ სანამ მოჰქსოვენ, ყველას გავუჭეჭყ თავსა (შემოდის ზაქარია). ეს ციხე-კოშკი მე მერგო, აღარ მომშორდებით?

ზაქარია—განა იმიტომ მოვატყუე ბატონიშვილი და იმიტომ დაგეხმარე მეფის წახდენაში, რომ ეგეც გეთქვა ჩემთვის?

რევაზ—მეტის ღირსი ხარ!

ზაქარია—რადა?

რევაზ—იმად, რომ მოწილე გამიხდი სამოურავოსი.

ზაქარია—საკუთრად გნებავდა, არა?

რევაზ—მნებავდა და მნებავს კიდეც!

ზაქარია—მაშ იძრე ხმალი!

რევაზ—დიახაც, ამის მეტი სხვა სამართალი არ არის ჩვენს შორის: ან შენ, ან—მე! (იძრობენ ხმალს, შემოესწრებათ ტიბეირა).

ტიბეირა—დიდებულნო! რასა ხჩადით?.. ღვიძლი ძმები ხართ!.. სირცხვილია!.. (ჩადგება შუაში). მე მომკალით, ოღონდ გაშველდით!

რევაზ—ოჰ, ჩემ სახლს იქით შემხვედროდი! ან დედაჩემის შვილი არ იყო!

ზაქარია—შენც რომ არ იყო დედა-ჩემის შვილი...

რევაზ—გაგათავებდი!

ზაქარია—სულ ლუკმა-ლუკმად გაქცევდი! (გადის).

რევაზ—ტიბუირ, მოიყვა აქ კამარგელი.

ტიბუირა—თორღვა. (შემოდის თორღვა) გამოიყვა კამარგელი. (თორღვა შედის ციხეში).

რევაზ—ტიბუირ!

ტიბუირა—რას მიბრძანებ, დიდო ბატონო?

რევაზ—შენ ერთგული აზნაური ხარ ჩემი?

ტიბუირა—დიახ, ბატონო.

რევაზ—მაშ როგორ მოჰხდა, რომ მტერი შემოგეპარა გალავანში?

ტიბუირა—მაპატიე დიდო ბატონო, შეუცდომელი ღმერთიც არ არის.

რევაზ—აბა პირდაპირ მიყურე... შენს თვალებში მარტის დღესავით ქაღალბს გული.

ტიბუირა—თვალებზე რომ შეიძლებოდეს, ბატონო, ადამიანის დაფასება, მეძავ-მანანას ანგელოზად ჩავთვლიდით. ჩემზე ერთგულს სხვას ვერ იშოვნი ამ ქვეყანაში. (თორღვას გამოჰყავს კამარგელი).

თორღვა—კამარგელი, დიდო ბატონო.

რევაზ—ტახტის აზნაურო... კამარგელ...

კამარგელ—რა გნებავს?

რევაზ—ამ წიგნსა სცნობ?

კამარგელი—მერმე?

რევაზ—ეს წიგნი საქართველოს მეფის მიერ არის მოწერილი ოსესთან და შიგა სწერია: მოიმზრე თავადიშვილნი, აზნაურნი, თავისუფალი გლეხები და ყმები, რომ დავამხოთ ქედმაღალი და ურჩი დიდებული ქიზიყისა რევაზიო. შენ მოიტანე ეს წიგნი?

კამარგელი—დიახ, მე მოვიტანე!

რევაზ—ისე ამაყად კისრულობ, თითქოს სიკეთე მოგეტანოს ჩემთვის.

კამარგელი—სწორედ ეს არის საამაყო, რომ სიკეთე არ მოგიტანე!

რევაზ—რაკი ასეა, შენისთანა ამაყების ადგილიცა მაქვს. ოსე, რომელთანაც მოწერილია ეს წიგნი, უკვე მოვსპე. მასთან ერთად გავანადგურე ყველა ჩემი მტრები და შენი გზაც იქით არის! წაიყვათ და ისე გააქრეთ, თითქოს არც კი ყოფილიყოს.

კამარგელი—ოოხ, შე მტარვალო! გაუმაძღარო სვავო! ქვეყნისა და ხალხის მოღალატევ! მაწამე, მაწამე, მაგრამ იცოდე: საქართველოს მეფე არ შეგარჩენს ღალატს! (კამერგელი ძალით გაჰყავთ, რევაზს მოელანდება მეფე).

მეფის ლანდი—მოღალატევ!

რევაზ—ტყუილად მელანდები (დაცინვით) საქართველოს მბრძანებელო! მე შენი არ მეშინიან! შენ მოურავობა ჩამომართვი და შენი ცხვარიჭამია შვილი გამოჰგზავნე კახეთის ბატონად, მაგრამ ისე ავუბლეს თვალებს, საკუთარი თავისაც ველარაფერი გაიგოს.

მეფის ლანდი—განანებ!

რევაზ—უჩემობამ წაგახდინა თუ არა? რატომ არ დაუდექ შაჰინშაჰს მარტო? (მეფის ლანდი გაქრება. რევაზი დაფიქრდება)... მაგრამ რომ გამოასწოროს მეფემ თავისი საქმეები და შვილების გულიც მიიბრუნოს? მაშინ? მაშინ საქმე გამიძნელდება... არა! მე ბატონობას (შემოდის ტიბუირა) ვერა-

ვინ წამართმევს, და კამარგელის გზა მოღალატეთა გზაა!.. (ტიბჟირას) შენ ამბობ, ერთგული ვარო?

ტიბჟირა—დიახ, ბატონო!

რევაზ—მაშ ის რა იყო, ბატონიშვილის წვეულებაზე რომ შენ დაგა-ხახელა თამადად ფეშანგიმ?

ტიბჟირა—იმან დამასახელა და ჩემი რა ბრალია!

რევაზ—ფეშანგიმ მითხრა, ტიბჟირამ დამარიგაო. ბატონობას მეცილები, აზნაურო? სულ მატიტელასავით გაგაგლეჯ მაგ წვერებს!

ტიბჟირა—მაპატიე ბატონო, მე უბრალო ვარ!

რევაზ—მოყვრის პატივისცემა ვიცი, მაგრამ არც მტრობაში ჩამოვუვარ-დები ვისმე. (გადის).

ტიბჟირა—როდემდის უნდა იყოს ასე? მამაჩემიც ამ დღეში იყო? პა-პაჩემიც? როდემდისლა უნდა იყოს ასეთი უკუღმართი ეს წუთი-სოფელი?.. ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ... რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?

(თორღვას შემოაქვს კამარგელის თავი)

თორღვა—აი, ბატონო, გავათავე ჩემი საქმე.

ტიბჟირა—ნუ დამანახვებ, თორღვა, ნუ, მჯერა. წაიღე და რევაზის პირ-დაპირ ჩამოაცვი მარგილს. დეე, იმან უყუროს და დასტკბეს. (თორღვა გადის). გაიგებს ვინმე, რა ხდება მზის ყოველ ამოსვლამდე ამ გალავანში? (დაინახავს ისევ რევაზს) ვაი ჩემს თავს! ისევ მობრუნდა. ნეტავ რა მოაგონ-და?.. რისთვის მობრუნდა?

(შემოდის რევაზი).

რევაზი—ტიბჟირ.

ტიბჟირ—ბრძანე ბატონო. (ამ დროს აქეთ-იქიდან შემოჰყოფენ თავს ბერიკები. რევაზი ჯერ ვერა ჰხედავს).

რევაზ—გაზაფხულის დღესასწაულზე, ბატონიშვილის გასართობად სა-ქობოდან ბერიკები მყავს დაბარებული.

(ბერიკები შემოდიან)

ბერიკები—ხა-ხა-ხა-ხა-ხა.

ტიბჟირა—ესენი თქვენზე ადრე გეახლნენ, დიდო ბატონო.

ხიხო—არა მეთქი!

კიკო—„არა" კი არა—ჰო! სწორედ იქ იწვებოდა, იქ!

ხიხო—სადა?

კიკო—რუმბებთან!

ხიხო—რუმბებთან კი არა—მეძავ-მანანასთან.

კიკო—არა!

ხიხო—ჰოო მეთქი!

კიკო—არა—რუმბებთან!

ხიხო—მეძავ-მანანასთან! (ეტაკებიან ერთმანეთს. თან სცემენ, თან იძა-ხიან „რუმბებთან", „მეძავ-მანანასთან").

როყოყო—ხა-ხა-ხა-ხა-ხა. ძიგი-ძიგი მამალა შენ იცი და მაგანა!

რევაზ—რას სჩადით თქვე მასხრებო, თქვენა?

ხიხო და **კიკო**—არაფერს, მხოლოდ ვჩხუბობთ.

რევაზ—რისთვის?

ხიხო—ეს ამბობს, რუმბებთან ეძინებოდა წუხელისაო.

კიკო—ეგ კიდევ გაიძახის, მეძავ მანანასთანაო.

რევაზ—ვისა?

ხიხო—ვისა და ჩვენს ჩინებულ ბატონს, რევაზსა.

რევაზ—ჰა-ჰაი თქვე მასხარ-ფშუტებო, თქვენა! იმიტომ დაგიძახეთ, ისევ მე დამცინოთ? სულ მათრახით აგაჭრელებთ!

ხიხო—უკაცრავად! უმაგისოდაც საკმაოდ ვართ ჭრელები! ამიტომ აუჭრელებლად წავალთ უკან. წავიდეთ ბიჭებო.

ყველანი—წავიდეთ!

(მიდიან)

რევაზ—მოიცათ! (მობრუნდებიან) მასხრად აგდება და დაცინვა შეიძლება... მხოლოდ ბატონის მტრებისა, თქვენ კი მე დამცინით... აღარ გაჭბედოთ!

ყველანი—გვესმის ბატონო.

რევაზ—აბა შემომხედეთ, ვინა ხართ!

ხიხო—არავინაც არა ვართ!

რევაზ—როგორ თუ არავინაც არა ხართ? კიდევ დამცინით?

ხიხო—არა, ბატონო, შენ კი არ დაგცინით, ჩვენს თავს დავცინით: არავინაც არა ვართ.—ჩვენა ვართ მხოლოდ ბერიკის უტვინო ფეხები.

რევაზი—თავი სადღაა?

ხიხო—აი ამ ციხეშია დამწყვდეული: ოიანა-ბუიანა, ხარიტონა გლეხს რომ ეძახდნენ წინათ.

ყველანი—გაანთავისუფლე!

რევაზ—იმიტომ მომიმწყვდიეთ ამ ციხის **კართან?**

ყველანი—გაანთავისუფლე ბატონო!

ხიხო—უიმისოდ ვერაფერს ვითამაშებთ—გაანთავისუფლე!

რევაზ—ძაან ბევრსა მთხოვთ!

ხიხო—ძაან ბევრსა გთხოვთ და თუ არ მოგვცემ, ვერ ვითამაშებთ: უიმისოდ უთავონი ვართ... წავიდეთ ბიჭებო.

ყველანი—წავიდეთ. (გადიან).

რევაზი—ბატონიშვილმა იცის, რომ მისთვის გასართობ სანახაობას ვაწყობ და ესენი რომ მართლა წავიდნენ, შევრცხვები კაცი. არა სჯობია გავანთავისუფლო ოიანა-ბუიანა? (ეძახის) არ გეყურებათ? მობრუნდით! მობრუნდით! (ბერიკები ისევ შემოდიან).

ხიხო—რას გვიბრძანებ დიდო ბატონო?

რევაზ—გავანთავისუფლებ.

ყველანი—ჰაე-ჰაე-ჰაე-ჰაე! (ასტეხენ ყვირილს, იხდიან ნიღბებს და ცაში ისვრიან, თითქოს ქორმა წიწილა წაიღოვო და ბოლოს ერთ ადგილს დაეფრინდებიან ყველანი).

რევაზი—რა მოგივიდათ, გაჰგიჟდით?

ხიხო—არა, ყვავს კაკალი გავავდებინეთ.

რევაზი—დახე ამათა! მაინც დამცინიან... ვინ არის ეს მოხუცი?

ხიხო—ახალგაზრდა ბერიკა გახლავთ: ოთხმოცდა ხუთ წელიწადში ერთხელ გამოდის ხოლმე საბერიკაოდ...

კიკო—დიახ, დიახ: მაგან სიბერეში გაიქნია კუდი და მხოლოდ ერთი კაკალი ღა აქვს ჩამოსაგდები.

ზაზო—დიდო ბატონო (ჩაუვარდება ფეხებში).

რევაზ—გიცნობ მოხუცო. ისიც ვიცი, რისთვისაც მიგორდები ფეხქვეშ. მაგრამ ვერ გავანთავისუფლებ შენს შვილს ბაძოს. მას რომ თავისუფლების

ფასი ᲙᲪᲝᲓᲜᲝᲓᲐ—თავისუფალი იყო. მან მოახლე გოგო მომტაცა ძალით... (თაფლო მანდილს მოიხდის და მივა თავდახრით).

თაფლო—არა, ბატონო, ძალით კი არა, ჩემის ნებით გავყე. გაანთავისუფლე, ბატონო, ბაძო და გამანთავისუფლე მეც... ძალიან გეხვეწები... ძალიან... (ჩაუვარდება ფეხქვეშ).

რევაზ—მისი განთავისუფლება მხოლოდ ათასი კირმანაულით შეიძლება.

ზაზო—სადა მაქვს ბატონო! ჩიტის სკლინტი აბაზიანი მგონია.

სანთო—გაანთავისუფლე, ბატონო, ბაძოც.

ყველანი—გაანთავისუფლე...

რევაზ—როგორ წამომიარეს აქეთ-იქიდან... ის მანდილოსანი ვინღაა?..

ბეგო—ოიანა-ბუიანას ქალი გახლავთ: სანთო.

რევაზ—სანთო? მშვენიერი გოგონა ჰყოლია!.. მამაშენს გავანთავისუფლებ.

სანთო და ყველანი—გაანთავისუფლე, ბატონო, ბაძოც.

რევაზ—მაგის განთავისუფლებაზე შემდეგ ვიფიქრებ, გაზაფხულის დღესასწაულები რომ გათავდება, ეხლა კი წადით სახალვათო კოშკში, ჩამოჰხადეთ თქვენს ვირს ბარგი-ბარხანა და მოემზადენით ოიანა-ბუიანას შესახვედრად. (ბერიკები გადიან) ტიბუირ, გამოიყვანე ციხიდან ოიანა-ბუიანა.

ტიბუირა—ბატონი ბრძანდები (გადის).

რევაზ—ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენებ მასხარას.

(ცოტა ხანს შემდეგ გამოდის მასხარა, ოიანა-ბუიანა. ისე გამოდის, როგორც ბნელიდან სინათლეში გამოდიან ხოლმე—ბრმასავით. ხელში უჭირავს პურის ცომისაგან შეთითხნილი თავისი პირვანდელი სასაცილო სახე).

მასხარა—ვინა ხართ ადამიანი!.. ვინ იცით ამბავი ჩემი ობოლი ქალისა, ჩემი სანთოსი?.. ექვს თვეზე მეტია, უპატრონოდ დავტოვე... ვერაფერსა ვხედავ ბნელიანი თვალებით სინათლეში... ვინა ხარ შენა?

რევაზ—ვეღარა მცნობ?

მასხარა—ვერა! (დააკვირდება). მაგრამ რო გაკვირდები, მაგონდება: შარშან ერთი დიდი თავადი კამეჩივით დაეწაფა ღვინით სავსე ქვევრსა და შიგ ჩავარდა—იმას მაგონებ. ის ხომ არა ხარ?

რევაზ—(თავისთვის, გაბრაზებული) შეჩვენებული! ციხის კარს არ გადმოსცილებია და იქიდანვე დამცინის. (მასხარას) შენ ჰეი, წინდაუხედავად რომ ლაპარაკობ! როგორც გატყობ, კარგა ვერ მიცნობ კიდევ!

მასხარა—(ვითომ ეხლა იცნო) შენა ხარ რევაზ, მოურავო ჭიზიყისა?.. გიცნობ. გიცნობ...

რევაზ—ეგ რა გიჭირავს ხელში?

მასხარა—ჩემი პირვანდელი სახეა. იმ ტალახისაგან შევთითხნე, პურად რომ მიგზავნიდი საკანში.

რევაზ—რად გინდა მერე?

მასხარა—საჭიროა: კაცმა თავისი თავის არც უწინდელი და არც მერმინდელი სახე არ უნდა დაივიწყოს. მეც იმიტომ გავაკეთე: უნდა სარკეში შევიხედო და, თუ წინანდელს აღარა ვგევარ... რა გინდა ჩემგან?

რევაზი—არაფერი. თავისუფალი ხარ.

მასხარა—თავისუფალი?

რევაზი—დიახ, თავისუფალი.

მასხარა—მადლობას მოგახსენებ.

რევაზ—უკეთესის თქმა არ შეგეძლო?

მასხარა—რაცა ვთქვი ისიც იმიტომ კი არა, გამანთავისუფლე, იმიტომ, რომ ამდენხან ციხეში ჯდომით დამასვენე... თავისუფალი რომ ვყოფილიყავი, ასჯერ მაინც მომიხდებოდა ქოდალოდან ტფილისს ჩასვლა შენი ღალატის...

რევაზ—ხმა! გაგანთავისუფლე, მაგრამ ერთის პირობით: ღალატზე კრინტი არ დასძრა!

მასხარა—ნეტაი ჩემს თავისუფლებას!

რევაზი—გესმის?

მასხარა—მესმის, ბატონო, მაგრამ განა ქვეყანამ არ იცის, რომ ხალხი გაჰყიდე და მეფობა გინდოდა?

რევაზ—ხმა ჩაიწყვიტე, შე ბენიავ, შენა!

მასხარა—უკაცრავად: დიდი ხნის დასვენებული ენა ლაღობს სუფთა ჰაერზე.

რევაზი—ბეშტიავ! ლაგამი მაგრა უნდა ამოსდო მაგ მოლაღურს ენასა და ხალხში გასვლამდე ისე გასწურო, რომ მეტი სათქმელი აღარა დაგრჩეს-რა!..

მასხარა—აკი თავისუფალი ხარო!

რევაზ—თავისუფლებას რომ საზღვარი არა ჰქონდეს, ხვლიკი ბეღელს დაეუფლებოდა. ამიტომ ჩემს მიერ მოცემულ საზღვრებში უნდა ჩასტიო შენი ენა და მოიქნიო ისე, როგორც მე მსურს. ოხუნჯობის ნება გაქვს, მაგრამ ბატონის მხილება... არ გაჰბედო.

მასხარა—სადა ბატონო, სადა?

რევაზი — გაზაფხულის დღესასწაულზე. ბატონიშვილისათვის ბერიკობა უნდა მოაწყო.

მასხარა—ბატებმა ჭამონ...

რევაზ—ვინა?

მასხარა—კლანჭა ბალაბი.

რევაზ—არ დაგავიწყდეს... გესმის, რას გეუბნები?

მასხარა—მესმის... შენი შიშისაგან ყველაფერი მესმის.

რევაზი—თუ წამოგცდა ჩემი განდგომის შესახებ, მარგილზე ჩამოგაგებ ქათმის თავსავით.

მასხარა—ეგ მჯერა, ნამდვილად მჯერა.

რევაზ—გჯერა და ჩემი ყოველი წარსული...

მასხარა—ქებით მოვიხსენიო, არა?

რევაზი—დიახ, დიახ!

მასხარა—და ისე გამოგიყვანო, თითქო ანგელოზი იყო, არა?

რევაზი—მოიტა ხელი!

მასხარა—არა! ხელს ვერ მოგცემ... ამ ხელით სხვადასხვა მცოცავებსა ვჭყლეტდი ჩემს ტანზე საპყრობილეში — ჭუჭყიანია.

რევაზი—რა მწარე ენა გაქვს!

მასხარა—არც შენა ბრძანდები თაფლივით ტკბილი.

რევაზი—ხუმრობა იქით გადავდოთ და თუ ჩემი ერთგულება გინდა...

მასხარა—კიდევ მავალებ რასმე?

რევაზი—ბევრს არაფერს: ჩემი გაყრილი ძმების მომხრე თავად ფეშანგს ისე უნდა უკბინო, აღარ დაუამდეს.

მასხარა—დიდი სიამოვნებით. მოიტა ხელი! (მისცემს ხელს) მაგრამ რომ გადავიმტერო?

რევაზი—ჩემს იქით ნურაფრისა გეშინიან.

მასხარა—სიტყვას მაძლევ?

რევაზ—აჰა ულვაში. (გამოიძრობს ულვაშს და მისცემს) საცა გაგიჭირდეს, ახსენე ჩემი სახელი და იქ გავჩნდები... წადი, გამოიტანე შენი ბარგი, სახალვათო კოშკში გელიან შენი სოფლელი ბერიკები. (რევაზი გადის).

მასხარა—რა ეშმაკის კერძად მინდა ეს უნამუსო ძაღლის ბალანი (დააგდებს ძირს რევაზის ულვაშს და ფეხით შესდგება). თავისუფლებას კი... გამოვიყენებ. (შედის ციხეში. შემოდიან ბეგო და სანთო).

ბეგო—რატო არ გამოუშო ნეტა აქამდე?

სანთო—მოგვატყუეს ალბათ... წავიდეთ, ის თავადი მაინც ვნახოთ...

ბეგო—ვინ თავადი?

სანთო—რა სასაცილოდ მიყურებდა! თან მიყურებდა, თანაც ტუჩებს აცმაცუნებდა მსუნაგი კატასავით... არ იცი? ფეშანგი.

ბეგო—სანთო! ჰხუმრობ, თუ მართლა აჰყოლიხარ იმ თავადსა?

სანთო—ვინ იცის? იქნებ ვხუმრობ, მაგრამ ხანდახან დიდი საქმე ხუმრობით იწყება ხოლმე... მამაჩემი არ გამოუშვან და არც ის თავადი ვნახო?..

ბეგო—ერიჰაააა...

სანთო—რა გიკვირს? ახალგაზრდა გოგო ვარ, ახალგაზრდა ბიჭია, ცოტა-ოდენს გავასულელებ.

ბეგო—იმან რომ გაგასულელოს?

სანთო—აგერ, მე მათვალიერებს. აბა ერთი—გვერდზე გავუვლი და შენ უყურე, რას იზამს... (გავა ხტუნვით).

ბეგო—რა დროს ეგენია ქალო... ეს დასაქცევი: ან ჩემი გამოჯავრება უნდა, ან მართლა გასულელდა... მაგრამ რა კარგია, როცა ჩემთან არის ხოლმე! (სანთო ისევ შემოვარდება შეშინებული).

სანთო—ბეგო, მიშველე! დამინახა თუ არა პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა. (ბეგოს მიეკვრება გვერდზე და იყურება ფეშანგისაკენ).

ბეგო—აი, ეგრე იყავ... ჩემთან არა სჯობია? ხელს ვეღარავინ გახლებს. (შემოდის ფეშანგი).

ფეშანგი—მანდ ვის ელით?

ბეგო—შენს წასვლას!

სანთო—(მოსწყდება ბეგოს და გაიქცევა).

ბეგო—ისევ გაფრინდა...

ფეშანგი—რა კარგი ჩასაკნატუნებელია! (გასდევს სანთოს კვალს).

ბეგო—ვილაცა მოდის ციხიდან. (გამოდის მასხარა გუდა-ნაბდით).

მასხარა—ბეგო!

ბეგო—ჩემო ხარიტონ! (გადაეხვევიან).

მასხარა—როგორა ხარ ბეგობარო, ჩემო გაზრდილო?

ბეგო—ისევ ძველებურად: ვაითა და ვიშით.

მასხარა—ქვეყანა როგორღაა?

ბეგო — ისიც ძველებურად: ისევ დაბეზღება, მექრთამეობა, მდაბალთ ჩაგვრა და მაღალთ კინკლაობა.

მასხარა—სად არიან რევაზის ძმები: ოთარი და ზაქარია?

ბეგო—ხელთ იგდეს არეული დრო და გაიყარნენ, მაგრამ ჯერ ისევ ქოდალოში იმყოფებიან. ოთარს სილნაღი ერგო, ზაქარიას—ჭერემი და რევაზს—ქოდალო. ყმების გაყოფაზე კინაღამ ერთმანეთი დახანჯლეს. რევაზს მეფობის იმედი ჰქონდა, მაგრამ გაუცრუვდა.

მასხარა—გარეგნილი და ბედოვლათი ფეშანგი?

ბეგო—კონკილასავითა ქანაობს სასისხლოდ გადამტერებულ რევაზსა და მის ძმებს შორის. ცოლი გაექცა და კახპებს დასდევს... აღარავის ასვენებს... მაგრამ შენა? შენ როგორა ხარ, ჩემო გამზრდელო.

მასხარა—რა მიჭირს: საკმარისად დავჭკვიანდი ციხეში. მაგრამ მიამბე, რა მოჰხდა ჩვენი დაშორების შემდეგ?

ბეგო—როდესაც ქალაქიდან ბატონიშვილთან გამოგზავნილი დახმარების სათხოვნად რევაზმა დაგიჭირა, ჩვენ, რამდენიმე ახალგაზრდამ, მაინც ჩვენი არ დავიშალეთ და წავედით მისაშველებლად...

მასხარა—ყოჩაღ ბეგო, ყოჩაღ!

ბეგო—ბრძოლის ველი მოვრწყეთ სისხლით. ყველა ბრძოლებში ვიყავით და ბოლოს, როცა მეფემ მთიულეთისაკენა ჰქნა პირი და ქალაქი იცლებოდა, ავლაბრის ხიდთან შემომესმა შენი სანთოს ხმა...

მასხარა—სანთო ცოცხალია? მითხარი ჩქარა!

ბეგო—მოგახსენებ... შემომესმა სანთოს ხმა—შველასა მთხოვდა. მეფეს მოვახსენე და მან მითხრა: რადაც უნდა დაგიჯდეს, უშველე რამე, სანამ შაჰი ქალაქში შემოვაო. იმ წამსვე შემოვისვი ცხენწინ და გამოვფრინდი ქიზიყისაკენ.

მასხარა—სად არის ეხლა? მითხარი ჩქარა.

ბეგო—ჩვენთან არის.

მასხარა—წამიყვა! წამიყვა! წამიყვა!

ბეგო—მაგრამ...

მასხარა—რა?..

ბეგო—არაფერი... თვალყური გეჭიროს: ფეშანგი უთვალთვალებს.

მასხარა—ფეშანგს ისეთ მახათს გავუყრი გვერდებში, ველარა-სოდეს ველარ გამოიძროს. წავიდეთ. (შემორბის სანთო).

სანთო—მამაჩემო!

მასხარა—შვილო! (გადაეხვევიან ერთმანეთს).

ბეგო—ნეტავი მეც გამომაცდევინა შვილის სიყვარული და!..

ორლოგეებში

გახარებული გლეხკაცობა მიდის სანახაობისაკენ. ბანებზე ვადმომდგარან **ქალები**, დედაკაცები და ბავშვები.

ხმები—გამოუშვიათ ბიჭებო, გამოუშვიათ.

—ოიანა-ბუიანა, გამოუშვიათ.

პირველი გლეხი—ააჰა! ძლივს არ გამოცხვა ობლის კვერი!—ჩვენი ხარიტონა გლეხი გამოუშვიათ (შემოდის ტიბეირა).

— წავიდეთ, მივეგებოთ.

ტიბეირა—როგორ უხარიანთ გლეხებს მასხარას განთავისუფლება? ნეტა რად უყვართ ასე? (დაინახავს ფეშანგს) ფეშანგიც მოდის. მაგან ჯერ დამასახელა თამადად, მერმე დამაბეზღა ბატონთან, ტიბეირამ დამარიგაო. ძალიან კარგი, ძალიან კარგი. (ფეშანგს) ფეშანგ, ჩქარა გადმოდგი, რა უკანა გრჩება ფეხები. (შემოდის ფეშანგი).

ფეშანგი—ისე მელაპარაკები, თითქოს მე აზნაური ვიყო და შენ თავადი. ძალიან გაგათამამა რევაზმა.

ტიბეირა—შენ კი არ გამათამამე?

ფეშანგი—როგორ?

ტიბჟირა—რათ დამასახელე თამადად ბატონიშვილის წვეულებაზე აზნაური?

ფეშანგი—შენი პატივისცემა მინდოდა.

ტიბჟირა—ჰოდა აკი მოგახსენებ...

ფეშანგი—შენ კი უსინდისოდ მომექეცი: წამოსდექ და გამანადგურე: არც ნიჭი მაქვს თამადობისა და არც ვიკისრებ აზნაური იქ, სადაც რევაზი ბრძანდებაო.

ტიბჟირა—რაც იყო—იყო. დაივიწყე, მაგრამ რათა ხარ დღეს უხალისოდ?

ფეშანგი—მედა-ჩემმა-ღმერთმა, გული არ მომწევს სანახაობისათვის.

ტიბჟირა—რატომაო?

ფეშანგი—იმიტომაო, რომ რევაზი იქ იქნება და სადაც ის არის, იქ მე კარგად ვერა ვდგევარ ფეხზე: გული მიელავს, თავბრუ მეხვევა და მებნევა დავთრები.

ტიბჟირა—მიაფურთხე ყველაფერს. გავიცინებთ, გავილრიჭებით. ცისა და მიწის ქორწილსა ვნახავთ.

ფეშანგი—მაინც რომ მართალს მეუბნები. (გამხიარულდება) უყურე, მოშაირე და მეძავი მანანაც მისუნსულებს სანახაობაზე. შაირებს იტყვის, საჩუქრებს მიიღებს და მუშტარსაც იშოვის. (შემოდის მანანა) ურმით სალამი მანანას.

მანანა—საურმე გზა გაფუჭებულია და ხევში არ ჩასცვივდეთ. (გაირბენს და გავა).

ფეშანგი—რა გაცვეთილია!

ხმები—ბატონიშვილი მობრძანდება. (ტიბჟირა და ფეშანგი გადიან. შემოდიან გლეხები, ხალხი).

გლეხები—(ჩუმად ერთმანეთს)

ჩვენი ცხვარიჭამია ბატონიშვილი მობრძანდება.

— თითო ჭამაზე თითო ცხვარი არა ჰყოფნის.

— ჩუმათ!

(შემოდის ბატონიშვილი. მის შემოსვლაზე გლეხები ქუდებს ძირს დაჰყრიან და გულზე დაჯვარედინებული ხელებით დაიხრებიან სალმის ნიშნად).

ხალხი—სიცოცხლე და დღეგრძელობა ბატონიშვილს.

ბატონიშვილი.—აბა სად არის თეატრონი, ქილიფთარ?

ქილიფთარ—აქეთ ბატონიშვილო.

ბატონიშ.—მაშ ძაან გამაცინებენ?

ქილიფთარ—უეჭველად!

ბატონიშ.—რა კარგი იქნება! ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რა ხანია აღარ გამიცინია. ვინ მოუყვანია რევაზს, ქილიფთარ?

ქილიფთარ—მამაშენის ბენია მოუყვანია ქალაქიდან, ოიანა-ბუიანა.

ბატონიშ.—ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რამდენს ვიცინებთ. ხომ არ მატყუებ ქილიფთარ?...

ქილიფთარ—რასა ბრძანებ ბატონიშვილო! მოსამართლე გაბლავარ და განა მოსამართლე ტყუილს იტყვის?

ბატონიშ.—როგორ არ იტყვის ქილიფთარ. მოსამართლეზე მეტი ტყუილი ვინ იცის! მაგრამ მე დამავიწყდა, რომ შენ მოსამართლე ხარ.

ქილიფთარ—შენ კი არა, ბატონიშვილო, ხანდახან მეც დამავიწყდება ხოლმე, მაგრამ რა უშავს?

ბატონიშ.—მაშ ჩემთვის მოიყვანა რევაზმა ქალაქიდან მასხარა?

ქილიფთარ—დიახ, ბატონიშვილო.

ბატონიშ.—აი პატივისცემაც ასეთი უნდა! ამიტომ რევაზს ხატებს ვაჩუქებ და ქიზიყის მოურაობასაც დავუბრუნებ, მამაჩემმა რომ ჩამოართვა... ხომ არა ვტყუი ქილიფთარ?

ქილიფთარ—არა ბატონიშვილო, ქრისტიანულ სიმართლესა ბრძანებ.

ბატონიშ.—ჰო, მაშ!.. ჰა?

ქილიფთარ—არაფერი.

ბატონიშვ.—აბა, საით წავიდეთ ქილიფთარ? წინ გამიძეხი.

ქილიფთარ—აქეთ ბატონიშვილო.

ბატონიშვ.—რა კარგი იქნება. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! თავი არ გამანებო ქილიფთარ. აბაშიძიაანთ იმიტომ გამომატანეს შენი თავი იმერეთიდან, რომ ყური მიგდო (გადიან).

სახალვათო კოშკი

(მასხარა ბერიკებს არიგებს. ნიღაბახდილები არიან. ნიღბები ხელში უჭირავთ და ასწორებენ).

მასხარა—გაიგეთ, რა გითხარით?

ყველანი—გავიგეთ, მაშ!

მასხარა—აბა, რა გაიგეთ?

ხიხო—ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც გვასწავლე.

მასხარა—ბარაქალა! კარგა გაგიგიათ. ხომ დაისწავლეთ კიდეც?

ყველანი—მაშ! მაშ!

მასხარა—არ მომატყუოთ და თხლეშეჭამანდი არ გამოიყვანოთ, თორემ თქვენ ვე შეგაჭმევთ.

ყველანი—ქადას გამოვიყვანთ, ქადას.

მასხარა—ქადას თუ გამოიყვანთ, თქვენ ალარავინ შეგაჭმევთ... ისე გამოიყვანეთ, რომ შიგ გულში მოჰხვდეს. ბატონები მონების ტანჯვით ატარებდნენ დროს. ისეთი დროც იყო, როცა თავის გასართობად მხეცს მიუყრიდნენ ხოლმე მონებს გასასრესად. ჩვენც მონები ვართ დღეს და ვეცადოთ თვითონ ჩვენ. გავსრისოთ ის მხეცი, რომელიც დაბუდებულია ჩვენი მაყურებელი ბატონების გულში—ჩვენ უნდა ვებრძოლოთ თეატრონს იქით მოკალათებულ მხეცს. რა ვთქვი, გაიგეთ?

ყველანი—გავიგეთ! გავიგეთ!

მასხარა—მაშ შევიდა თქვენს ყურში?

როყოყო—შევიდა და აქ დაგვიბუდდა, თავებში.

მასხარა—ეცადეთ თავიდან კუჭში არ გადაბუდდეს, თორემ იქიდან გარეთ გამოვა ისევ.

ყველანი—მართალია... (დარცხვენით იცინიან).

მასხარა—ეს როგორ მიბრეცილა შენი ბერიკო, ხიხო?

ხიხო—ბატონის საბძელს დავამგვანე, შენი ჭირიმე.

მასხარა—ამას კი ულვაშებზე ლობიო ჩამოსწუწია.

კიკო—მაშა! გლეხკაცი იმიტომ გაჩენილა, თავის სიცოცხლეში სულ ლობიო შეჭამანდი ჭამოს.

მასხარა—ეს ყოყინას რქები რაღასა ჰნიშნავს შენს ბერიკოზე, როყოყო?

როყოყო—იმასა, მეზობელო, რომ ჩვენი დიდებულ-აზნაურები კამეჩებივითა ყრიან და იცოხნებიან, ლაფში ჩაფლული ურემი კი შინ მიტანილი ჰგონიათ... მემრე ამ რქებზე კვერიას წამომაცმევთ, თავს გავიქნევ და ვნახოთ საითა მხრიდან დაეცემა მიწაზე: კარგი მოსავლიდან თუ ცუდიდან.

მასხარა—ბარაქალა! კარგია! აბა ეს რაღაა, დოყო, შენი ბერიკოსათვის რომ შუბლზე ნიორი მიგიკერებია ღილივით?..

დოყო—ეგ ჩვენი ცხოვრების სიმწარისა და სიმყრალის ნიშანია, მეგობარო.

მასხარა—ბოყო, ეს თხის წვერები და მაიმუნის ცხვირი რაღაა შენს ბერიკოზე?

ბოყო — ეგა? ეგა... ეს ჩვენი უსაქმო ბატონების სიყვარულია, ამხანაგო.

მასხარა—კარგია. რიკო, შენს ბერიკოს კი ულვაშები მოჩხუბარ კატას მიუგავს.

რიკო—ჩვენს მოჩხუბარ მოურავებს დავაჯავრე, შენი ჭირიმე.

მასხარა—მაშ, მზადა ჰყოფილხართ!

ყველანი—მზადა ვართ, მაშ! (ლაპარაკის დროს თან ფანდურს უკრავენ და ზედ მღერიან კუპლეტებს).

აზნაურების საქმეა
გვერდზე დახურვა ქუდისა,
ქალებში გავლა-გამოვლა,
გადაკიდება ჩხუბისა.

ბიჭო, ჩვენი თავადები
უწრუწუნებენ ქორებსა,
ნეტაი მოვესწრებოდეთ,
ტყეში დასდევდნენ ღორებსა.

(შემდეგი იქნება)

ბაირონი

ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა

მე-3 ქებიდან

29

მე მინდა, ერთი რომ ვადიდო მხნე მეომარი,
თუნდაც მიჭრიდეს, ვით მეხოტბეს, ნაკლებად ენა, —
ერთი იმიტომ, ნათესავი ჩემი რომ არი,
მეორეც — რადგან შევამთხვიე მის მამას წყენა,
მესამეც—უფრო ამაღლდება სიმღერა თქმული
იმნაირ პირზე, ვინც ღირსებით სხვებზე სრულია.
სასტიკი იყო ჭიდილი და შეტევა მტრული...
არ განგმირულა იქ უმეტეს ნათელი გული,
ეიდრე, ჰოუარდ უშიშარო, შენი გულია!

30

შენს გამო ბევრი ქვითინებდა თავდაღებული
და მწუხარებით გაიბზარა მრავალი გული.
ხოლო როცა მე ხე მჩრდილავდა ამწვანებული,
რომელიც ხარობს იქ, სადაც შენ დალიე სული, —
ვხედავდი, ველი სააშური გარს გაშლილიყო,
ზედ რომ გაზაფხულს დიდი შრომის გაევლო კვალი;
ბევრი ფრინველი მისის ეშხით მოფრენილიყო;
მაგრამ ვიბრუნე პირი მისგან, რაც ჩემს წინ იყო,
მისკენ, ვინც ველარ დაბრუნდება ვერაფრის ძალით.

31

თკალწინ დამიდეგ შენ და კიდევ სხვა ათასები,
ვისთა ნათესავთ მოეწამლათ სიცოცხლე მშვიდი;
შესვეს იმდენი მათ ნაღველით სავსე თასები,
რომ დავიწყება იქნებოდა წყალობა დიდი.
მთავარანგელოზს შეუძლიან, არა დიდებას,
საყვირით მკვდართა გაღვიძება. სახელი გმირის
მხოლოდ მცირე ხნით თუ მოუტანს გულს დამშვიდებას,
მოლად კი ვერ შესძლებს ცეცხლოვანი წვის არიდებას,—
ის, ვინც დამარხა სასახელო, ზედმეტად სტირის.

32

ვტირით და ბოლოს გვეღიმება,—ღიმილით ვტირით.
ზემი მიცურავს, თუმც აფრები დაწყვეტილია;
გვიან ეცემა ხე, თუმცა მას ხმელი აქვს ძირი;
სდგას კვლავ დარბაზი, სახურავი კი ახდილია:
ასკდება კედლებს უქონგურეს წვიმა და ქარი;
ბორკილი რჩება, დამიწდება შიგ მოქცეული;
დღე მიდის, თუმცა მზეს აჰკვრია ღრუბლების ფარი;
ასევე გულსა მწუხარება დაამსხვრევს მწარი,
და კვლავ სიცოცხლეს გააგრძელებს ის, დამსხვრეული.

33

ვიცით, რომ სარკე, დამსხვრეული, სახეს იძლევა
ერთს და იმავეს ყველა თავის ანარეკლებით
და მით უფრო მეტს, რამდენადაც უფრო იმსხვრევა, —
აგრეთვე გულიც დაკოდილი მკვეთრის ეკლებით,
თავდავიწყებას მოინატრებს და დამსხვრეული
ცხოვრობს უძილო მწუხარებით, უძილოდ, მცხრულად;
ხდება ნელინელ, თუმც არ არის წლებით ძლეული,
თანაც არ უჩანს არაფერი გამორკვეული,
რადგან ამ ტანჯვის გამოთქმისთვის არ შესწევს ძალა.

34

სიცოცხლის წლებმა მწუხარებით არ იცის კლება,
წამებისაგან მოწამლულის წვრილის ფესვებით
დიდხანს გრძელდება სასიკვდილო ტოტების კვება.
ტანჯვაში სიკვდილს მოვუწოდებთ გულაკვნესებით,
თუმცა ვართ უკვე მის შეშზარავ ხელს შეჩვეული,
რომელიც, მკვდარი ზღვის ნაპირის ვაშლების დარად,
პირს რომ შევახებთ, მყის იშლება ფერფლად ქცეული.
ლხენის საათი რომ შევსცვალოთ წლად თვითეული,
რიცხვი სამოცი დასათვლელად უთუოდ კმარა.

35

ვაცს დაუთვალა მედავითნემ ცხოვრების წლები,
ვინ გაიფიქრა—მეტიაო მისთვის ეგეცა?
სიცოცხლე მიჰქრის წინ ისედაც გაშლილის ფრთებით,
და რად ისურვე შენ, ვატერლო, მისი შეკვეცა?
შენ მოგმართავენ მილიონთა ენები ქებით,
შვილნიც ქების ვალს ამ სიტყვებით გადაიხდიან:
„მოკავშირეთა ერებმა აქ იშიშვლეს ხმლები,
ამ ველზე ჩვენთა წინაპართა ჰმარხია ძვლები“, —
და თუ ეს დარჩა მარტოოდენ—ესეც დიდია.

36

აქ ძირს დაეცა კაცთა შორის ყველაზე დიდი,
რომლის გონება ერთმანეთის საპირდაპიროს
ჰბადებდა ლტოლვებს, ის ერთგვარად უწყებდა ჭიდილს
საქმეებს ვიწროდ შემოფარგლულს თუ უნაპიროს...
უკიდურესო ყველაფერში! ვერ თავსდებოდა
ზომიერების ჩარჩოებში ბუნება შენი,
თორემ გვირგვინი ხელმწიფისა არ გერგებოდა,
ხოლო, თუ გერგო, საბოლოოდ ის შეგრჩებოდა.
ო, კადნიერო, შენ ქვეყანა სასტიკად ფშვენი!

37

ქვეყნის დამპყრობო, ქვეყნისავე ტუსაღი გახდი!
გარდიქცა საგნად უმეტესის განცვიფრებისა
შენი სახელი ახლა. ოდეს დაჰკარგე ტახტი
და მარტოოდენ ხარ ტიკინა იმ დიდებისა,
რომელიც იყო მოლაქუცე ვასალი შენი
ბანამდე, ვიდრე მას მიაჩნდი რისხვის ღვთაებად,
ვიდრემდის შენთვის ბრწყინვალებით ვიდოდნენ დღენი.
მაშინ მეფეებს შენდამიმართ მონურის რწმენით
თვალნი დაეხშოთ და ენები შიშით დაებათ.

38

ო, სულერთია მცირე იყავ შენ, თუ დიადი!
ებრძოდი ერებს, ხან გარბოდი საომარ ველით,
ხან ხელმწიფეებს ფეხს ადგამდი გულით ზვიადი,
ხანაც უბრალო ჯარისკაცის ცხოვრება ძნელი
გხვდებოდა წილად. იმპერიის დამმონებელსა
ვერ დაგეთურგნა საკუთარი წვრილმანი ვნება,
გონება თვისი ვერ შეგეცნო სხვის გამგებელსა;
უნდა გცოდნოდა საბრძოლველი ცეცხლის მგზნებელსა,—
ბედის ვარსკვლავი რომ ინთება, ისევე ჰქრება.

39

მაგრამ გვაჩვენე საკვირველი შენ მოთმინება —
სიბრძნე, რომელსაც ხელოვნური არ ჰქონდა ფერი,
ღრმა სიამაყე, გულკეთილობის გამოვლინება,
რასაც, ვით ნაღველს და ძიმწარეს, ითვისებს მტერი.
როცა გარშემო მოძულეთა მოდგა რკალები,
რომ სასაკილოდ გაეხადნათ დაცემა შენი,
შენ გაიღიმე მომთმენის და მშვიდის თვალებით.
ბედი, რომელიც გიმშვენებდა თავს ბრწყინვალებით,
გაგშორდა, მაგრამ ვერ გიხილეს ცრემლების მდენი.

40

შენ უფრო ჭირში, ვიდრე ლხინში, აღმოჩნდი ბრძენი:
პატივმოყვარე, მაშინ ისე გამკაცრდი გულით,
რომ ჩვეულებრივ ზიზღისა და დაცინვის ჩენით
უმზერდი ხალხსა, და ეს იყო მოქცევა ბრძნული.
მაგრამ ბაგეზე ეს ღიმილი რად შეგრჩა მარად?
თუ კი ქვეყანა წაიგება, ან მოიგება.
ღირებულება მისი უნდა მიგვაჩნდეს მტკნარად;
შენებრ ეს ბედი ვინც ირჩია, შენსავე დარად
ყველა დარწმუნდა ამაში და შხამიც იგემა.

41

რომ შენი ხვედრი ყოფილიყო კოშკივით დგომა,
ბოლოს დაცემა, სადმე კლდეზე განმარტოებით,
შეგეძლო ზიზღით აგეტანა ბედისგან წყრომა,
მაგრამ შენ ხალხის აღტაცებით და სასოებით
შექმნილ კიბეზე აღიმართე ბრწყინვალე სვეტად —
იქ, სადაც თავბრუ დამსხმელია ერთი წამიცა.
მოქცეულიყავ შენ ფილიპეს შვილივით ნეტა!
რატომ მიჰბაძე დიოგენსა? ვრცელია მეტად
ალასრად ცინიკოს ხელმწიფისთვის ეს დედამიწა.

42

მაგრამ ცოცხალ სულს ეჯავრება ცხოვრება წყნარი,
აი მიზეზი შენი მწარე დამარცხებისა.
მძვინვარებს ძალა ცეცხლოვანი, ძარღვებში მდგარი, —
მტერი სასტიკი ზომიერი სურვილებისა.
ის, თუ კი ერთხელ აინთება, აროდეს ჰქრება;
მაღალ ბედისკენ მისწრაფება მისი დიდია.
სიმშვიდის გარდა, არაფრისგან მოელის ვნება.
ესაა, გული ცხელებით რომ იწვის და ნება,
საბედისწერო მისთვის, ვისაც ის უკიდია.

43

გაგიჟდა ხალხი ამითი, და სიგიჟე ესე
სხვებსაც შეჰყარეს. მეფეები, დამპყრობელები,
დამფუძნებელნი სექტებისა, მტრობას რომ სთესენ,
პოეტები და სახელმწიფო ხელმძღვანელები,
გულთა იდუმალ წყაროების ამქუხარებით,
ასულელებენ თავის თავზე უფრო ჭკვიანებს.
ამაოთ შეშურთ! მათში ერთმაც გულის კარები
ხალხს რომ გაუღოს და უჩვენოს ღრმა იარები,
დიდების ნატვრით სულს არვინღა დაიზიანებს.

44

სუნთქვა იმათი მოელვარე, ქარიშხლის ფრთებზე
სხეულან ისინი და ბოლოს კი ძირს ვარდებიან;
ფანატიკურად ბობოქრობენ საბრძოლველ ხმებზე,
მაგრამ, საშიშარ მოვლენებს რომ გადურჩებიან,
სიცოცხლეს მათსას ეფინება ფერები მკრთალი.
მაშინ, როდესაც დასრულდება მათი ქმედება,
თანდათანობით ეკარგებათ ღონე და ძალი;
ამგვარად, საკვებს მოკლებული ჩაქრება ალი,
ასევე, უქმად მიგდებულ ხმალს ჟანგი ედება.

45

მას, ვისაც ასვლას დიდ მწვერვალზე არ უშლის დაღლა,
თხემი დაბნდება თოვლითა და ნისლით ბურვილი.
ვინც კაცთა მოდგმას დაეუფლა, ასული მაღლა,
მეფობს მისდამი დაბლა მტრობა და სიძულვილი.
ნათელს ასხურებს მას ზემოდან მზე დიდებისა,
ქვემოთ მიწა და ოკეანე გაშლილა ფართოდ,
ირგვლივ თვალსა სჭრის ელვარება ყინულებისა
და ხმა გაისმის ქარტეხილის გააფთრებისა.
ჯილდო უძნელეს ზეასვლისთვის ეგ არის მარტო.

თარგმანი ინგლისურიდან **კონსტანტინე ჭიჭინაძისა.**

ბერნარდენ დე სენ პიერი

პოლი და ვირჟინი

ნაწყვეტი

1738 წელს ამ კუნძულზე გუბერნატორ დელაბურდონეს ჩამოსვლიდან სამი წლის შემდეგ, ქალბატონ დელატურს აცნობეს: გუბერნატორს თქვენთვის მამიდას წერილი აქვს გადმოსაცემიო. ქალბატონი დელატური მაშინვე გაეშურა პორტ-ლუისაკენ. სრულიად არ სწუხდა იმას, რომ ცუდად ჩაცმული მიდიოდა. მოსიყვარულე დედისთვის სულ ერთი იყო, რას იტყოდნენ ადამიანები მასზე. ბატონმა დელაბურდონემ მართლაც გადასცა წერილი, რომელშიც მამიდა სტუქსავდა მას, ღირსი ხარ შენი ბედისა, ვილაც ავანტიურისტს, გარყვნილს რომ გაჰყევიო. ვნებამ თავისი სასჯელიც მოიტანაო. შენი ქმრის უდროოდ სიკვდილი სწორედ ღვთის სასჯელი არისო: კარგად მოიქეცი, რომ კუნძულზე გადასახლდი და საფრანგეთში ოჯახს შერცხვენა ააცდინეო; კარგ ქვეყანაში ცხოვრობ, სადაც ზარმაცების გარდა ყველა ქონებას იძენსო. გალანძღვის შემდეგ მამიდა წერილს თავის ქებით ათავებდა: რათა თავიდან ამეცილებინა, იწერებოდა, ის დამღუპველი შედეგები, რაც ქორწინებას მოჰყვება, სამუდამოდ უარი ვთქვი გათხოვებაზეო; ნამდვილად კი მამიდას გაუთხოვრობის მიზეზი პატივმოყვარეობა იყო, მას სურდა აუცილებლად დიდგვაროვანს გაჰყოლოდა, მაგრამ მამიდას დიდი სიმდიდრის მიუხედავად, მეფის კარზე, სადაც მხოლოდ ქონებას აფასებენ, ისეთი არავინ გამოჩნდა, რომელსაც ამ მახინჯ და გულქვა ქალთან დაკავშირება მოესურვებინა.

ბარათის მინაწერში ის უმატებდა: ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე, ბატონ დელაბურდონეს მივმართე, განსაკუთრებული ყურადღება მოგაქციოსო. მართლაც, ეთხოვნა ბატონ დელაბურდონესათვის საერთოდ გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, მაგრამ ეს ხშირად მფარველს აშკარა მტერზე უფრო საშიშს ხდის. რათა მამიდას გუბერნატორის წინაშე თავისი უგულობა გაემართლებინა, პირფერობდა, ქალბატონი დელატური მეცოდებაო, ნამდვილად კი მას ცილს სწამებდა.

ქალბატონი დელატური, რომელსაც ყველა პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდა, მამიდას მიერ ამხედრებულმა ბატონმა დელაბურდონემ ცივად მიიღო. ქალბატონმა დელატურმა გუბერნატორს თავისი ოჯახის მდგომარეობა მოახსენა, გუბერნატორმა კი ამაზე მხოლოდ უხეში დაუმთავრებელი პასუხი გასცა:

— ვნახავ... უნახოთ... დროს ვაცალოთ... ბევრია გაჭირვებული. რატომ აწუხებთ ასეთ პატივსაცემ მამიდას? თქვენი ბრალია.

ქალბატონი დელატური გულმოკლული და გამწარებული დაბრუნდა შინ. სკამზე მოწყვეტილად დაეშვა, მაგიდაზე მამიდას წერილი დააგდო და თავის მეგობარს მიმართა:

— აი ხუთმეტი წლის მოთმინების ჯილდო!

რადგან მხოლოდ ქალბატონმა დელატურმა იცოდა კითხვა, მან წერილი აიღო და წაუკითხა ერთად შეკრებილ ოჯახის წევრებს. წერილის კითხვის დამთავრებისთანავე მარგერიტმა ცოცხლად უთხრა თავის მეგობარს:

— რაში გჭირდებათ თქვენი ნათესავები? განა ჩვენ ღმერთმა მიგვატოვა? ჩვენი მამა მხოლოდ ის არის. დღემდე განა ბედნიერად არ გვიცხოვრია? მაშ რატომ დამწუხრებულხართ? ვერ ყოფილხართ გულადი!

როცა დაინახა, რომ ქალბატონი დელატური სტიროდა, ყელზე შემოეხვია და გულში ჩაიკრა:

— ძვირფასო მეგობარო! ძვირფასო მეგობარო!—ეძახოდა მარგერიტი, მაგრამ თვითონაც აქვითინდა და ხმა ჩაუწყდა.

ამის მნახველი ვირჟინი ცრემლად იღვრებოდა. ხან დედის, ხან მარგერიტის ხელებს ჰკოცნიდა და გულში იკრავდა, პოლი კი სიბრაზით თვალანთებული ყვიროდა; მუშტებს ჰკუმშავდა, ფეხებს აბაკუნებდა. არ იცოდა ჯავრი ვისზე ეყარა. ამ ხმაურობაზე მარიმ და დომინგომაც მიირბინეს და ქოხში მხოლოდ ოხვრა-კვნესა, მწუხარე წამოძახილები გაისმოდა:

— ოჰ!.. ქალბატონო!.. კეთილო ქალბატონო! ჩემო დედავ!.. ნუ სტირი!..

მეგობრობის ასეთმა ნაზმა გამოხატულებამ ქალბატონ დელატურს დარდი გაუფანტა. პოლსა და ვირჟინის ხელი მოხვია და დამშვიდებული სახით უთხრა:

— შემო შვილებო, თქვენა ხართ მიზეზი ჩემი ტანჯვისა, მაგრამ ჩემი სიხარულიც ხართ; ოჰ, ძვირფასო შვილებო! უბედურება მხოლოდ შორიდან მეწვია. ბედნიერება კი ჩემს გარშემოა.

პოლმა და ვირჟინიმ დედის ნათქვამი ვერ გაიგეს, მაგრამ, დედა რომ დამშვიდებული დაინახეს, გაუღიმეს და ალერსი დაუწყეს. ასე განაგრძეს ბედნიერი ცხოვრება; ეს ამბავი მხოლოდ ჭექა-ქუხილი იყო კარგ ამინდში.

ბავშვების კეთილი ბუნება დღითიდღე ვითარდებოდა. ერთ კვირადღეს, როდესაც დედები პამპლემუსის ეკლესიაში იყვნენ წასული, ქოხის გარშემო გაშენებულ ბანანებთან მივიდა ვილაც ზანგის ქალი. სიგამხდრისაგან ჩონჩხადქცეულს ტანისამოსის მაგივრად წელზე ხამი ტილოს ნაფლეთები ეკიდა. ზანგის ქალი საუზმის მზადებაში გართულ ვირჟინის ფეხებთან დაეცა და უთხრა:

— ჩემო ახალგაზრდა ქალბატონო, შემიბრალეთ, ერთი საწყალი მონა ვარ, ბატონს გამოვექეცი; თვე არის, რაც ამ მთებში დავეხეტები, ცოცხალმკვდარი შიმშილისაგან. მონადირეებისა და მათი ძაღლების დევნას თავი ძლივს დავაღწიე; ჩემს ბატონს გავექეცი, რომელიც „შავი მდინარის"-პირელი ახალმოშენეა,—და ღრმა ჭრილობებით დასერილი, მათრახნაცემი ტანი უჩვენა.

— თავის დახრჩობა განვიზრახე,—დაუმატა ზანგის ქალმა,—მაგრამ ვიცოდი, რომ თქვენ აქ ცხოვრობთ, და ვთქვი, რადგან ამ ქვეყანაზე კეთილი თეთრები კიდევ არიან, ჯერ თავის მოკვლა საჭიროა არ არის მეთქი.

აღელვებულმა ვირჟინიმ უპასუხა:

— დამშვიდდით, უბედურო ქმნილებავ! ჭამეთ, ჭამეთ, — და მიაწოდა ოჯახისათვის დამზადებული საუზმე, რომელიც მონა ქალმა სულ ცოტა ხანში გაათავა მთლიანად.

ვირჟინიმ უკვე გამძღარ ზანგის ქალს უთხრა:

— საბრალოვ! მე მსურს ბატონთან წამოგყვეთ და თქვენი პატიება ვსთხოვო; რომ დაგინახავთ, შეებრალებით. მიმიყვანთ მასთან?

— ღვთის ანგელოზო,—მიუგო ზანგის ქალმა,—თქვენ ყველგან წაგყვებით, სადაც ინებებთ.

ვირჟინიმ ძმას დაუძახა და სთხოვა თან გაჰყოლოდა. ლტოლვილმა ზანგის ქალმა ისინი ტყის ბილიკებით წაიყვანა; მაღალი მთები გადაატარა, რომლებზე ასვლა ძალიან გაუჭირდათ; ფართო მდინარეებზე ფონით გადავიდნენ. ბოლოს შუადღისას გორაკს მიაღწიეს „შავ მდინარესთან". იქ დაინახეს კარგად ნაგები სახლი, დიდი პლანტაციები და მრავალი მონა, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. ბატონი კი, პირში ყალიონ-გაჩრილი, მონებს შორის დასეირნობდა. ხელში ინდური ლერწმის ჯოხი ეჭირა. მაღალი, ხმელი კაცი იყო, შავგვრემანი. ჩაღრმავებული თვალები და გადაბმული შავი წარბები ჰქონდა. აღელვებულ ვირჟინის პოლისათვის ხელი მკლავში ჩაევლო; ასე მიუახლოვდა ახალმოშენეს და სთხოვა: მონა ქალს აპატიეთო; ზანგის ქალი იქვე იდგა. პირველად ახალმოშენემ ყურადღება არ მიაქცია ღარიბულად ჩაცმულ ბავშვებს. მაგრამ, როდესაც შენიშნა ვირჟინის მოხდენილი ტანი, ქუდ-ქვეშ—მშვენიერი ქერა თავი, გაიგონა მისი ნაზი ხმა, რომელიც ისე უთრთოდა, როგორც მთელი სხეული, ახალმოშენემ პირიდან ჩიბუხი გამოიღო, ჯოხი ცისკენ აიშვირა და საშინელი ფიცი წარმოსთქვა: ღვთის არა და თქვენი გულისათვის კი მონას ვაპატიებო. ვირჟინიმ მაშინვე ანიშნა მონას, რომ ბატონს მიახლოვებოდა, თვითონ კი გაიქცა, პოლიც თან მიჰყვა.

ბავშვებმა აირბინეს გორაკი, რომელიც იქეთობას გადაიარეს. მწვერვალზე რომ ავიდნენ, დაღლილობა, შიმშილ-წყურვილი იგრძნეს. ხის ძირას დასხდნენ. მზის ამოსვლიდან ხუთი ლიე გაიარეს მშივრებმა. პოლმა უთხრა ვირჟინის:

— ჩემო დაო, ნაშუადღევია. შენ გშია და გწყურია, აქ საჭმელს ვერაფერს ვიშოვით, გორაკიდან დავეშვათ და მონების ბატონს ვთხოვოთ საჭმელი.

— ოჰ! არა! ჩემო მეგობარო, — უპასუხა ვირჟინიმ. — იმ კაცმა ძლიერ შემაშინა. მოიგონე, რას გვეუბნება ხოლმე დედა: ბოროტი კაცის პური პირს ხრეშით ავსებსო.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?—სთქვა პოლმა.—ამ ხეების ნაყოფი არ იჭმევა? არ არის აქ თაფლინდის, არც ლიმონის ხე, რომ მათი ხილით წყურვილი მოვიკლათ?

— ღმერთი შეგვიბრალებს,—უპასუხა ვირჟინიმ.—მას ესმის პატარა ჩიტების ხმაც, რომლებიც საკვებს სთხოვენ.

ესა სთქვა თუ არა, მოესმათ მახლობელ კლდიდან გადმომჩქეფარე წყაროს ჩხრიალი. წყაროსთან მიირბინეს. კრისტალივით გამჭვირვალე წყლით წყურვილი რომ მოიკლეს, წყაროს ნაპირთან ცოტა წიწმატი დაკრიფეს და ჭამეს.

ბავშვები აქეთ-იქით იცქირებოდნენ, უფრო ნოყიერ საჭმელს დაეძებდნენ. ვირჟინიმ ტყეში ხეებს შორის ახალგაზრდა კომბოსტოსნაირი პალმა შენიშნა. კომბოსტო, რომელსაც ეს ხე ფოთლებს შორის კენწეროზე ისხამს,

კარგი საკვები ხილია. თუმცა ხის ტანი ადამიანის ფეხზე უმსხოსი არ იყო, მისი სიმაღლე სამოც ფუტს აღემატებოდა. მართალია, კომბოსტოსნაირი პალმის ტანი მხოლოდ ბოჭკოს კონას წარმოადგენს, მაგრამ მეოქნის ცილა ისეთი მაგარი აქვს, რომ საუკეთესო ნაჯახის პირს არ მიიკარებს; პოლს კი ჯიბის დანაც არა ჰქონდა. აზრმა გაუელვა, პალმისათვის ძირში ცეცხლი გაეჩინა. მაგრამ მეორე დაბრკოლება წამოიჭრა, არც კვესი ჰქონდა და, სხვათა შორის, ვეჭვობ, რომ კლდეებით ასე დაფარულ კუნძულზე ერთი კენჭი ტალი მოიპოვებოდეს. ადამიანს რომ გაუჭირდება, ხერხს მიმართავს, და ხშირად ყველაზე უფრო სასარგებლო გამოგონება ყველაზე უფრო გაჭირვებულ ადამიანს ეკუთვნის. პოლმა გადასწყვიტა ზანგისებურად გაეჩინა ცეცხლი: წვეტიანი ქვით გახვრიტა ხის ხმელი ტოტი, რომელიც ფეხქვეშ ამოიდო; მერე ამავე ქვის მახვილი პირით მეორე სხვა ჯიშის ხის ხმელ ტოტს წვერი წაუმახვა. ამ ტოტის წამახვილებული წვეტი ფეხქვეშ ამოდებული ტოტის ნახვრეტში ჩასდო და ხელებს შორის სწრაფად დაატრიალა... ცოტა ხანში იმ ადგილას, სადაც ხის ტოტები ერთმანეთს ეხებოდნენ, პოლმა ბოლი და ნაპერწკლები შენიშნა. მან ხმელი ბალახი, ხის ტოტები მოაგროვა და პალმას ძირში ცეცხლი შეუნთო. ძირგამომწვარი ხე მალე დაეცა დიდი გრიალით.

ცეცხლი პოლმა გამოიყენა აგრეთვე კომბოსტოსათვის გრძელი, მჩხვლეტავი, გამაგრებული ფოთლების შემოსაცლელად. ვირჟინიმ და პოლმა ნახევარი კომბოსტო უმად შეჭამეს, მეორე ნახევარი კი—ნაცარში შემწვარი. ორივე ერთნაირად გემრიელი გამოდგა. ამ ღარიბ სადილს სიხარულით შეექცეოდნენ, თან იხსენებდნენ კეთილ საქმეს, რომელიც ამ დილას გააკეთეს, მაგრამ სიხარული მწუხარებად შეეცვალათ, როდესაც წარმოიდგინეს, როგორ შესწუხდებოდნენ დედები ბავშვების დაგვიანებით. ეს ფიქრი არ ასვენებდა ვირჟინის. ღონეზე მოსული პოლი კი ვირჟინის არწმუნებდა: ჩვენს დედებს მალე დავამშვიდებთო.

ნასადილევს დიდ დაბრკოლებას წააწყდნენ: აღარ ჰყავდათ შინ მიმყვანი მეგზური. პოლმა, რომელსაც არაფერი აოცებდა, უთხრა ვირჟინის:

— ჩვენი ქოხი სამხრეთისაკენ არის, ხომ ხედავ სამმწვერვალიან მთას, ამ დილას რომ გადავიარეთ; ჩვენ ის უნდა გადავლახოთ; მაშ, გავსწიოთ, ჩემო მეგობარო.

ეს იყო ერთი იმ მთათაგანი, რომელსაც „სამძუძას“ ეძახიან. იმიტომ, რომ ამ მთის სამივე მწვერვალს ძუძუს მოყვანილობა აქვს.

ბავშვები „შავი მდინარის“ განმარტოებული გორაკის ჩრდილოეთ მხარეს დაეშვნენ და ერთი საათის სიარულის შემდეგ მიადგნენ განიერ მდინარეს, რომელმაც გზა გადაუღობათ. კუნძულის ეს დიდი ნაწილი, მთლიანად ტყეებით დაფარული, დღესაც არ არის საკმაოდ შესწავლილი, და აქ ბევრ მთასა და მდინარეს ჯერ სახელებიც კი არა აქვს... მდინარე, რომლის ნაპირსაც ბავშვები იყვნენ, აქაფებული მიჰქროდა. მისმა ხმაურობამ ვირჟინი შეაშინა, წყალში ფეხის ჩადგმა ვერ გაბედა, რათა ფონს გასულიყო. მაშინ პოლმა ვირჟინი ზურგზე შეისვა, მდინარეში ჩავიდა და ასე გადაიყვანა სრიალა ქვებზე, თუმცა ტალღები ფეხებში სცემდა.

— ნუ გეშინია,—ეუბნებოდა ვირჟინის,—შენთან რომ ვარ, თავს ძალიან ღონიერად ვგრძნობ. „შავი მდინარის“-პირელ ახალმოშენეს შენთვის რომ უარი ეთქვა თავისი მონის პატიებაზე, მე მას შევებრძოლებოდი.

— როგორ?—სთქვა ვირჟინიმ—ამოდენა კაცს, ასეთ ბოროტს? რა მდგომარეობაში ჩაგაგდე! ღმერთო ჩემო! რა ძნელია კეთილი საქმის გაკეთება! ავისა კი რა ადვილი!

პოლი რომ ნაპირს გავიდა, ვირჟინი ზურგიდან არ ჩამოუსვამს, ასე უნდოდა მისი წაყვანა. თავს არწმუნებდა, ამნაირად შევძლებ „სამძუძა მთაზე" ასვლასო, რომელიც ნახევარ ლიეს მანძილზე იყო; მაგრამ მალე იგრძნო დაღლა, იძულებული გახდა ვირჟინი ძირს ჩამოესვა და დის გვერდით მოესვენებინა. მაშინ ვირჟინიმ პოლს უთხრა:

— ჩემო ძმაო, დღე ილევა, შენ კიდევ შეგრჩა ძალა, მე კი აღარ. მე აქ დამტოვე და მარტო დაბრუნდი ჩვენს ქოხში, რათა ჩვენი დედები დაამშვიდო.

— ოჰ, არა! — უთხრა პოლმა,—მე არ დაგტოვებ. თუ ტყეში ღამემ მოგვისწრო, ცეცხლს გავაჩაღებ, კომბოსტოსნაირ პალმის ხეს წავაქცევ, მის ნაყოფს შენ გაჭმევ, ფოთლებისაგან კი თავის შესაფარებლად ფაცხას მოვლობავ.

ამ საუბარში ვირჟინიმ დაისვენა და მდინარის ნაპირზე დახრილი ბებერი ხის ტანზე დაკიდებული სკოლოპენდრის გრძელი ფოთლები დაკრიფა. ამ ფოთლებისაგან ქვებზე სიარულით დაზიანებულ ფეხებზე ფეხსაცმლის მსგავსი რაღაც გაიკეთა. კეთილი საქმის გაკეთებამ ვირჟინი ისე გაიტაცა, რომ ფეხზე ჩაცმა დაავიწყდა. გრილი ფოთლები იამა. ბამბუკს ტოტი მოსტეხა და გზას გაუდგა, სიარულის დროს ცალი ხელით ჯოხს ეყრდნობოდა, მეორეთი კი—ძმას.

ბავშვები მშვიდად მიჰყვებოდნენ ტყეს, მაგრამ ხშირფოთლებიანი ხეების სიმაღლის გამო ჩქარა დაჰკარგეს „სამძუძა მთა", რომლისკენაც გზა ეჭირათ. ჩამავალ მზესაც ველარ ხედავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვები შეუმჩნევლად ასცდნენ გაკაფულ ბილიკს, რომელსაც მიჰყვებოდნენ, მოექცნენ ხეების ლიანებისა და კლდეების ლაბირინტში; გასასვლელი არსად სჩანდა. პოლმა ვირჟინი დასვა, თვითონ კი გონებაარეული აქეთ-იქით მოჰყვა სირბილს. მაგრამ ამაოდ დაიქანცა. მაღალი ხის წვერზე აცოცდა, რომ „სამძუძა მთა" მოენახა, მაგრამ თავის გარშემო ვერაფერს ხედავდა ჩამავალი მზის სხივებით აქა-იქ განათებული ხეების კენწეროების გარდა. მთების ჩრდილს უკვე დაეფარა ვაკეში ტყეები; ქარი ჩადგა, როგორც ეს მზის ჩასვლისას ხდება ხოლმე; ღრმა სიჩუმე სუფევდა ამ განმარტოებულ ადგილას, მხოლოდ ირმების ყვირილი ისმოდა, რომლებიც დასაბინავებლად ამ მყუდრო მხარისაკენ მიეშურებოდნენ. პოლმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, კივილი მორთო იმ იმედით: ვინმე მონადირეს გავაგონებო.

— მოდით, მოდით, ვირჟინის დაეხმარეთ.

მაგრამ მხოლოდ ტყის გამოძახილი აძლევდა პასუხს. შორს, შორს გაისმოდა: „ვირჟინი!.. ვირჟინი"!..

პოლი ხიდან ჩამოვიდა დაღლილი, მწუხარებისაგან მოტეხილი. იგი მაინც შეუდგა ღამის გასათევი ადგილის ძებნას, მაგრამ აქ არც წყარო სჩანდა, არც კომბოსტოსნაირი პალმის და არც ხის ხმელი ტოტები ცეცხლის დასანთებად. პოლმა, თავისი უძლურება რომ იგრძნო, ტირილი დაიწყო. მაშინ ვირჟინიმ უთხრა:

— ნუ სტირი, ჩემო მეგობარო, თუ არ გინდა, შენი მწუხარებით დავიტანჯო. დედებისა და შენი ტანჯვის მიზეზი მე ვარ. არაფერი არ უნდა

გააკეთო, კარგიც კი, თუ მშობლებს არ დაეკითხები. ოჰ, ძალიან უგუნურად მოვიქეცი.

და ვირჟინისაც წასკდა ცრემლები, პოლს კი უთხრა:

— ღმერთს შევევედროთ, ჩემო ძმაო, იგი შეგვიბრალებს.

ლოცვა არც კი ჰქონდათ დასრულებული, რომ ძაღლის ყეფა მოესმათ.

— ეს ძაღლი, ალბათ, რომელიმე მონადირისაა, — სთქვა პოლმა, — რომელიც მიდის ირმების დასახოცად საღამოს საფარიდან.

ცოტა ხანში ძაღლის ყეფამ იმატა.

— მე მგონია,—სთქვა ვირჟინიმ,—ეს ჩვენი ფიდელია, ჩვენი ძაღლი, დიახ, მე მისი ყეფა ვიცანი; ნუთუ ჩვენს მთასთან ასე ახლოს მივედით?

მართლაც, სულ მოკლე ხანში ფიდელი მათს ფეხთან გაჩნდა, ყეფდა, ღმუოდა, წკმუტუნებდა, ალერსით დაჰქანცა ბავშვები. გაოცებისაგან ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ დომინგო დაინახეს, მათკენ მორბოდა; კეთილი ზანგი სიხარულისაგან ტიროდა. მის დანახვაზე ბავშვებმაც ტირილი მორთეს, სიტყვის თქმა ვერ მოახერხეს. დომინგო რომ დამშვიდდა, ბავშვებს უთხრა:

— ოჰ, ჩემო ახალგაზრდა ბატონებო, როგორ სწუხან თქვენი დედები, როგორ, გავოცდით, წირვიდან დაბრუნებულებს შინ რომ არ დაგვხვდით! მარიმ, რომელიც ჩვენი ეზოს ერთ კუთხეში მუშაობდა. ვერ გვითხრა, სად იყავით წასული. ეზო-გარემო შემოვიარე, არ ვიცოდი, სად მეძებნეთ. ბოლოს თქვენს ძველ ტანისამოსს წამოვავლე ხელი და ფიდელს დავაყნოსვინე; იმ წამსვე, საბრალო ცხოველი თითქოს მიმიხვდაო, თქვენი კვალის ძებნას შეუდგა: ფიდელმა კუდის ქნევით მიმიყვანა „შავ მდინარებდე". იქ გავიგე ახალმოშენისაგან, რომ იმასთან ლტოლვილი ზანგის ქალი მიგიყვანიათ და მისი პატიება გითხოვნიათ. მაგრამ როგორ შეუწყნარებია თქვენი თხოვნა! ახალმოშენემ ხის კუნძზე მიბმული მონა ქალი მიჩვენა, რომელსაც ფეხსა და კისერზე რკინის სამშესაკრავიანი საყელო ჰქონდა გაკეთებული; იქიდან ფიდელი კვალს გაჰყვა და „შავი მდინარის" განმარტოებულ გორაკზე ამიყვანა. შედგა და მთელი ძალით ყეფა დაიწყო. ეს იყო წყაროს პირას წაქცეული კომბოსტოსნაირი პალმის ხესთან, ცეცხლთან, რომელიც ჯერ კიდევ ბოლავდა. ბოლოს ფიდელმა აქ მომიყვანა. ჩვენ „სამძუძა მთის" ძირას ვართ, და სახლამდე კარგი ოთხი ლიე არის კიდევ. აბა, ჭამეთ და ძალა მოიკრიბეთ.

დომინგომ ბავშვებს მიაწოდა ნამცხვარი, ხილი და ერთი დიდი აყირო, სასმელით გავსებული. რომელიც შაქრითა და ჯავზით შეზავებული ლიმონის წვნისა და წყლიანი ღვინისაგან შესდგებოდა. ეს სასმელი დედებმა მოუმზადეს ბავშვებს ძალღონის აღსადგენად და გასაგრილებლად. ვირჟინიმ საბრალო მონა ქალისა და დედების მწუხარების მოგონებაზე ამოიოხრა და რამდენჯერმე გაიმეორა:

— ოჰ, რა ძნელია კეთილი საქმის გაკეთება!

პოლი და ვირჟინი საჭმელს რომ შეექცეოდნენ, დომინგომ ცეცხლი დაანთო. კლდეებს შორის მონახა ერთი მრუდე ხე, რომელსაც სადარაჯო ხეს ეძახიან; იგი ნედლად იწვის და დიდი ალიცა აქვს; ამ ხისაგან ჩირალდანი გააკეთა, რადგან უკვე ღამე იყო. მაგრამ უფრო დიდი გაჭირვება დომინგოს მაშინ დაადგა, როდესაც გზის გაგრძელება დააპირეს: პოლსა და ვირჟინის სიარული აღარ შეეძლოთ; ფეხები დასიებოდათ და დასწითლებოდათ. დომინგომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: წასულიყო შორს დამხმარეთა საძებრად, თუ იქვე გაეთია ღამე ბავშვებთან ერთად.

— სად არის ის დრო,—უთხრა მან,—როდესაც ორივეს ხელში აგიყვანდით და ასე გატარებდით? თქვენ ახლა დიდები ხართ, მე კი მოვხუცდი.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში რომ იყვნენ, ლტოლვილი ზანგების ჯგუფი წაადგათ თავზე. ჯგუფის მეთაური პოლსა და ვირჟინის მიუახლოვდა და უთხრა მათ:

— კარგო პატარა თეთრებო, ნუ გეშინიათ!.. ამ დილას „შავ მდინარესთან“ დაგინახეთ, ზანგის ქალთან ერთად მიმავალი, რათა იმ საწყალის პატიება გეთხოვათ მისი ბოროტი ბატონისათვის. მადლობის ნიშნად მხარზე შეგისვამთ და წაგიყვანთ.

მეთაურმა თავისიანებს ხელი დაუქნია და ოთხმა ლტოლვილმა ზანგმა მაშინვე საკაცე გააკეთეს ხის ტოტებისა და ლიანებისაგან, ზედ პოლი და ვირჟინი დასვეს, დომინგო ჩირაღდნით წინ გაუძღვა. გზას გაუდგნენ. ზანგები სიხარულით ყიჟინებდნენ, ბავშვებს ლოცავდნენ: გულაჩვილებულმა ვირჟინიმ უთხრა პოლს:

— ოჰ, ჩემო მეგობარო, მადლისმქნელს ღმერთი არასოდეს დაუჯილდოვებელს არ სტოვებს.

შუაღამისას თავიანთ მთას მიუახლოვდნენ. მთის მწვერვალი რამდენიმე კოკონით გაენათებინათ. აღმართი აიარეს თუ არა, ძახილი მოესმათ; მათ უხმობდნენ:

— თქვენა ხართ? ჩვენი შვილები?

ბავშვებმა ზანგებთან ერთად უპასუხეს:

— დიაღ, ჩვენა ვართ.

პოლმა და ვირჟინიმ მალე დაინახეს ალმოდებული მუგუზლებით მათკენ მიმავალი დედები და მარი.

— უბედურო ბავშვებო, — უთხრა ქალბატონმა დელატურმა, — საიდან მოდიხართ? რა სატანჯველში ჩაგვაგდეთ?

— ჩვენ მოვდივართ „შავი მდინარიდან“,—უპასუხა ვირჟინიმ,—პატიება ვთხოვეთ ბატონს ერთი საწყალი ლტოლვილი ზანგის ქალისა. ის მონა ქალი ამ დილას აქ ვასაუზმე, რადგან შიმშილისაგან სული ხდებოდა; და აი ჩვენ ლტოლვილმა ზანგებმა მოგვიყვანეს.

ქალბატონმა დელატურმა თავისი გოგონა გულში ჩაიკრა, ლაპარაკი აღარ შეეძლო. დედის ცრემლებით სახედანამულმა ვირიჟინიმ უთხრა მას:

— თქვენ ამინაზღაურეთ გადატანილი ტანჯვა.

ხიხარულით ატაცებული მარგერიტი პოლს მკერდში იხუტებდა და ეუბნებოდა:

— შენც, ჩემო შვილო, შენც კეთილი საქმე გააკეთე!

დედებმა ბავშვები შინ მიიყვანეს და ზანგებს აჭამეს. ისინი რომ დანაყრდნენ, მასპინძელს ყოველივე სიკეთე უსურვეს და ტყეს დაუბრუნდნენ.

ამ ოჯახებისათვის ყოველ დღეს ბედნიერება და სიმშვიდე მოჰქონდა. არც შური, არც პატივმოყვარეობა მათ არ სტანჯავდა. ეს ქალები სრულიად არ ცდილობდნენ იმ ცრუ დიდების მოხვეჭას, რომელიც ხრიკით მოიპოვება და ჭორით იკარგება. ისინი იმითაც კმაყოფილდებოდნენ, თვით რომ იყვნენ მოწმე და მსაჯული თავიანთი ყოფაჭცევისა. ამ კუნძულზე, სადაც, როგორც ყველა ევროპულ ახალშენში, ცნობისმოყვარეობას მხოლოდ ცუდი ამბის მიმართ იჩენენ, მეგობარ ქალთა სათნოება, სახელებიც კი უცნობი იყო.

თარგმანი ფრანგულიდან **ირ. ქავჟარაძისა.**

კ რ ი ტ ი კ ა

გაბრიელ ჯაბუშანური

შენიშვნები ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე

წერილი პირველი

1.

მე განვიზრახე დავწერო ჩემი ამხანაგების შესახებ. ამ წერილებს არა აქვთ პრეტენზია: მისცენ მკითხველს მთლიანი წარმოდგენა ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედებაზე; აქ შენიშვნების სახით მოცემულია, მხოლოდდამხოლოდ, ჩემი მოსაზრებანი ახალგაზრდა მწერლებზე, ერთი სიტყვით ყოველივე ის, რასაც მე ვფიქრობ ჩემი ამხანაგების შემოქმედების შესახებ.

ჩვენს ლიტერატურულ პრესაში თუ პერიოდიკაში ხშირად ლაპარაკობენ: ახალგაზრდა მწერლების აღზრდის, მათთვის დახმარების გაწევისა და სხვათა შესახებ. ხშირად გვისაყვედურებენ თემატიურ შეზღუდულობას, თანამედროვე ცხოვრებიდან მოწყვეტასა და ნეიტრალური თემებით გატაცებას ჩვენს მხატვრულ მონაცემებში. ამისდა მიუხედავად ქართულს ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ არა გვაქვს იმის ცდაც კი, რომ ოდნავ საფუძვლიანად მაინც იყოს განხილული ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება. ამგვარი ხასიათის წერილები, გარდა იმისა, რომ აღმზრდელობითს როლს ითამაშებდნენ, აგრეთვე დიდად შეუწყობდნენ ხელს ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედებითს ზრდასა და წინსვლას. მე მგონია: ახალგაზრდა მწერლების საგრძნობ ნაწილს მოეპოვება იმდენი მხატვრული პროდუქცია, რომ ღირს მასზე შეჩერება და ლაპარაკი.

გულწრფელი და მიუდგომელი კრიტიკა ყოველთვის იყო მწერლისათვის სწორი გზის მაჩვენებელი და სტიმულის მიმცემი. ასეთი უნდა იყოს ის განსაკუთრებით ჩვენს პირობებში და ამგვარი კრიტიკა, ცხადია, ყველაზე უფრო ახალგაზრდა მწერლებს სჭირდებათ.

მე მინდა უპირველეს ყოვლისა იმ ავტორებს შევეხო, რომლებმაც უკვე წიგნები გამოაქვეყნეს; ამათგან უფრო ადრე, გიორგი კალანდაძის ლექსების წიგნი გამოვიდა.

დღეს ყოველი საბჭოთა მწერლის მთავარი მოვალეობაა: გვიჩვენოს ჩვენი თანამედროვეობა, დაგვიხატოს ჩვენი ქვეყნის ახალი ადამიანები, მათი საქმეებით, სიხარულითა თუ ტკივილებით. მწერალი სულითადაგულით უნდა იყოს მონდომებული, რომ თავის შემოქმედებით დაეხმაროს საბჭოთა მკითხველს კომუნისტური საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლაში, მისცეს სული-

ერი საზრდო და აღაფრთოვანოს იგი შემდგომი წინსვლისათვის. ამისათვის კი, აუცილებლად, საჭიროა, თვით შემოქმედი იყოს მოწინავე საბჭოთა ადამიანი—გამსჭვალული იმავე სულისკვეთებით, რომლებითაც სცოცხლობენ ჩვენი ბედნიერი ქვეყნის მოქალაქენი. დღეს საბჭოთა მწერლობის წინაშე საკითხი ასე სდგას: მწერლის ყოველი ახალი ნაწარმოები ჩვენს მკითხველში უნდა აღვივებდეს პატრიოტულ ენთუზიაზმს, შრომისა და ბრძოლის ენთუზიაზმს. მწერალი უნდა იძლეოდეს ისეთ ნაწარმოებს, რომელშიაც მკითხველი ნამდვილად შეიგრძნობს თანამედროვეობას, იცნობს საკუთარ თავს, საკუთარ ცხოვრებას, თავის სიხარულს, მწუხარებას, ბრძოლასა და გამარჯვებას.

ნაწარმოების მაღალ იდეურობასთან ერთად, საბჭოთა მკითხველი მწერლისაგან მოითხოვს სათანადო ფორმალურ ოსტატობასაც. მისი მხატვრული გემოვნება თანდათან იზრდება და ახლა ჩვენი მკითხველი არავითარ შემთხვევაში არ აპატიებს მწერალს, რასაც ამ ორი ათეული წლის წინათ დასაშვებად სთვლიდა. მხატვრული ნაწარმოების ფორმალური მხარე გვერდში უნდა მისდევდეს და ავსებდეს მის იდეურ ხაზს.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით გიორგი კალანდაძის ზემოთდასახელებული ლექსების წიგნს, დავინახავთ, რომ პოეტს თავის მუშაობაში საკმაოდ კარგი შედეგებისათვის მიუღწევია. წიგნში მოთავსებული ლექსები, ორიოდეს გამოკლებით, ეხებიან ჩვენი დროის აქტუალურ საკითხებს. გიორგი კალანდაძე თავის შემოქმედებაში უმღერის ჩვენს ბედნიერ აწმყოს, იძლევა რა მას ხშირად შავ წარსულთან დაპირისპირებით, ის ეხება სამოქალაქო ომების გმირულ ეპოპეას, ჩვენს საამაყო კლასიკოსებს და სხვა.

ლექსში „ცარიცინის დაცვა“ სულ რაღაც სამიოდე სტროფში მოცემულია ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის ეპიზოდი და ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს როლი ამ ბრძოლაში:

„გმირული დღეები იმგვარი
წარსულმა ბრძოლებმა არ იცის;
დრო იყო ცეცხლის და გრიგალის,
წითლები იცავდნენ ცარიცინს.
როს საბედისწერო ბრძოლაში,
რისხვის და იმედის ხმალივით,
ცეცხლის და გრიგალის ჭროლაში
ცარიცინს მოვიდა სტალინი.
და მისგან წითელმა ქალაქმა
ისწავლა ბრძოლების გატანა.
დაჭკრა და ექვს თვეში ალაგმა
ათასი მტერი და სატანა“.

აქ სიტყვის დიდი ეკონომიისა და ლექსის ყოველი სტრიქონის მაქსიმუმამდე აზრობრივად დატვირთვის ხარჯზე მიღწეულია საუცხოო შედეგი. ამის მიუხედავად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ლექსის მეორე სტრიქონი „წარსულმა ბრძოლებმა არ იცის“... სცოდავს ენის სისწორის თვალსაზრისით. აგრეთვე სტრიქონში: „როს საბედისწერო ბრძოლაში“... — მახვილი ერთ სიტყვას ორად ყოფს და ვღებულობთ: როს საბე დისწერო ბრძოლაში—რაც მხატვრულად გაუმართლებელია. უნაკლოდ შესრულებულია ლექსი „ოცწლიანი ვერხვები“, სადაც გახსენებაა სამოქალაქო ომის გმირული სურათებისა.

გიორგი კალანდაძის ლექსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „შამილი“ და „შადრევანი პუშკინის ბაღში“. პირველ მათგანში ახალი მთის ყოფის ფონზე მოცემულია შამილის ბრძოლა რუს დამპყრობელთა წინააღმდეგ.

„შადრევანი პუშკინის ბაღში“, თავის დროზე კრიტიკის მიერ სამართლიანად იქნა აღიარებული, როგორც კარგი ლექსი. აქაც, როგორც „შამილში“ თანამედროვეობის ფონზე, წარსულთან დაპირისპირებით, წარმოდგენილია დიდი რუსი პოეტის დაუვიწყარი სახე:

„დგანან ჭადრები და ჭადრებს იქით,
სადაც მავთული გაუბამთ ეკლის,
ზვიადი მზერით, ამაყი ფიქრით
გასცქერის ქალაქს პოეტის ძეგლი.
დგანან ჭადრები, ნაწამი თქორით,
პუშკინის ძეგლი ჩვენს ქალაქს ზვერავს,
დგანან ჭადრები, და ჭადრებს შორის
ხე-მარმარილო იტაცებს მზერას.
შემოტრიალდი, ჭუჭებს რომ ზვერავ,
ერთი ამ ხესაც მოაპყარ მზერა...“

წარსულის დიდ კლასიკოსებს ისე დიდ პატივს არსად არ სცემენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ, გასაგებია, რომ ლიტერატურული ახალგაზრდობა, თავის შემოქმედებაში, მათ გვერდს ვერ აუვლის. სხვას რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდა მწერლების უპირველესი და უდიდესი მასწავლებლები ისინი არიან. არ დარჩენილა, თითქმის, არც ერთი ახალგაზრდა მწერალი, რომ ლექსით არ გამოხმაურებოდეს ჩვენს კლასიკოს მწერლებს. გიორგი კალანდაძესაც, გარდა ზემოთაღნიშნული ლექსისა, აქვს კიდევ ორი ლექსი,— მიძღვნილი კლასიკოსი მწერლებისადმი, რომელთაგან ერთი შოთა რუსთაველს, ხოლო მეორე,—ილია ჭავჭავაძეს ეხება. რუსთაველზე დაწერილ ლექსში ახალი მაინცდამაინც არაფერია ნათქვამი, გარდა იმისა, რომ:

„გამოიარა დიდი ზამთარი
და საბჭოეთში გაიზაფხულა...“

რაც შეეხება მეორე ლექსს—„თერგდალეული“—ის ოსტატურადაა დაწერილი. როცა ხსენებული ლექსი პირველად დაიბეჭდა, ერთი კრიტიკოსი, იხილავდა რა მის დასაწყისს, სადაც სწერია:

„თუმცა სიმართლის შენ დარგე ნერგი,
ვერ გერწმუნები ერთში გენიოსს,
შენ გადმოგევლოს მგრგვინავი თერგი
და თერგის წყალი არ დაგელიოს...“

გაკვირვებას გამოსთქვამდა თუ რაში ედავება გ. კალანდაძე ილიას, მას ხომ თავისი თერგდალეულობა არსად არ უარუყვიაო. საქმე იმაშია, რომ კრიტიკოსს ყურადღება არ მიუქცევია კალანდაძის ლექსის ეპიგრაფისათვის, სადაც მოყვანილია ილია ჭავჭავაძისავე სიტყვები მისი „მგზავრის წერილებიდან“: „თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ არამც თუ მისი წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია: მეშინოდა, რომ თერგდალეულობა არ დამწამონ მეთქი“. ილიას ეს სიტყვები კალანდაძის მიერ ოსტატურადაა გამოყენებული და ამათზე არის აშენებული მთელი ლექსი.

გიორგი კალანდაძის ლექსების დიდი უმრავლესობა ეხება ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას. ამ მხრივ პოეტი, ამისულაშვილთან ერთად, გამოირჩევა სხვა ახალგაზრდებიდან. კალანდაძის ეს თემატიური აქტუალობა აუცილებლად მისაბაძია და მოწონების ღირსი. ამ ლექსებში პოეტი უმღერის ჩვენს საკოლმეურნეო სოფელს, საბჭოთა ადამიანების გმირობას, ახალგაზრდობას და სხვა. აქ მე ვგულისხმობ ისეთ კარგ ლექსებს, როგორიც არიან „შემოდგო-

ბის პეიზაჟები“, „მომღერალი“, „ლხინი“, „გაზაფხულის წვიმა წითელ მოედანზე“, კავკასს-ქედმაღალს“ და სხვ.

„შემოდგომის პეიზაჟები“ ლირიული სითბოთი და ნათელი ფერებით არის შესრულებული.

გიორგი კალანდაძის ხატვითი უნარის ნიმუშად მე მთლიანად მოვიყვან ლექსს „მომღერალი“:

„მწყობრი წკრიალით მოსწყდნენ ბგერები
ფრთხილად შერხეულ ბაგეებს ქალურს,
ვით უხილავი რამ ფრინველები,
მოჰყვნენ შრიალს და უვლიდნენ დავლურს.
ათასი გული თან აიყოლეს,
შეეხნენ ფრთებით აზიდულ ფარდას,
და დიდ დარბაზში არა იყო რა,
კეთილხმიანი ბგერების გარდა.
თვითონ ეღერდნენ და თვითონ ისმენდნენ,
აღტაცებისას ისმენდნენ ამბავს,
თვითონ მართავდნენ აპლოდისმენტებს
და ფრთებით ალმასს აყრიდნენ დარბაზს.
ურჩი ბგერების ტკბილი მძერწავი,
კეთილცხოვრებას უმღერდა ქალი,
იდგა სცენაზე იგი ლერწამი,
და სასიამო მოჰქროდა ქარი.
ბედნიერ დღეთა ასიმღერების
მან თაიგულად შეკრიბა ხმები,
მან დაატყვევა ურჩი ბგერები
და გამოასხა მთელ დარბაზს ფრთები.
ათასი გული თან აიყოლა,
შეეხო ფრთებით აზიდულ ფარდას,
მაგრამ სცენაზე არა იყო რა
კეთილხმიანი ლერწამის გარდა“.

გიორგი კალანდაძეს აქვს ერთი ძალიან კარგი თვისება: ის თავისი ლექსებისათვის ყოველთვის არჩევს თემის შესაფერ მახვილ სახეებს, ერიდება ბუნდოვანებას და ყურადღებით ეკიდება ნაწარმოების ფორმალურ მხარეს.

ბოლოს მე მინდა შევჩერდე გიორგი კალანდაძის იმ ნაკლულოვანებებზე, რომლებიც აქა-იქ გვხვდებიან მისი წიგნის კითხვის დროს. ძალიან სუსტია „საგაზაფხულო ლექსი“, აქ თითქმის ყოველ სტროფში არის მოულოდნელი ნახტომები: პოეტი ერთი საგნიდან გადადის მეორე საგანზე ისე, რომ ერთსა და იმავე ტაეპში—პირველ ორ სტრიქონს, ხშირად არავითარი კავშირი არა აქვს ბოლო ორთან. ეს არის საკმაოდ ძველი და მეტად იოლი ხერხი ლექსის წერისა, რომელიც თავის დროზე ცისფერყანწელებს ახასიათებდათ. ასეთი ხერხით ლექსის დაწერა, თითქმის, არავითარ შრომას არ მოითხოვს; საჭიროა მხოლოდ მსგავსად დაბოლოვებული სიტყვების მონახვა და რითმები მზად არის. შემდეგ ამ რითმების წინ ჩაურთავ სახელდახელოდ შეკოწიწებულ სიტყვებს და ვღებულობთ სტროფს. სამაგიეროდ ლექსის აზრობრივი მხარე უფერული და ნაძალადევი გამოდის.

ასე მაგალითად, გიორგი კალანდაძე სწერს:

„ბუჩქი გულგადაბურდული
დილის ნიავთან ანცობს,
მახლობელ ტყიდან ბულბული
ბუნების ზეიმს გვამცნობს...

„კლდეზე ჩანჩქერი ჩქრიალებს,
ფოთოლნი შხეფებს სვამენ,
ხანდახან შეიშრიალებს
ტყე, შეფოთლილი მწვანედ.
ტყის პირად აყრილ ნაკერჩხალს
ლორთქო ყლორტები შვენის,
უხარის მოხუც ერკემალს
და ბღუის ბუღა ჩვენი...“ და სხვ.

ასეთივე ნახტომებია ლექსში „სექტემბრის ღამე“ და „ზღვასთან“.

„ცას ვარსკვლავები შვენოდა,
ეზოს — ზვინების ჩრდილი,
მთვარე კაშკაშა ზემოდან,
სოფელს კი ტკბილი ძილი,
ვაზის ბარაქა ჭურ-მარანს,
ქარს ბულულებში ძრომა,
ჩვენს კოლმეურნე მურმანას
— მარნის გუშაგად დგომა...“
(„სექტემბრის ღამე“).

აი, კიდევ ადგილები ლექსიდან „ზღვასთან“:

„შორს ნამძინარევ ბაშვივით,
წევს ჰორიზონტზე ნისლი,
ტალღა ტალღაზე გაშლილი
შხეფებს კლდეებზე ისვრის.
კონცხი ტალღებზე იხრება,
ჩამოირეცხა ღაწვი,
ფრთადაწურულმა იხვებმა
გადისრიალეს თვალწინ“.

უდაოა, რომ სამივე ზემოთგანხილული ლექსი სუსტია, ამის მიზეზი კი ის არის, რომ პოეტი იოლი გზით წავიდა ლექსის წერის დროს და, როგორც მოუალოდნელი იყო, ვერც შედეგი მიიღო ეფექტიური.

წიგნში გვხვდება უხერხული თქმები და პროზაიზმებიც. მაგალითად:

„... მკლავს მკლავი შეჯიბრებია,
გულს კი სიმტკიცე აზის...“
(„საგაზაფხულო ლექსი“).
— პირზე სიტკბო და ღიმილი აზის...“
„ბეღელს ბარაქა საძღომად ყოფნის...“
(„შემოდგომის პეიზაჟები“).

კავკასიონის ქედზე ნათქვამია:

„რამდენი ხანი ეხეტებოდა
და დაათრევდა უმიზნოდ ტვირთებს (?)“

თანხმოვანთა შეჯგუფულობის გამო—ენის მოსატეხია:

„კავკასს, ქედმაღალს, ვინ შებედავდა,
ვინ შეადგამდა ფეხს მყინვარს ზვიადს“.
(„კავკასს — ქედმაღალს“).

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება: ბარელი ხალხი ხშირად აიგივეებს მთიელსა და მთიულს. ასევე მოსდის გ. კალანდაძესაც. ის ერთ-ერთ ლექსში სწერს:

„დგას ჩრდილოეთით... (იგულისხმება კავკასიონი)
მოწმე სისხლის და რბევა-თარეშის,
მოწმე მთიულის დუხჭირი ბედის...“

მეორე ადგილას ამავე ლექსში იმეორებს:

„მთები მღერიან საგანთიადოს:
„მთებზე ეკიდა მთიულის ბედი...“
(„თეთრი ხომალდი“).

სინამდვილეში, მთიულეთი, ისევე, როგორც ხევსურეთი, ფშავეთი, სვანეთი და სხვა, არის საქართველოს მთიანეთის ერთერთი ცალკე კუთხე და აქ მცხოვრებ ხალხს ეძახიან მთიულებს, ხოლო მთიელი, საერთო სახელია ყველა მთაში მცხოვრები ხალხისა.

გიორგი კალანდაძის ლექსებში, ისეთ კარგ და ახალ რითმებთან, როგორიცაა: ძეგლი — ეკლის, მძერწავი — ლერწამი, დანერგული — თერგული, იმედად — მღვიმეთა და სხვა, გვხვდება ასეთი გაცვეთილი და ცუდი რითმებიც: თვალი, — წყალი, ქალი — ქარი, ითბობს — მიხოს, უარმყოფელი — სოფელი, ქედი—ბედი, ზვიადს — ნიავს და სხვა. აქა-იქ არის განმეორებანი. მაგალითად:

„ბარად მზე ქარვის ფოთლებში გაშლის
ბუნებისა და ცხოვრების ეკრანს,
შემოფრინდება ვენახში შაშვი
და შავშავ მტევნებს დაუწყებს კენკვას...“
(„შემოდგომის პეიზაჟები“).

„განთიადისას მოლურჯო ეკრანს
შეეპარება ჩუმი შრიალი,
მარადისობის ნაპერწკლებს კენკვას
დაუწყებს სხივი ოქროსფრთიანი“.
(„ლხინი“).

ეს ნაკლულოვანებანი ჩემის აზრით, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს და დასძლიოს პოეტმა, — მის შემდგომ მუშაობაში.

ძირითადად მაინც გიორგი კალანდაძის ლექსების საერთო დამახასიათებელი თვისებაა საგნებისადმი პირდაპირი და ნათელი მიდგომა და, რაც მთავარია, მისი თემატიური აქტუალობა. პოეტის შემოქმედებაში სჭარბობს ზოგადი ამღერება, — აქედანაა ლექსების არასუჟეტურობა. გ. კალანდაძის პეიზაჟი თუმცა უშუალოდ დაკავშირებულია აღებულ მასალასთან, თემასთან, როგორც ამ უკანასკნელთა ორგანიული ატრიბუტი, მაგრამ ეს პეიზაჟი სტატიურია, არა დინამიური. ამ შეხედულების ნათელსაყოფად მე მოვიყვან ადგილებს ლექსებიდან „შემოდგომის პეიზაჟები“ და „თეთრი ხომალდი“:

„ღამით ცივა და ცა ცვარად გვაწვიმს,
დილით ცივ ცვარში გაიბან ხელებს,
შეშავებულა ღელ-ღელე ანწლი,
შეჰბუდებია ყარანა ღელეს,
შესწითლებია შაქარ-ვაშლს ღაწვი
და შეჰპარვია სიყვითლე ველებს...“
(„შემოდგომის პეიზაჟი“).

„დგას ჩრდილოეთით არა დარაჯად,
არამედ ნათელ დიდების კერად,
მოუსხამს თოვლის თეთრი ფარაჯა
და წინგაწოლილ ტრამალებს ზვერავს...
ცივ გადაქნილზე ღამენათევი
პლატინის თეთრი ბადრო ანთია,
მთებიდან თოვლის ათინათები
თასებს ესვრიან წითელ განთიადს...“
(„თეთრი ხომალდი“).

საერთოდ გიორგი კალანდაძე ნიჭიერი პოეტია. ის დაკვირვებით მუშაობს ლექსებზე და თვითკრიტიკულად ეკიდება საკუთარ შემოქმედებას. ეს არის ახალგაზრდა მწერლის კარგი თვისება.

2.

რევაზ მარგიანის წიგნი იხსნება ლექსით: „დილა“. ეს ლექსი გარდა იმისა, რომ დაწერილია პოეტური უშუალობით და შედის მარგიანის შემოქმედების აქტივში, კიდევ იმ მხარითაა საინტერესო, რომ ის გამოდგება ნიმუშად ბევრი ახალგაზრდა პოეტის მუშაობის დასახასიათებლად. მე მოვიყვან ამ ლექსს მთლიანად:

„ჰაბუკმა „ლილე“
უნდა უთხრას ჩეგემის დილას,
ან ვაუკაცური სიმღერები ნაირნაირი,
რომ დარჩეს ხალხში
ბალყარეთის ხოტბის შაირი,
ხელიდან ხელში
გადავიდეს ნაზად და ფრთხილად.
ჰაბუკმა „ლილე“
უნდა უთხრას ჩეგემის დილას,
დილას კი არა,
ერთი მზე გვყავს ყველა ხალხს მარტო,
ამ დილას ასე უფრო შვენის
ვუმღეროთ „ლილე“
ბედნიერ ხალხთა საყვარელ მნათობს“.

ხშირია ასეთი შემთხვევები: ახალგაზრდა პოეტები, სწერენ რა თანამედროვეობაზე, პირდაპირ არ უდგებიან საკითხს. ისინი ირჩევენ აღებული თემისადმი გარშემოვლას: ლაპარაკობენ სულ სხვა ამბებზე და ბოლოს, ერთიორი სიტყვით მოიხსენიებენ ნაწარმოების მთავარ მოტივს. ზემოთმოყვანილ ლექსში მარგიანს უნდა დასწეროს ამხანაგ სტალინზე, მაგრამ იმის მაგიერ, პირდაპირ მიუდგეს აღებულ თემას, ჯერ გველაპარაკება სულ სხვა ამბებზე და ბოლო სტროფში ვგებულობთ, რომ: „ლილე“ ჩეგემის დილას კი არ უნდა ვუთხრათ, არამედ: „ბედნიერ ხალხთა საყვარელ მნათობს“.

როგორც ზევითაც ავღნიშნეთ, ეს ლექსი დაწერილია რევაზ მარგიანისათვის ჩვეული უშუალობით, მაგრამ როგორც ნიმუში, ამ „შემოვლითი“ ხასიათის ნაწარმოებებისა, აუცილებლად საგულისხმოა. მე არა ვარ წინააღმდეგი ამ ხერხით წერისა. ბევრი ამნაირი ხასიათის ლექსი აღწევს თავის მიზანს (თუნდაც ზემოთდასახელებული მარგიანის ლექსი), მაგრამ ხშირად ეს „შემოვლითობა“ იმიტომ სჭირდება მწერალს, რომ ის პირდაპირი გზით ვერ სძლევს აღებულ თანამედროვე თემას, ვერ აღწევს სათანადო ემოციურობას, იძულებული ხდება უკან დაიხიოს, ნაკლები წინააღმდეგობის გზით წავიდეს და, სანამ საჭირო საგანთან მივიდოდეს,—გრძელი რეისი გააკეთოს მრავალგზის აღწერილ, ყოვლისშემძლე ბუნებაში თუ სხვაგან. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ახალგაზრდა პოეტები, იძლევიან არა უმიზნო, ჭარბად სენტიმენტალური განწყობილებების ლექსებს. ბოლო სტრიქონებში ცდილობენ ერთგვარად გაათანადროულონ ნაწარმოები. ეს გათანადროულება გამოდის მეტად უხერხული და სტოვებს ყალბ შთაბეჭდილებას. მარგიანს აქვს ერთი ლექსი „გზაში“, რომელიც მიმართულია ქალისადმი. პოეტი აქ გადმოგვცემს თავის სენტიმენტალურ განწყობილებებს და გვამცნობს, რომ:

„მე გზამ დამქანცა, გზა ამოდენა
სულ შენი ეშხით გამოვიარე, —
აქ, ამ ჭალებში საღამოვდება
და ჩემებურად კვლავ მივყიალებ...

... ვინმე პატარა და მკერდშეხრილი
შენი მოხარკე გავხდი ბოლომდის...

გზამ მომაგონა სიმღერა ნაზი,
ხმატკბილი იყო, მაგრამ გვიანი,
შევდეგ და ჩუმად ამ შარაგზაზე
გავშალე შენი „ეთერიანი“.

და მოვიგონე სიბრძნე ხალხური,
ვაჟა-ფშაველას რომ ერთხელ უთქვამს:
შენგნით მგლოვარემ და დათალხულმა
შევიგრძენ შენი ძვირფასი სუნთქვა...“

და ბოლოს ლექსს ასე ამთავრებს:

„მე გზაში შენზე ფიქრი მაწვალებს,
სხვაფრივ სიკეთე და სამოთხეა...“

ამ ბოლო სტრიქონს ლექსში კონტრასტი შეაქვს და სტოვებს განგებ მიკერებულის შთაბეჭდილებას, რადგან ასეთი დაბოლოვება, მთლიანად აღებული ლექსისთვის, ორგანიული არ არის. ახალგაზრდა პოეტებს ამგვარი დაბოლოვებანი ზოგჯერ იმისთვის სჭირდებათ, რომ ლექსს მიეცეს რაიმე დანიშნულება და ასეთი სტრიქონები ასრულებდნენ ერთგვარი ფარის მაგიერობას. პოეტი გრძნობს, რომ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მხატვრულ ლიტერატურას უდიდესი როლი აქვს დაკისრებული, როგორც უმნიშვნელოვანეს აღზრდით საშუალებას, უხერხულია ვიწრო, სენტიმენტალური განწყობილებების გამომზეურებით და ამ უადგილო სტრიქონებით ხარკი მოიხადოს თანამედროვეობის წინაშე. სინამდვილეში კი ორმხრივ ზიანდება ლექსი: ის არც „წმინდა“ ლირიკული გამოდის და არც ჯანსაღი საბჭოთა ლირიკისა სცხია რამე.

ახალგაზრდა პოეტებში მარგიანი, ალ. საჯაიასთან ერთად, აუცილებლად გამოირჩევა, როგორც მაღალი გრძნობისა და ამღერების პოეტი. რევაზ მარგიანი იმითაცაა საინტერესო, რომ მან პირველმა ქართულ პოეზიაში მოიტანა სვანეთის, საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის სურნელება და მკითხველს დაანახვა მისი (სვანეთის) აწმყო და შავბნელი წარსული. მე არაფერს ვიტყვი „მირანგულაზე“, რომელიც მკითხველისა და კრიტიკის მიერ შეფასებულია ერთერთ საუკეთესო ლექსად მარგიანის შემოქმედებაში. „მირანგულას“ ხმა თვით ავტორში ისეთი სიძლიერითაა გამჯდარი, რომ მის სხვა ლექსებშიაც უსათუოდ ისმის ამ ლექსის გამოძახილი:

„... სად ხარ, ნეტავ, მირანგულა?
დედა კვნესის ანათრთოლი,
მთებზე თოვლი გათანგულა,
დღეგანდელი დანათოვი...“

(„მირანგულა“).

„... ნეტავ სად ხარ, შერვაშიძევ,
დასეტყვილი მთები გიცქერს,
იქნებ გულში ბოღმა გიძევს
განწირული ძმების სისხლზე“.

(„ყასბულათ“).

„... შვილო ჩემო, იმერეთით
მოიტანდი პურს და მარილს“.
(„მირანგულა“).

„მეთაურო! მულახიდან
მოიტანდი ტყვია-წამალს...“
(„ყასბულათ“).

რევაზ მარგიანის წიგნში ლექსების დიდი ნაწილი სვანეთის ფონზე იშლება, ან ეხება სვანეთს. ამ ციკლიდან „მირანგულას“ შემდეგ დიდ ყურადღებას იქცევს „სვანური ნანა“, რომელიც მარგიანის ერთერთ საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს. შეხამებულ კოლორიტულობასთან ერთად ლექსი გამთბარია უღრმესი გრძნობით და სისათუთით:

დაიძინე ჭიანურის ხმებითა,
თორემ ხევი იქუშება ბნელითა,
ქარმა ბარად ნისლის ჯარი შეყარა,
უშბა ელავს მოკაშკაშე ხმლებითა.
ნანინა, ნანულო, ნანაილა!
ეს მიდამო გავსებული სკებითა,
და ფუტკრები დათაფლული ფრთებითა
ამ ღამეში ცაზე შემოფრენილან.
ნანინა, ნანულო, ნანაილა!

მნათობები თურმე კვლავ ჟინჟღილებენ,
ნაპერწკლებად შენთვის დაცვივდებიან,
პატარები, როგორც ჩოხის ღილები,
ნანინა, ნანულო, ნანაილა!

დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ მკითხველზე ლექსები „სვანები ძველ იმერეთში“ და „მეწყერი“. ამ ლექსებზე ზოგიერთები უსაყვედურებენ რევაზ მარგიანს, რომ მან დაიწყო ხალხში მოარული ამბების — ანეკდოტების გალექსვა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ხალხში გავრცელებული ორივე ამბავი მარგიანმა აიყვანა პოეტურ სიმაღლეზე, განაზოგადა...

ლექსში „სვანები ძველ იმერეთში“, გვხვდება ასეთი ადგილები:

„უცებ ვიღაცამ სვანებს ჰკადრა შეპატიჟება,
იმერულ რიდით, მოკრძალებით, ხელის ფათურით,
ჩუმად შეუძღვა, შეანელა ხმა ქუთათური
და სუფრის გაშლა მოისურვეს დუქნის ბიჭებმა“.

ამ რამდენიმე სტრიქონში მკითხველის წინაშე მთელი სისავსით და დამახასიათებელი თვისებებით დგება ძველი მედუქნე.

სვანებს სურთ ასიამოვნონ „გულუხვ მასპინძელს“!

„ყელიც მღეროდა: მო, სვირულით ჩამაგრილეო,
და ულვაშები წითელ ღვინით გაუფერულდა,
სვანებმა სცადეს: მოემართათ ხმა იმერულად,

კარგად შემთვრალი სვანები მადლობას ეუბნებიან „მასპინძელს“, მაგრამ მედუქნემ: „ყველაფერი ჩოთქში ჩარეკა“ და გაკვირვებულ „სვანებს დაადო შეუჩვევი გადასახადი“. მარგიანი ასე აღწერს გაოცებულ მთიელებს:

„დადგნენ და დიდხანს უცქეროდნენ მთვრალი თვალებით,
უკვირდათ: სუფრა გახდა უცხო და უფერული,
სვანს უსათუოდ მასპინძლობა სწამს იმერული,
არა ასეთი მასპინძლობა გადასარევი...“

ასევე მგრძნობიარედ არის დაწერილი მეორე ლექსი „მეწყერი“:

„მოდიან, მთელი სიმდიდრე და აელადიდება,
მარილით სავსე თითო გუდა, ზურგზედ ჰკიდიათ,
წვიმს და გუდაში სანუგეშო მარილი დნება,
და დამნაშავე, დამნაშავე კვლავ ამინდია.

მე უკვე ავღნიშნე, რომ ლექსში „ყასბულათ“ ისმის „მირანგულას“ ხმა. ორი ზემოთგანხილული ლექსიც, ამ ხმრივ, ახლო დგას ერთმანეთთან, თუმცა მკითხველს, შეიძლება ეს იმიტომაც ეჩვენებოდეს, რომ ორივე ლექსი თითქმის ერთნაირი ხასიათის მასალაზეა აშენებული და ერთნაირი მეტრით არის შესრულებული.

მთის თემაზე დაწერილი სხვა ლექსებიდან აღსანიშნავია კიდევ „ბალადა რუსთაველის სვანეთში მისვლისა“, „მარიხი“ და „დევეთგერის ნასახლარი“. პირველ ორ ლექსში გამოყენებულია სვანური სიმღერების ბოლოშეძახილები, რომლებიც ლექსებში აძლიერებენ რიტმიულობას და ტაქტს მატებენ მათ. ლექსში „ბალადა რუსთაველის სვანეთში მისვლისა“, ზემოთდასახელებული შეძახილი ჰქმნის ცხენის ფერხთა ხმაურის რიტმს:

„შაი ოდი შამორირა,
შემოაგდე არაბული
და ეუვნები აეღარუნე,
ცხენი ვერცხლით დახატული
კლდეზე შემოათქარუნე.
შაი ოდი შამორირა...“

რევაზ მარგიანი თავისი ლექსებისათვის ხშირად იყენებს ფოლკლორს, განსაკუთრებით სვანურს. ესეც აუცილებლად დადებითი მოვლენაა მის შემოქმედებაში; განსაკუთრებით იმიტომ, რომ პოეტი არასოდეს არ ვარდება ფოლკლორის ტყვეობაში, თავისებურად ამუშავებს მას და არ დადის გაუბრალოებამდე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა და ახლაც აქვს ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში. „მირანგულა“, „ბალადა რუსთაველის სვანეთში მისვლისა“, „მეწყერი“ და „სვანები ძველ იმერეთში“ იმის დადასტურებაა, რომ რევაზ მარგიანი ფრთხილად, კრიტიკულად და თავისებურად ამუშავებს ხალხურ მასალას თავის პოეზიაში.

საბჭოთა ხალხების სტალინურ მეგობრობას ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. რევაზ მარგიანის წიგნშიც არის ამ თემაზე დაწერილი რამდენიმე ლექსი. ეს ლექსები აუცილებლად შედიან პოეტის შემოქმედების აქტივში. „მარიხი“, „აზერბაიჯანელ მეგობრებს“, „ბარათაშვილის გახსენება“ და სხვა გადმოგვცემენ იმ გულწრფელი მეგობრობის გრძნობას, რომლითაც ჩვენი ქვეყნის მრავალერიანი ხალხები გამსჭვალული არიან ერთი-მეორისადმი. ეს სიყვარული, ეს ძმობა და მეგობრობა, მხოლოდამხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი, ის ჩვენს დროში გაიზარდა და მიაღწია უმაღლეს წერტილს.

რევაზ მარგიანი თავის ლექსში ასე მიმართავს აზერბაიჯანელ მეგობრებს:

„მე თქვენებური შაირები ვისმინე თქვენთან,
და უკეთესი რამე მეთქვა ვეღარ შევძელი,
მოდი და ქვეყნად ასე ტკბილად ვიმღეროთ ერთად
და მეგობრობაც გვქონდეს დღეგრძელი“.

ბალყარელი ხალხი და სვანები, ისევე, როგორც ქისტები და ხევსურეთი, ძველთაგანვე მტრობდნენ ერთმანეთს. რევოლუციის შემდეგ ეს მტრობა პირიქით შეიცვალა:

„არასოდეს არ დავტოვებ ჩეგიამს,
ძველი მტრობა გულში არ ჩამრჩენია...
თვალებიდან ნაპერწკლები დაცვივდნენ,
ციცნათელებს ჰგვანან სასიხარულოს,
ნუთუ გვქონდა სიყვარული მალული
გამარჯვებულ ქვეყნის სტუმარ-მასპინძელს?
შაი, შაი, შამორირა, შაირა!

რა ღამეა, მთვარემ დაიგვიანა,
ცამ კრიალა ვარსკვლავები მოისხა,
რა ვუმღეროთ განახლებულ ბალყარეთს?
წამოიწყე, თავი რატომ დახარე?
ნუ თუ კიდევ ეკრძალები გიაურს,
მეგობრობა იქნებ ღირდეს შაირად,
წამოიწყე ჩვენებური „ოისა“,
შაი, შაი, შამორირა, შაირა!“

(„მარიხი“).

ასეთივე დიდის გრძნობით გამთბარია ლექსი „ბარათაშვილის გახსენება“. პოეტს აზერბაიჯანში ყოფნის დროს აგონდება ბარათაშვილი, რომელიც ერთ დროს, აგრეთვე ამ მხარეში იყო, და ეუბნება მას:

„ამ ქვეყანაში ძმურად მახარეს,
თვითონ კასპიის ზღვების კარამდის,
რომ სამშობლოა ჩემთვის სხვა მხარეც
და მეგობრობა სუფევს მარადი“.

ლექსების კრებულში მოთავსებულია რამდენიმე ლექსი სიყვარულზე. ეს უძველესი და მარად ახალი თემა მარგიანის შემოქმედებაში მოცემულია, შედარებით, ჯანსაღად და არ დადის ვიწრო სენტიმენტალობამდე.

ახალგაზრდა მწერალს, რომელიც ახლახან მოვიდა მწერლობაში და ჯერ მკითხველის თვალში სათანადო რეპუტაცია არ აქვს დამსახურებული, ეშინია არ დააფრთხოს მკითხველი ზოგიერთ უნიჭო მჯღაბნელივით. მას (ახალგაზრდა მწერალს) ხშირად არც ძალა შესწევს მხატვრულ სიმაღლეზე აიყვანოს ახალი მასალა და ძველს, გაცვეთილ ამბებს უბრუნდება.

თანამედროვეობაზე კარგად წერა არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ის უნდა იყოს სანიაზო და ძალისგამოსაცდელი მისწრაფება ახალგაზრდებისათვის. მათ არ უნდა დაიშურონ ენერგია, რათა ეს სიძნელე მალე და სასახელოდ დასძლიონ. რუსულს საბჭოთა პოეზიაში ჩვენ გვაქვს ამ სიძნელის დაძლევის ბრწყინვალე ნიმუშები ახალგაზრდების შემოქმედებაში (ტვარდოვსკი, დოლმატოვსკი, ინგე, სიმონოვი, მიხალკოვი და სხვ.). ქართულმა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ აგრეთვე უნდა შესძლოს ეს ამბავი. ამისათვის საჭიროა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, მუშაობა **და** კიდევ **მუშაობა.**

ყოველივე ზემოთქმულიდან, რასაკვირველია, ის არ გამომდინარეობს, თითქოს ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში თანამედროვეობა არ იყოს ძირითადი თემა. ამის გარეშე წარმოუდგენელიც იქნებოდა მათი მუშაობის განხილვა. მე ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს ის უკანდახევები, რომელთაც ადგილი აქვს უმრავლესი მათგანის შემოქმედებაში. აგრეთვე მე ვე-

ხები ხარისხს იმ მხატვრული პროდუქციისას, რომელსაც ახალგაზრდა პოეტები იძლევიან. აქ კი ბევრი რამ არის ყურადღება მისაქცევი და დასაძლევი.

რევაზ მარგიანს აქვს ორი ლექსი. მათ შორის ერთი მიძღვნილია ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი, ხოლო მეორე—პარტიის ყრილობის დელეგატებისადმი. ორივე ლექსი უდაოდ სუსტია. აქ განმეორებულია, თუმცა შედარებით მოხდენილად, ყოველივე ის, რაც ათასგზის გაგვიგონია და ათასგზის უთქვამთ და დაუწერიათ ჩვენს მწერლებს.

მარგიანი მიმართავს ამხანაგ ლ. ბერიას:

„შენ აგვიყვავე დრო სიჩაუქის,
შენ განაახლე ხმა ჩვენებური,
იმ ხმით ვიმღერით ქვეყნად ჯაბუკნი
შენი მარჯვენით დამშვენებულნი“.

როგორც ვხედავთ აქ ახალი არაფერია, გარდა იმისა, რომ ერთ ტაეპში სამჯერაა ნახმარი სიტყვა „შენ“.

ამის შემდეგ პოეტი ამავე ლექსში ნატრობს:

„ნეტავი ჩემი სიმღერა თქმული
დიად სამშობლოს შენზე ემღეროს,
რომ კოლმეურნეს ეთქვას სუფრულით
ჩემი შაირი შენ სადღეგრძელოდ.
გვეთქვას ისეთი კარგი შაირი,
შაირი ხალხის ჰანგად გამზდარი,
ძმობის სიმღერა ნაირნაირი
ქართველი ხალხის ბაირაღტარის.
მეთქვას სიმღერა როგორ შეგშვენის
განახლებული ქვეყნის შევარდენს...“

ჩვენი მწერლობის ამოცანა სწორედ იმაშია, რომ თქვას ისეთი შაირი, როგორიც შეშვენის განახლებული ქვეყნის შევარდნებს; მაგრამ აქ საქმეს ნატვრა ვერ უშველის და საჭიროა კონკრეტულად ის კარგი ნიმუშები პოეზიისა თუ სხვა ჟანრებიდან, რომელთაც მკითხველი აღტაცებით მიიღებს. მარგიანის ლექსში კი ყოველი სიტყვის შემდეგ მეორდება შაირი და ისევ შაირი.

მეორე ლექსში „თქვენ სამუდამოდ სიმართლესთან დაგვაძმობილეთ“, გარდა იმისა, რომ შიგ ახალი არაფერია თქმული, გვხვდება, აგრეთვე, უხერხული ადგილები, ბუნდოვანი თქმები, განმეორებანი და სუსტი რითმები.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველივე უხერხულობანი ნაწარმოებში, საჭიროა მეტი დაკვირვებით მუშაობა ლექსზე, მეტი პასუხისმგებლობა და თვითკრიტიკულად მიდგომა საკუთარი თავისადმი, რათა მკითხველს არ მივაწოდოთ მოუმწიფებელი და დაუმუშავებელი ნაწარმოები. ეს ეხება არა მარტო რევაზ მარგიანს, არამედ ეს გვეხება ყველა ახალგაზრდა მწერალს.

ზევით, როცა გიორგი კალანდაძის შესახებ ვლაპარაკობდი, მე ავღნიშნე, რომ მისი ლექსების უმრავლესობა უსუჟეტოა—სჭარბობს ზოგადი ამღერება. რევაზ მარგიანსაც საკმაო რაოდენობით მოეპოვება ამნაირი ხასიათის ლექსები, მაგრამ უკანასკნელს თხრობაც ეხერხება. ამის დამადასტურებელია მისი ლექსები „სვანები ძველ იმერეთში“, „მეწყერი“, „მირანგულა“ და სხვა. გარდა ამისა, რევაზ მარგიანს არა აქვს გ. კალანდაძესავით ნახტომები, თვით მოკლემეტრიან ლექსებშიაც კი, სადაც აზრის თანმიმდევრობის დაცვა, შედარებით ძნელია, რევაზ მარგიანის პეიზაჟი, გ. კალანდაძის პეიზაჟისაგან გან-

სხვავებით, დინამიურია, მაგრამ ხშირად ამ პეიზაჟს ორგანიული კავშირი არა აქვს ლექსის განვითარებასთან და ასრულებს ერთგვარ ფონის დანიშნულებას. ამ მხრივაც ს. მარგიანი დიდად განსხვავდება კალანდაძისაგან.

დასასრულს მე მინდა კიდევ რამდენიმე სიტყვით შევჩერდე რევაზ მარგიანის წიგნის ზოგიერთ მხატვრულ ნაკლულოვანებებზე.

ბევრი ჩვენი ახალგაზრდა პოეტი, გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ ლექსში მთავარია მისი აზრობრივი მხარე, ხშირად მეორეხარისხოვან ყურადღებას აქცევს რითმებს. ბოლოსდაბოლოს პოეტური ნაწარმოების ერთერთი განმასხვავებელი ნიშანი პროზისაგან არის პირველის კეთილხმოვანება; აქ კი რითმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, გაცვეთილი და უხეირო რითმები დიდად ამცირებს ლექსის ემოციურ ძალას. რევაზ მარგიანს ისეთი კარგი რითმების გვერდით, როგორიცაა: განჯური—დატანჯული, ნახული—ყარაბახული, ჟინჟღილებენ—ღილები, ჩაგთვლემს—ქართველს, სტუმარი—სასთუმალი და სხვა, აქვს ასეთი გაცვეთილი და ცუდი რითმებიც: დაგელევად—ბედნიერება, ვაჟებს—თვალებს, მხარე—შეაჟრიალებს, პირველი—საკვირველი, გაწარებით—თვალები, ტკბილად—სძინავს, გამოვიარე—შივყიალებ, გელის—შენი და სხვა.

ყოველივე ამ ნაკლთა მიუხედავად, რევაზ მარგიანის წიგნი აუცილებლად საინტერესოა და იძლევა დიდ იმედებს, რომ მისი ავტორი მნიშვნელოვანი პოეტი დადგება, მხოლოდ მარგიანმა უნდა გააძლიეროს მუშაობა თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე, გააფართოოს თავისი შემოქმედების არე და გვიჩვენოს მისი მხატვრული შესაძლებლობათა ახალი პერსპექტივები.

ნიკო გვარაძე

რესპ. დამს. არტისტი

ვასო აბაშიძე

ვასო აბაშიძე!.. აი სახელი, რომელიც ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს ქართული თეატრის ისტორიაში!.. რა დიდებით და შარავანდედით იყო მოსილი ნახევარ საუკუნის მანძილზე საქართველოში ვასო აბაშიძის სახელი!..

ვასო აბაშიძე ნახევარი საუკუნის განმავლობაში დარაჯად ედგა ქართულ თეატრს და სულ იმას ფიქრობდა, რომ ქართულ თეატრში უღირსი არავინ შეეშვა და ღირსეული კი იქიდან არ გამოეშვა. დღიდან მუდმივი დასის დაარსებისა, რომ იტყვიან, ერთი დღე არ მოშორებია ქართულ თეატრს. რა გაჭირვება, რა ვაი-ვაგლახი არ გამოუვლია ვასოს ქართულ თეატრში, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრნია ქართული თეატრისათვის თავის დანებება.

ყოფილა შემთხვევა, რომ დრამატიულ საზოგადოებას უსახსრობის გამო ვერ უკისრნია სეზონის წარმოება, მაგრამ ვასო აბაშიძეს მოუკიდია ხელი და მთელი სეზონი, როგორც მეთაურს და ხელმძღვანელს ქართული თეატრის საქმე უწარმოებია... და მერე როგორ დროს და რა პირობებში. მაშინ, როდესაც ქართულ თეატრში შემოსავლის მხრივ არავითარი იმედი არ იყო! და ასეთ რისკს ეწეოდა ვასო აბაშიძე.

ერთ-ერთ სეზონში, როცა გამგეობამ უარი სთქვა სეზონის წარმოებაზე, ვასომ მოიწვია ქართველი მსახიობები და გამოუცხადა: სეზონს მე ვაწარმოებ და თქვენ ყველას ჯამაგირები გექნებათო. გამგეობისაგან პატარა თანხა მიიღო სუბსიდიის სახით. ეს თანხა ვასომ ავანსებად დაურიგა მსახიობებს... დაიწყო სეზონი, იმუშავა დასმა ორი თვე რის ვაი-ვაგლახით; აბა, იმ დროინდელი შემოსავალი რა უნდა ყოფილიყო, რომ თეატრის ხარჯები დაეფარა. დაედო ვასოს მსახიობების ვალი. ჯამაგირებს ვერ აძლევდა. ავანსის სახით. ზოგიერთებს ხან მანეთს, ხან ორ მანეთს აძლევდა. მობეზრდათ მსახიობებს ასე მშიერ-მწყურვალი მუშაობა. ერთ დღეს გადასწყვიტეს, რომ აღარ იმუშავებდნენ, უკეთუ ვასო ჯამაგირებს არ დაურიგებდა. ერთ-ერთ რეპეტიციაზე უნდოდათ, ვასოსთვის ეს გადაწყვეტილება ეცნობებინათ. შეიკრიბნენ და ვასოს უცდიან. ვასო იგვიანებს! დასი ღელავს და თან ეინტერესებათ თუ როგორ იმოქმედებს ვასოზე ასეთი განცხადება. ვასომ თურმე დასის განზრახვა წინათვე შეიტყო. შემოვიდა თუ არა სცენაზე, მაშინვე გამოუცხადა დასს: ბატონებო, დღეიდან მე თქვენი ანტრეპრენიორი აღარა ვარ და თქვენ ყველანი თავისუფლები ხართო. რაღა თქმა უნდა, რომ ვასოს ანტრეპრენიორობას ასეთი ბედი უნდა სწვევოდა. ვასოს შეეძლო რეჟისორი ყოფილიყო, მსახიობად ემუშავნა, პიესები ეთარგმნა და საზოგადოებიდან პატარა ფულადი დახმარებაც მიეღო, როგორც სახელოვან არტისტს, თორემ ისე, როგორ შეეძლო სეზონის წარმოება, რა თანხით?!

ვასომ განა არ იცოდა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მსახიობებს ჯამაგირებს ვერ მისცემდა?! მაგრამ, ვასო ქართული თეატრის არსებობისათვის ხშირად სტყუოდა. ტყუილი რომ არ ეთქვა, ისე დასს ვერ შეადგენდა, რადგან ამხანაგურ პირობებზე უმეტესობა მსახიობებისა არ წამოჰყვებოდა. იყვნენ ისეთი მსახიობები ქართულ თეატრში, რომელთაც მამული და სახლ-კარი ჰქონდათ სოფლად და ისინი მთელი ზამთრის განმავლობაში, ამხანაგურის პირობებით ტფილისში არ წამოვიდოდნენ. მაგალითად, კოტე ყიფიანი, რომელსაც ქვიშხეთში მშვენიერი სახლი და მამული ჰქონდა, ვიქტორ გამყრელიძე და მისი ძმა დათიკო აწყურელი, რომელთაც კახეთში მამული და სახლ-კარი ჰქონდათ. ვასოს

ამათთვის გადაწყვეტილი ჯამაგირი რომ არ დაენიშნა, ისე სოფლიდან არ დაიძვრებოდნენ. როცა ჩამოვიდოდნენ და ტფილისში დაბინავდებოდნენ, მერე რაც უნდა ცუდათ წასულიყო დასის საქმე, ქართული თეატრის სიყვარულის გამო, სეზონს თავს ველარ ანებებდნენ და ბოლომდის რჩებოდნენ. და ასე ვაი ვაგლახით, ვასო მაინც თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა.

დიდებული და ხალასი ნიჭის პატრონი იყო ვასო აბაშიძე. შესანიშნავი მიმიკა ჰქონდა, საუცხოო ტემპერამენტი და დიქცია. მე მახსოვს ჯერ კიდევ ბავშვობისას, „გალიორკაზე" ვისხედით ხოლმე მოწაფეები და იქაც კი ყოველი სიტყვა, ყოველი ასო გარკვევით გვესმოდა და არ იკარგებოდა. ან რა ხალისიანი ხმა ჰქონდა . როდესაც სცენაზე ჩუმად იყო და პარტნიორს უსმენდა, თქვენთვის საჭირო არ იყო, რომ ამ პარტნიორის სიტყვები გაგგეგოთ, ვასოს სახეზე ნათლად ამოიკითხავდით იმას, რასაც მისი პარტნიორი ლაპარაკობდა. ან ფრაზას როგორ იტყოდა!.. სცენაზე რომ შემოვიდოდა, სიცოცხლეს შემოიტანდა ხოლმე და, დარბაზში ხომ ერთი სიცილი და ხმაურობა ატყდებოდა!.. რომელი მაყურებელიც ვერ იცნობდა ვასოს, როგორც არტისტს, მაშინვე მიხვდებოდა ხოლმე, ეს არტისტი უსათუოდ ვასო აბაშიძეაო!.. რამდენი სიამოვნება და აღტაცება მიგრძვნია მისგან, როგორც არტისტისაგან, ჯერ ბავშვობისას, როგორც მაყურებელს და მერე სცენაზე მოღვაწეობის დროს, როგორც მასთან მომუშავეს. ჩვენში გავრცელებულია ისეთი აზრი, თითქოს ვასო აბაშიძე განსაკუთრებით ტფილისის მოქალაქეებს—სომხის ვაჭრებს თამაშობდა საუკეთესოდაო. მე რომ მკითხოთ, ვასო ევროპულ პიესებშიც მშვენივრად და დიდის ხელოვნებით თამაშობდა...

მართალია, ის მშვენივრად თამაშობდა აკოფას (ხანუმაში), ისაიას (ხათაბალაში), კარაპეტას (ძუნწში), მაზუთიანს (ციმბირელში), ზიმზიმოვს (პეპოში), მაგრამ არა ნაკლები ხელოვნებით თამაშობდა ორგონს (ტარტიუფში), გასტონს (პარიზის ღარიბ-ღატაკში), ლიმასს (ორ ჯიბგირში), ივლიანე ჭარხალაძეს (აღლუმში), შმაგას (უდანაშაულოდ დამნაშავენი). ავიღოთ მაგალითისათვის შმაგა. რამდენი რუსი არტისტი მინახავს შმაგას როლში, მაგრამ ვასო ყველასა სჯობდა. ეს ნამდვილი შმაგა იყო, როგორიც შეუძლიან წარმოიდგინოს ნამდვილმა თეატრალმა. ან და რა დიდის ხელოვნებით ასრულებდა მოლიერის ტიპებს, რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა და ხშირად ბენეფისებშიც დგამდა.

ბევრი უკვდავი სახეები შეჰქმნა ვასომ ქართულ სცენაზე. ვასოს ჩვეულებად ჰქონდა; რაც უნდა პატარა როლი ჰქონოდა, უსათუოდ გადაიწერდა. იმ დროს ახალ პიესას ოთხ რეპეტიციაზე მეტი არა ჰქონდა... და აი, როდესაც ვასო, ახალ როლს ამზადებდა, რეპეტიციაზედაც ისე თამაშობდა, როგორც წარმოდგენაზე, ყოველთვის ნახევარი ტონით გადიოდა რეპეტიციას. როგორც კი ითამაშებდა როლს, მერე მორჩა, რამდენი ხანიც უნდა გასულიყო, ის მთელი ტონით რეპეტიციას არ გაივლიდა, და ვერც ვერავინ გაუბედავდა, ეთქვა: სრულის ტონით გაიარეთ რეპეტიციაო. ამ შემთხვევაში უცნაური არტისტი იყო. მე მგონია ვასო უფრო სახლში მუშაობდა როლზე, ვიდრე რეპეტიციაზე. მოვიდოდა საღამოს წარმოდგენაზე მოკრუნჩხული და ვაი-ვაის იძახდა. ხშირად სტკიოდა ძვლები რევმატიზმებისაგან. ყველანი შევწუხდებოდით და ვფიქრობდით, ამ ავადმყოფმა ადამიანმა როლი როგორ უნდა ითამაშოსო. გაიკეთებდა გრიმს და კუთხეში სკამზე ჩამოჯდებოდა. არავის ხმას არ გასცემდა, დიდი მორიდებით მივიდოდა სცენარიუსი და მოახსენებდა: ვასილი ალექსეევიჩ, თქვენი გასვლის დრო მოახლოვდაო.

— ვიცი ქაჯან, ვიცი!.. შენ პირველი სიტყვა მითხარი!..

სცენარიუსი პირველ ფრაზას წაუკითხავდა... ვასო გავიდოდა სცენაზე. და ეს კაცი, რომელიც კულისებში ძლივს დაბობღავდა, რა სასწაულს ახდენდა და როგორის ელვის სისწრაფით გამოიცვლებოდა. ვინმე გარეშეს, რომელიც სცენაზე მის თამაშს უყურებდა, ანტრაქტის დროს კულისებში რომ შემოსულიყო და ვასო ენახა, არაფრით არ დაიჯერებდა, რომ ეს კაცი იგივეა, რომელსაც ახლა სცენაზე ვუყურებდიო.

ვასოს, როგორც მსახიობს, განსაკუთრებული ტონი, განსაკუთრებული სიარული და მიხვრა-მოხვრა ჰქონდა ყოველ როლისათვის. როდესაც ვასო „აღლუმში" აფთიაქარ ჭარხალაძეს თამაშობდა და მეორე დღეს „პეპოში" ზიმზიმოვს, ვერაფრით ვერ იფიქრებდით, ერთიდაიგივე მსახიობი თამაშობსო.

თუ როგორ დეტალებზე აგებდა ხშირად ვასო თავის როლებს, მოვიყვან ერთ მაგალითს: ერთ-ერთ სეზონში მიდიოდა ვ. გუნიას ძველი ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება", რომელშიც მთავარ როლს თამაშობდა ვასოს შვილი ტასო აბაშიძე. ვალ. შალიკაშვილმა (რეჟისორმა) ვასოს მისცა მოხუცი პრაპორჩიკის როლი. სულ ორი რეპეტიცია უნდა გაგვევლო. პირველ რეპეტიციაზე არ მოვიდა, მეორეზე როგორც იყო მოვიდა. დავიწყეთ რეპეტიცია, ვასო ცუდ გუნებაზე იყო. ჩვენ ყველანი მთლიანი ტონით გავდივართ რე-

პეტიციას. ის რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის, ბოლოს ელისაბედ ჩერქეზიშვილმა ველარ მოითმინა და მიაძახა: რას ბურტყუნებ, ხმა ამოიღე რაღა, შე სახელგასაწყვეტოვო. მაგრამ ვასომ არც კი შეხედა. მოვიდა წარმოდგენაზე, დავიწყეთ პიესა, გამოვიდა სცენაზე ვასო და დაიწყო როლი. პიესაში სიტყვა „ჯან“ არ არის, ვასომ სწორედ მთელი როლი ამ „ჯანზე“ ააგო. უნდა გენახათ, რა დიდებული სახე შეჰქმნა ვასომ მოხუც არშიყ პრაპორჩიკისა: მთელი საზოგადოება ხარხარებდა, და არამც თუ საზოგადოება, — ჩვენ მსახიობებს ისეთი დღე დაგვადგა, რომ კულისებში სიცილით ვიხოცებოდით.

ვასომ ხშირად როლი არ იცოდა, განსაკუთრებით ახალ პიესებში. მაგრამ, რომ ვსთქვათ, ვასო როლებს არ ამზადებდაო, არ იქნება მართალი. ვასომ ყოველთვის კარგად იცოდა პიესა, რომელშიც თამაშობდა, იცნობდა იმ ტიპს, რომელსაც სცენაზე ანსახიერებდა და ამასთანავე როლი ყოველთვის თავისი ხელით ჰქონდა გადაწერილი. ამასთანავე ვასოს კარგი თვისება ჰქონდა: თავის დღეში ავტორის ტექსტს არ დაამახინჯებდა. მოკარნახეს მისდევდა შესანიშნავად. ამიტომაც იყო, რომ წარმოდგენაზე მივიდოდა თუ არა, მაშინვე მოკარნახე ბეგლარას (ახოსპირელს) იკითხავდა, აქ არის თუ არაო. ჯერ პირველად კოლია გალუსტოვი ჰყავდა, მერე ბეგლარ ბეგლარიძე. უიმათოთ ძალიან უჭირდა სცენაზე თამაში. ამათ იცოდნენ ვასოს ჩვეულება და აკი ვასოსაც ისე თავისუფლად ეჭირა თავი სცენაზე, როგორც თავის საკუთარ ოთახში. ვასო რომ ერთხელ როლს ითამაშებდა, იგივე როლი რამდენიმე წლის შემდეგ რომ ეთამაშნა, ვასოს ჰქონდა იგივე ტონი, მიხვრა-მოხვრა, მიზანსცენები, იგივე გრიმი, იგივე ტანსაცმელი ეცვა — თავის დღეში არ შესცვლიდა. უწინ პიესას სეზონში ერთხელ ან ორჯერ ვითამაშებდით. გავიდოდა რამდენიმე წელი, მერე შეიძლება კიდევ აღგვედგინა იგივე პიესა. და ვასო მაინც ისევე თამაშობდა, როგორც პირველად. უწინ იყო ასეთი შეხედულება, რომ თუ მსახიობი გუნებაზე არ არის, ვერ ითამაშებსო. ვასომ „გუნება“ არ იცოდა. მოდუნებული და უგუნებოდ სცენაზე გამოსვლა არ უყვარდა. ის იტყოდა, დღეს ვთამაშობო და მორჩა. ვასო ყოველთვის სცენაზე ხალისიანი და ტემპერამენტით აღსავსე იყო.

მაგრამ თუ ვინმე თეატრში აწყენინებდა ან და დაჩაგვრას მოუნდომებდა, ხმას არ ამოიღებდა. რეპეტიციის შემდეგ წავიდოდა, მაგრად გადაჰკრავდა და წარმოდგენაზე შთვრალი მოვიდოდა. და მაშინ ვაი იმისი ბრალი, ვისი ჯავრიცა სჭრიდა. უცბად სკანდალს აუტეხავდა და ერთ დავი-დარაბას დააყრიდა კულისებში. მახსოვს ასეთი შემთხვევა; მაშინ ჯერ სცენაზე არ ვმუშაობდი, მაგრამ კულისების ხშირი სტუმარი ვიყავი. მიდიოდა პიესა „ფული და ხარისხი“ ნატალია აზიანისა, რომელშიც მთავარი ქალის როლს ტასო აბაშიძე თამაშობდა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა მსახიობი. თვითონ ვასო თამაშობდა მამას, არტემ შარბათოვის როლს.

დილით ვასოსთვის რაღაც ეწყენინებინათ. ვასო წარმოდგენაზე იგვიანებს. დასი ღელავს, შემცვლელი არავინ არის. როგორც იყო მოვიდა, მოვიდა მაგრამ ისეთია, რომ ფეხზე ძლივსღა სდგას. შემოვიდა თუ არა კულისებში, დაიყვირა, დღეს არა ვთამაშობო!..

დაუწყეს ამხანაგებმა ხვეწნა, მაგრამ ვასო უარზეა. ამოვიდნენ კულისებში გამგეობის წევრები და როგორც იყო დაითანხმეს. დაიწყო წარმოდგენა, როლი კარგად მიჰყავს. მიიყვანა ბოლომდის და ბოლოს როლით საანგარიშო ჩოთქზე ანგარიშობს, დაიწყო ანგარიში, ზედ საანგარიშო ჩოთქზევე დადო თავი და დაეძინა. ამით თავდება მეორე მოქმედება და ფარდაც ჩამოუშვეს. წაიძინა რამდენიმე წუთი და მაშინვე გამოეღვიძა, დაიბარა საპირფარეშოში სცენარიუსი და გამოუცხადა: წარმოდგენა არ შესწყვიტო და როლი მე უნდა დავამთავროვო!.. ამხანაგებს და გამგეობას არ უნდათ, რომ ვასო სცენაზე გავიდეს, მაგრამ ან პიესა როგორ დაამთავრონ და ან კიდევ ვასოს როგორ უთხრან, წარმოდგენა გადავდოთო?

ჩვენს წარმოდგენებს, ყოველთვის გამოუკლებლივ ესწრებოდა ნიკო გოცირიძე. იმ დროს რა როლსაც ჩვენს თეატრში ვასო ითამაშებდა, იმავე როლს ავჭალის აუდიტორიაში სცენისმოყვარეებთან უსათუოდ ნიკო თამაშობდა. გამგეობამ იცოდა, რომ შარბათოვის როლი ნიკო გოცირიძეს ჰქონდა ნათამაშევი. ამოიყვანეს სცენაზე ნიკო გოცირიძე და სთხოვეს, როლი გაეგრძელებინა. ნიკო უარზე იყო, ვაი თუ ვასოს ეწყინოსო. შემდეგ დათანხმდა ერთის პირობით: ვასო საპირფარეშოდან არ გამოეშვათ. როგორც კი ვასოს კულისებში დავინახავ, იცოდეთ სცენიდან პირდაპირ პარტერში გადავხტებიო. გამგეობის თავმჯდომარემ ნიკო ქართველიშვილმა დაამშვიდა ნიკო გოცირიძე და უთხრა: შენ ოღონდ ამ გაჭირვებიდან გვიხსენი და მაგისი ნუ გეშინიანო... მართლაც ქართველიშვილმა მონახა ვასოს დასამშვიდებელი წამალი. გაგზავნა კაცი თეატრის ბუფეტში, მოატანინა ღვინო და სანოვაგე, შევიდა ვასოსთან საპირფარეშოში, დაკეტა კარები, მიუჯდა ვასოს გვერდით და

უთხრა: ვასილ ალექსეევიჩ, სანამ მესამე მოქმედებას დაიწყებდეთ, თქვენთან მინდა ღვინო დავლიოთ. პიესა ისე დაამთავრეს, რომ ვასოს არაფერი გაუგია.

თუ რა განძი იყო ვასო აბაშიძე ქართული თეატრისათვის და რა ამაგი მიუძღვის მას ქართული თეატრის წინაშე, მოვიყვან თვით მისი ამხანაგების აზრს, ვისთანაც ვასო აბაშიძემ გაატარა თავისი სასცენო მოღვაწეობის საუკეთესო წლები. ესენი არიან: ვალერიან გუნია და ავქსენტი ცაგარელი.

ვალ. გუნია სწერდა:

„ჩვენ სამუდამო სცენას, პირველი ფარდის ახდიდანვე, გამოუჩნდნენ ნიჭიერი აქტიორები, მათ შორის, ჩვენის აზრით, ყოველის მხრით, ნიჭით თუ ხელოვნებით, შრომით თუ მეცადინეობით, სცენის სიყვარულით თუ საქმით პირველი ადგილი ეჭირა და დღესაც სამართლიანად უჭირავს ვასილ აბაშიძეს. ვასო აბაშიძე, როგორც აქტიორი, სწორედ ბურჯია ჩვენი სცენისა, ნიჭიერი არტისტი, ბუნებით კომიკი, აბაშიძე თითქოს განგებას სცენისათვის გაუჩენია. სახის გამომეტყველება, ხმა, მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკის კილო, თავის დაჭერა და თვით აბაშიძის გარეგნობა, მას სრულს უფლებას აძლევენ კომიკური როლების წარმოსადგენად; აბაშიძის კომიზმი მეტად ცხოველი და ბუნებრივია. ბუნებითი ნიჭისთანავე აბაშიძეს აქვს ნიჭი, ხელშემწყობი პირობები, რომლის წყალობით პატივცემული არტისტი ყოველთვის იმ ჯეროვანი ზომიერებით თამაშობს, რომელსაც ჰქვიან ხელოვნური თამაშობა და რომლისაგანაც მაყურებელი ყოველთვის კმაყოფილი რჩება ხოლმე. აბაშიძის შექმნილი ტიპები, მეტად დიდი და ვრცელია. ისე ვერავინ გამოხატავს ჩვენს სცენაზე, როგორც აბაშიძე ცრუს, ყბედს, უზნეოს, სულელს, ძუნწს, ვაჭრებს, ჩინოვნიკებს და სხვა მრავალ კომედიის და ვოდევილების გმირებს. აბაშიძეს ყოველთვის დიდის ხელოვნებით უთამაშნია მაღალ და ზნეობრივ კომედიებში და გადაჭარბებულ ფარსებშიაც და ყველგან და ყოველთვის მის თამაშობაში ბუნებრივი სიმართლე და სიმხიარულე, აზრიანი სიცილი და მწუხარება მოსჩანდა ხოლმე. რამდენჯერ გვინახავს და ჩვენს თავზედაც გამოგვიცდია, რომ რომელიმე მოთამაშის უდროვო დროს და უალაგო ალაგას, მეტისმეტად აწეულის ან დაწეულის ხმის წყალობით, მთელ სცენას სიცოცხლე წართმეული ჰქონდა, დანარჩენი აქტიორებიც ისე უგემურად თამაშობდნენ, რომ ხალხს ძილს მოგვრიდნენ. მაგრამ საკმარისი იყო აბაშიძის ფეხისშემოდგმა სცენაზე და ყველაფერი იცვლებოდა, სიმხიარულეს და სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა.

ვასო აბაშიძემ შეჰქმნა, განახორციელა მრავალი უკვდავი ტიპი. როდესაც კაცი თეატრში ნახავს აბაშიძისაგან წარმოდგენილ ტიპებს და შემდეგ ქუჩაში გავა, ჰგონია, მხოლოდ ახლა ამეხილა თვალებიო, რამდენს არუთინებს ნახავს „სსუდნი კასებში“ და მაღაზიებში, რამდენს ისაიებს და აკოფებს ნახავს ქუჩაში და ქარვასლაში!.. აბაშიძისაგან წარმოდგენილს ტიპს იმ სინამდვილემდის მიუღწევია, რომ წარმოდგენის შემდეგ ხალხი თეატრის კარებში გაჩერებულა, აბაშიძე დავიწყებია და უცდის, რომ იმ წყეულ არუთინა ზიმზიმოვს სცემონ. რამდენჯერ ვასო აბაშიძე ამხანაგებს თეატრის სხვა კარებიდან გაუპარებიათ, როდესაც დაუნახავთ აღელვებული ხალხი შეკრებილი და აბაშიძისაგან წარმოდგენილი საძაგელი ტიპის საცემრად. „პეპოს“ წარმოდგენის დროს, თითონ ჩემთვის დაუყვირია ხალხს: „შე დალოცვილო, რალას შეჰყურებ, ერთი ცხვირ-პირი ჩაამტვრიე მაგ წყეულ არუთინასაო! მეტი სინამდვილე შეუძლებელია“.

ვასო აბაშიძე თუ საზოგადოებისათვის საყვარელი იყო, როგორც ნიჭიერი არტისტი, არა ნაკლებ საყვარელი და პატივსაცემი იყო, როგორც ადამიანი და ამხანაგი, თავის კოლეგებისათვის. აქტიორთა წრეში ტყუილად კი არ არის ისეთი აზრი გავრცელებული, რომ რამდენადაც აქტიორი ნიჭიერია, იმდენად ნაკლებად არის სცენიური ინტრიგებით და ამხანაგებისადმი შურით გამსჭვალული. ვასო აბაშიძე ამ მხრივ, მართლაც რომ ფაქიზი ადამიანი იყო. ამხანაგებისადმი არავითარი მტრობა და შური ვასო აბაშიძეს არ ახასიათებდა. პირიქით, თუ კი ვინმე მისი ამხანაგი, ამა თუ იმ როლში გამარჯვებული გამოვიდოდა, იმის სიხარულს საზღვარ არა ჰქონდა. ვასო აბაშძე აქტიორთა წრეში დიდის სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა. ვასო აბაშიძის სახელი, ქართულ თეატრის კულისებში, სიყვარულისა და პატივისცემის სინონიმი იყო. თვით ისეთი დიდი არტისტებიც კი, როგორებიც იყვნენ ლადო მესხიშვილი, ვალ .გუნია, კოტე მესხი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი, დიდის პატივისცემით და მორიდებით ექცეოდნენ მას. ვასო აბაშიძე ნამდვილი მამა იყო ყოველი ქართველი მსახიობისა.

ერთი კარგი თვისება ჰქონდა ვასო აბაშიძეს, თუ ვინმე სცენაზე თავისი ამხანაგი არ მოეწონებოდა, ის მაშინვე პირში ეტყოდა, მაგრამ ისეთი ფორმით, რომ ამ ამხანაგს არც ეწყინებოდა. ვასო აბაშიძე გრძნობდა, როგორც ნიჭიერი არტისტი, რომ მას დიდის პატი-

ვისცემით ეპყრობოდნენ და თვითონაც ყოველთვის ცდილობდა ამხანაგებისათვის პატივი ეცა. მართლაც ამხანაგებს ვასო აბაშიძისაგან პატივისცემა არ აკლდათ!..

ვასო აბაშიძე ისეთი ადამიანი იყო, რომ ამხანაგისათვის უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა და ამხანაგს გაჭირვებაში დაეხმარებოდა. ამიტომაც ყოველთვის უფულოდ და გაჭირვებაში იყო. ვასო აბაშიძე დიდად ეხმარებოდა და ესარჩლებოდა იმდროის ახალგაზრდა მსახიობებს. თუ ვინმე ნიჭიერი ახალგაზრდა მოვიდოდა ქართულ სცენაზე, ვასო აბაშიძე ყოველთვის ყურადღებას აქცევდა და კარგ როლებსაც ათამაშებდა. ახალგაზრდა არტისტებსაც გულწრფელად უყვარდათ ვასო აბაშიძე. ის ძალიან უბრალო და გულკეთილი ადამიანი იყო.

იმდროის თეატრალური სასწავლებელი არ იყო და ჩვენ ახალგაზრდა მსახიობები თუ რაიმე ცოდნას ვიძენდით, მხოლოდ ჩვენი უფროსი ამხანაგების წყალობით. ვასო აბაშიძე, ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ხელს გვიწყობდა ამ მხრივ. ბევრი საინტერესო ჟურნალი, თუ წიგნი მოუცია ჩემთვის აბაშიძეს იმ დროს, როდესაც ასეთი რამ ჩვენთვის უცხო ხილს წარმოადგენდა და ამ მხრივ დიდ ცოდნას ვიძენდი როგორც ახალგაზრდა არტისტი.

ვასო აბაშიძე ლიტერატურულ შრომასაც ეწეოდა. სათეატრო მწიგნობრობას ვასო აბაშიძემ შემატა ნათარგმნი და საკუთარი პიესები: ორიგინალური „ცოლი თუ გინდათ ეს არის“, „ვისი ბრალია“, „ტასიკო“, ნათარგმნი: „შეშლილნი“, „ეხლანდელი სიყვარული“, „ესპანელი აზნაური“, „დანაშაული და სასჯელი“, „გაძარცული ფოსტა“, „უნდა გავიყარნეთ“, „ორი ჯიბგირი“, „ჯერ დედა“, „მოგზაური“, „მდგმური ტრომბონით“, „ყვავი ფარშევანგის ფრთით“, „სწავლული ცოლი“, „მეჯლისი იტალიელებით“, „რაინდი უშიშარი და უებრო“.

ამასთანავე ვასომ პირველმა გამოსცა და რედაქტორობდა პირველ სათეატრო ჟურნალ „თეატრს“, რომელსაც რამდენიმე წელიწადს უძღვებოდა. ვასომ პირველმა დასწერა საქართველოში და დაბეჭდა ახალგაზრდა მსახიობებისათვის სახელმძღვანელო და რჩევა-დარიგება, რომელიც მარტივად და მშვენიერის ენით იყო დაწერილი.

ვასო აბაშიძემ შეჰქმნა ქართულ სცენაზე თავისებური სკოლა და, როგორც მაღალ ნიჭიერ მსახიობს, ბევრი მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ. მისი საყვარელი როლები იყო ისაია (ხათაბალაში), აკოფა (ხანუმაში), ოსეფა (დაქცეული ოჯახში), ზიმზიმოვი (პეპოში), მაზუთიანი (ციმბირელში), შარბათოვი (ფული და ხარისხი), ზარალოვი (გაცრუებული იმედები), კარაპეტა (ძუნწი), მიკირტუმა (გაყრა), შმაგა (უდანაშაულოდ დამნაშავენი), ლიმასი (ორი ჯიბგირი), გასტონი (პარიზის ღარიბ-ღატაკნი), ხლესტაკოვი და გოროდნიჩი (რევიზორი), მელაგუბოვი (შემოსავლიანი ადგილი. ეს როლი იყო, რომელშიაც პირველად გამოვიდა ვასო ქ. ქუთაისში, როგორც სცენის-მოყვარე 1876 წელს). ორგონი (ტარტიუფში), ირონტი (სკაპენის ოინებში), საქო (მსხვერპლში), ელიზბარიანი (ნამუსისათვის).

ქართული ოპერეტებიც ქართულ სცენაზე პირველად ვასო აბაშიძის წყალობით იდგმებოდა. პირველი მსახიობი ქართულ სცენაზე ვასო აბაშიძე იყო, რომელმაც რამდენიმე ქართული ოპერეტა დადგა. ჯერ თვითონ თამაშობდა მშვენივრად მთავარ კომიკურ როლებს და მერე მისი მეუღლე შარიამ საფაროვ-აბაშიძისა, რომელსაც საუცხოო ხმა ჰქონდა და საუკეთესოდ ასრულებდა მთავარ როლებს.

მე მგონი ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ფარდას ავხდით და დავინახავთ, როგორი იყო ეს შესანიშნავი არტისტი კერძო ცხოვრებაში.

ცხოვრებაში ვასო აბაშიძე, სულ არ ახდენდა მხიარული კაცის შთაბეჭდილებას, პირიქით უფრო ხშირად მოწყენილი იყო. რაღა თქმა უნდა, ვინც მას კერძო ცხოვრებაში ხვდებოდა და მით უმეტეს პირველად უხდებოდა მისი ნახვა, უსათუოდ გაეცინებოდა ხოლმე, მაგრამ ეს უფრო სცენიდან მიღებული შთაბეჭდილების ბრალი იყო. ვასოს უფრო მოსწრებული, მკვახე სიტყვები ეხერხებოდა, რომელიც არავის არ სწყინდა. როდესაც ლადო მესხიშვილი 1920 წელს რუსეთიდან დაბრუნდა, ერთერთ სადილზე ლადომ წინადადებით მიმართა ვ. გუნიას და ვასოს, სამთავემ ამ სიბერის ჟამს სურათი გადვიღოთო. მართლაც სისრულეში მოიყვანეს ეს განზრახვა. ფოტოგრაფმა ერმაკოვმა გადაიღო მშვენიერი სურათი: ვასო შუაში იჯდა, აქეთ-იქით ლადო და ვ. გუნია უსხდნენ. როდესაც ვ. გუნიამ და ლადომ ვასოს უჩვენეს სურათი, ვასომ სურათს დახედა და სთქვა: იესო ქრისტე ორ ავაზაკ შუაო.

იმ დროს სეზონი გრძელდებოდა ოთხ-ხუთ თვეს და მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში ეძლეოდათ აქტიორებს ჯამაგირები. დანარჩენი შვიდი-რვა თვე უჯამაგიროდ იყვნენ. არც მოგზაურობა ხერხდებოდა ხოლმე, რადგან უმეტესობა მსახიობებისა სამსახურში იყო და ვერ წავიდოდნენ. ამიტომ, როგორც მოხუც მსახიობ სტეფანე ხარაზიშვილისაგან გამიგია,

ხშირად თურმე ვასო აბაშიძე წავიდოდა გაზაფხულზე ბათუმში და იქ ხარაზიშვილის დახმარებით სცენისმოყვარეებთან ერთად მართავდა წარმოდგენებს. ერთ-ერთ ასეთ მოგზაურობის დროს, ვასოს დაედო სასტუმროს ვალი, აღარ იცოდა თავი როგორ ეხსნა სასტუმროს პატრონისაგან, რომ ტფილისში წამოსულიყო.

ვასომ ფულის შენახვა და გამოზოგვა არ იცოდა. როცა ფული ჩაუვარდებოდა ხელში, ერთ დღეში ბოლო მოეღებოდა და შემდეგ იყო უფულოდ და გაჭირვებაში. ბათუმშიც ასე დამართოდა: რაც წარმოდგენიდან აეღო, სულ დაეხარჯნა და ნომრის გასასტუმრებლად ფული აღარ დარჩენოდა. მიეცა თურმე ვასო მწარე საგონებელს, ტფილისში წამოსვლა უნდა, მაგრამ ვერ მოუხერხებია; მერე თურმე სტეფანე ხარაზიშვილმა მისცა წინადადება, გზის ფულს როგორმე გიშოვნით, ვასილ ალექსეევიჩ, და რაც შეეხება თქვენს ჩემოდანს, მე გამოვაპარებო.

მართლაც ასე მოიქცნენ. ვასო წავიდა სადგურზე, აიღო ბილეთი, სტეფანე ხარაზიშვილმა გამოაპარა ჩემოდანი ნომრიდან და გასწია სადგურისაკენ. სწორედ ამ დროს, სასტუმროს პატრონი ნომრებს ათვალიერებს, შედის ვასოს ნომერში, ხედავს, ნომრის კარი ღიაა, შიგ კი არავინ არის და არც ვასოს ჩემოდანია. მაშინვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და გამოსწია სადგურისაკენ. პირველი ზარი მიცემულია, ვასო უკვე ვაგონშია და სტეფანე ხარაზიშვილს, სადგურის ბაქანზე მდგომს, ელაპარაკება. ამ დროს მოულოდნელად თავზე წაადგა სასტუმროს პატრონი და ეუბნება ვასოს: ბატონო ვასო, თქვენ როგორც გეტყობათ ტფილისს აპირებთ გამგზავრებას და ამიტომ გთხოვთ, თქვენზე რომ დანახარჯია, გამისწოროთო!..

ვასო ეკითხება სტეფანე ხარაზიშვილს, რას ამბობს ეს კაცი არ მესმისო!.. სასტუმროს პატრონი უმეორებს: თქვენზე რომ ვალია, გთხოვთ, მომცეთო!.. ვასოს ვითომ არ ესმის, თავი მოიყრუება: კაცო არ მესმის რას ამბობ, ხმამაღლა მითხარიო!.. რაც შეუძლიან სასტუმროს პატრონი ყვირის ამ სადგურზე, მაგრამ ვასო მაინც გაიძახის, არაფერი მესმისო! ასე აყვირა ვასომ სასტუმროს პატრონი, სანამ მესამე ზარი არ მისცეს და მატარებელიც დაიძრა. ასე პირში ჩალაგამოვლებული დასტოვა ვასომ სასტუმროს პატრონი. მეორე გაზაფხულზე თურმე ჩავიდა ვასო ბათუმში და კიდევ იმავე სასტუმროში გაჩერდა, დაიბარა სასტუმროს პატრონი და უთხრა: კაცო, უფულო კაცს სადგურზე რომ მომდევდი, რასა ფიქრობდიო?! საიდან უნდა გამესტუმრებინა შენი ვალი, როცა ერთი კაპეიკი არა მქონდა. აი ახლა მაქვს და მოგართმევო. და გადაუხადა ძველი ვალი. ვასოს, როცა ფული ჰქონდა, ვალების გადახდა უყვარდა!..

მსახიობებში ისე არავინ სცხოვრობდა ბოჰემური ცხოვრებით, როგორც ვასო აბაშიძე. თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე მარტო სცხოვრობდა. თავის მეუღლესთან, მარიამ საფაროვ-აბაშიძესთან, რომელიც სიყვარულით შეირთო, დაახლოვებით სამ-ოთხ წელიწადს ცხოვრობდა მხოლოდ და ეს ხანა იყო, რომელიც ვასომ ოჯახურ პირობებში გაატარა. დანარჩენი დრო, უმეტეს შემთხვევაში, სასტუმროში დაჰყო და რაღა თქმა უნდა, სულ რესტორანულ ცხოვრებას ეწეოდა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მთელი თავისი სიცოცხლე მოუსვენრად, არანორმალურად და ქეიფში გაატარა. ამიტომაც ხშირად უგუნებოდ და ნერვებაშლილი იყო, განსაკუთრებით ცუდი ხასიათი ჰქონდა, როცა ღვინოს დალევდა. ხშირად ისე იქცეოდა საზოგადოებაში, რომ მის ღირსებას და სახელს არ ეკადრებოდა.

ერთ ზაფხულს, სადილის საჭმელად ყოფილიყვნენ ვერის ბაღებში ლადო მესხიშვილი, ავ. ცაგარელი, ვ. გუნია და ვასო.

სხედან ხის ძირას და მშვენიერ დროს ატარებენ. უკრავს დუდუკი და განცხრომაში არიან. არ გასულა დიდი ხანი, ვასოს ცოტა გადაუკრავს და დაუწყია ვალ. გუნიასთან შელაპარაკება. მაგრამ ვასოს ყურადღებას არ აქცევენ, რადგან კარგად იციან მისი ხასიათი. ამაზე ვასოს უფრო ნერვები ეშლება, იწვევს ყველას სასკანდალოდ, მაგრამ ამხანაგები თავს იმაგრებენ. ბოლოს დაიწყო ბოთლებისა და ჭიქების სუფრიდან გადაყრა. ერთი სიტყვით სუფრა აირია და ყველას ნერვები აეშალა. მოთმინებიდან გამოსულმა ლადო მესხიშვილმა დაუძახა მსახურს და უბრძანა, თოკი მოეტანა. ის თურმე გაშტერდა და ალბათ იფიქრა, ამ ხალხს ქეიფის დროს თოკი რატომ დასჭირდათო. მაგრამ რას გააწყობდა, ლადოს ბრძანება აღსრულებული იქნა. თოკი მოიტანა, წამოხტნენ და მოთმინებიდან გამოსულებმა ვასო იქვე ხეზე მიაკრეს თოკით. ვასო ხეზეა მიკრული და მათ კი განაგრძეს ქეიფი. ვასო ეხვეწება თურმე, ოღონდ ამიშვით და ჭკვიანად ვიქნებიო, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევენ. ასე იყო კარგა ხანს ხეზე მიბმული. როცა ცოტათი გამოფხიზლდა, აუშვეს თოკი, მოისვეს გვერდზე და განაგრძეს ქეიფი.

რესტორანული ცხოვრების გამო ვასო ხშირად უფულოდ იყო. მსახიობების გარდა მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ: ცნობილი ფელეტონისტი, ქართული თეატრის საუკეთესო რეცენზენტი, (რუსულ გაზეთებში ათავსებდა რეცენზიებს) ლევან ყიფიანი, ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, ნიკოლოზ თარხნიშვილი და დრამატურგი აქვსენტი ცაგარელი, რომელიც ვასოს ყოველთვის არუთინას ეძახდა ხუმრობით. ესენი ვასოს სულის მეგობრები იყვნენ და თითქმის სულ ერთად დადიოდნენ. რაკი ვასო ნომერში მარტო ცხოვრობდა, ხშირად იკრიბებოდნენ ვასოსთან ნომერში და გაიმართებოდა მეგობრული ბაასი და ქეიფი.

ერთ დილას ვასოს გამოეღვიძა თავის ნომერში. ქეიფის გუნებაზეა, მაგრამ ფული ჩვეულებრივად არა აქვს. მეგობრებთან ოჯახებში სიარული, იქ პურის ჭამა და ქეიფი არ უყვარდა. თუ ვასოს ფული ჰქონდა, ან რესტორანში იყო ან და თავისთან მართავდა სადილს და იქ ჰპატიუებდა თავის მეგობრებს. ჰო და ამ დღესაც სადილის გამართვა უნდოდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა. სხვათაშორის, ვასოს კულინარობა ძალიან უყვარდა, ხშირად თავის ნომერში ნავთქურაზე მოამზადებდა ერთ თავ საჭმელს და მეგობრებს დაჰპატიუებდა.

გამოვიდა ვასო გოლოვინის (ახლა რუსთაველის) პროსპექტზე. შეხვდა ერთ-ერთ თავის მეგობარს და ეუბნება: დღეს სადილზე მეგობრები მყავს დაპატიუებული ჩემთან ნომერში და შენც მეწვიე, მაგრამ ღვინის ფული არ მაქვს და ღვინო შენ წამოიღე. მეგობარმა დიდი პატივისცემით მიიღო ვასოს დაპატიუება და უთხრა: კეთილი, ღვინო ჩემი იყოსო. არ გავიდა დიდი ხანი და ახლა მეორე მეგობარს შეხვდა და უთხრა: დღეს მშვენიერი ღვინო მივიღე ფეშკაშად, ერთი თავი კერძიც მოვამზადე სახლში, მაგრამ სამწვადისათვის ფული არა მაქვს, მეწვიე დღეს სადილად და თან სამწვადეც წამოიღეო. მეგობარი სიამოვნებით დასთანხმდა და უთხრა, რომ უსათუოდ მოვალ და სამწვადესაც წამოვიღებო. ახლა მესამე მეგობარი შეხვდა, ისიც დაპატიჟა სადილად და უთხრა, დღეს სადილად მეწვიე, სადილი კარგი მაქვს, მაგრამ საუზმისა და კონიაკისათვის ფული არა მაქვსო. მეგობარმა უპასუხა, შე დალოცვილო, მაგაზე რა გაწუხებს, თუ კი სადილი და ღვინო გაქვს, დანარჩენს მე წამოვიღებო.

მოვიდა სადილობის დროც. სტუმრები ცალ-ცალკე მოვიდნენ და თან შეპირებული სანოვაგე და ღვინო მოიტანეს. არცერთმა არ იცოდა თუ ვინ რა მოიტანა. ყოველ მოპატიჟებულ სტუმარს ეგონა, მხოლოდ მე მოვიტანე რაიმე სანოვაგე და დანარჩენი ვასოს ნაყიდიაო. როცა ცოტა გადაჰკრეს, მხოლოდ მაშინ გატყდა ვასო, რომ დაპატიუებული ამ სადილზე თქვენ კი არა — მე ვარ, თქვენ ყველანი მასპინძლები ხართ. მე კი სტუმარიო. ასეთმა საქციელმა ყველანი გაამხიარულა და სადილი რესტორანში ქეიფით გათავდა.

როცა ქართულმა დასმა 1882 წელს პირველი მოგზაურობა მოაწყო „სამშობლოთი", ამ მოგზაურობამ დიდი აღტაცება გამოიწვია და ყველგან ქართულ დასს ბანკეტებსა და ვახშმებს უმართავდნენ. ქუთაისში თურმე „სამშობლო" ზედიზედ ათჯერ დადგეს და აუარებელი ხალხი დაესწრო. ერთ-ერთ სასტუმროში, ქუთაისის საზოგადოებამ ქართულ დასს გაუმართა დიდი ვახშამი, რომელსაც დაესწრნენ პოეტი მამია გურიელი და მისი ძმა ჯაბა.

მაშინ ჩვენი მსახიობი ქალები ბაბო ავალიშვილისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა და მაკო საფაროვ-აბაშიძისა, რომელზედაც ვასომ ამ მოგზაურობაში — სწორედ ქუთაისში — დაიწერა ჯვარი, ახალგაზრდები იყვნენ და ამასთანავე სამნივე ძალიან ლამაზებიც. რაღა თქმა უნდა, ყველა იქ დამსწრე მამაკაცთა ყურადღება ამათკენ იყო მიქცეული და დიდ პატივსაც სცემდნენ. ვასომ ცოტა გადაჰკრა, დაიწყო მაკოზე ეჭვიანობა და უნდოდა, ჩვეულებრივი სკანდალი აეტეხა. მის ამხანაგებს ვასოს საქციელი არ გამოეპარათ. ყველანი იმას ფიქრობდნენ, როგორმე ვასო დაემშვიდებინათ. ჯაბა გურიელს ერთ გვერდით ვასო უზის, მეორე გვერდით ლადო. იმ დროს ხშირად, წარჩინებულ თავადიშვილებს და მით უმეტეს მთავრის შვილებს, როგორიც იყო ჯაბა გურიელი — შეიარაღებული მხლებლები ახლდნენ. ჯაბა გურიელსაც თურმე ამ ვახშამზე შეიარაღებული მხლებელი ადგა თავს, და ყოველ წუთს ჯაბა გურიელის ბრძანებას ელოდა. ლადომ შესჩივლა ჯაბას, რომ ერთ-ერთ ჩვენს ამხანაგს, ღვინოში ცუდი ჩვეულება აქვს, უსათუოდ სკანდალი უნდა ატეხოსო. ჯაბა მიხვდა, რომ ეს ამხანაგი ვასო იყო და მიუბრუნდა იქვე მდგომ თავის მხლებელს: ბიჭო, ახლა მე რომ გიბრძანო ამ სუფრაზე, ხანჯლით თავს ვერ წააცლი კაცსაო. მხლებელმა უპასუხა: შიბრძანე შენი ჭირიმე რომელიაო, და თან ხანჯალზე ხელი წაიღო. ამ ლაპარაკს ვასომ რომ ყური მოჰკრა, თურმე ისე შეშინდა, რომ მთელი ვახშმის განმავლობაში ხმა აღარ ამოუღია, ამ ახმახმა თავი არ წამაგდებინოსო.

ბიბლიოგრაფია

გ. ჯაბუშანური — „არაგვიანი“

უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში ქართულ ლიტერატურაში გამოიზარდა მთელი თაობა ახალგაზრდა მწერლებისა, რომელთაგანაც ბევრი უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

მათ რიცხვს ეკუთვნის პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური.

გასულ წელს „ფედერაციის“ მიერ გამოცემული იქნა მისი ლექსთა კრებული „არაგვიანის“ სახელწოდებით, რომლითაც გ. ჯაბუშანური მკითხველთა წინაშე წარსდგა, როგორც გარკვეული შემოქმედებითი სახის მქონე ახალგაზრდა პოეტი.

მისი ყოველი ლექსი მკითხველს ხიბლავს თავისებური მელოდიკით, ლაკონურობითა და ეპიური სიცხადით.

ხევსურეთის ახალი ყოფა, ტრადიციული ჩვევებისა და შუღლის მოსპობა მთის ხალხში, ბელადისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა, ჩვენი მესაზღვრეების გმირობა და სიმამაცე — აი ის, რასაც უმთავრესად ეხება ჯაბუშანურის პოეზია.

გ. ჯაბუშანური არ არის ვიწრო ესთეტიური ხედვის პოეტი. იგი ბრძოლისა და მოქმედებისაკენ მოუწოდებს თავის ლექსებს. პოეტს სურს, რომ მის სიტყვას „ჰქონდეს სიმტკიცე, სითბო და ეშხიც—კაცურად შეხვდეს მტერს და მოკეთეს“.

ჯაბუშანურს უყვარს საბჭოთა მესაზღვრეები, რადგან მათში ხედავს ჩვენი დიდი სამშობლოს ფხიზელ და საიმედო მცველებს.

ერთ ლექსში იგი ასე მიმართავს მათ:

„ნუ მიწყენთ, ხშირად რომ არ გახსენებთ,
რომ ვერ ავსახე თქვენი ცხოვრება,
რომ სხვა ფრონტებზე ცეცხლი გავხსენი
და ლექსებს ვგზავნი იქ მეომრებად...
რაც თავს მოვესწარ, იქიდან დღემდე
ვცან თქვენი ძალა გაუგონარი“.

საბჭოთა პატრიოტიზმის ძლიერი გრძნობით არის შთაგონებული ჯაბუშანურის ლექსი „ბალადა მესაზღვრეზე“. ავტორს რამდენიმე სტროფში შესანიშნავად აქვს მოცემული მომაკვდავი მეზღვაურის გმირული სულისკვეთება:

„ეჰ, დიდო მზეო... მარად გშვენის ეგ ამაღლება,
რა იქნებოდა ჩემთვის ჯარი რომ გეთავაზნა...
მერე ჯანდაბას — არ მენაღვლება...
საზღვარს გადმოდის თეთრი ნისლი ტანათქვირული.
ნისლს უტევს ქარი, შვენით შეხლა მამაც მეომრებს.
უცებ თოფის ხმა!.. ერთი... მეორე...
და შეძახილი გულგანგმირულის“.

აქ პოეტური ლაპიდარობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ამგვარად სიტყვის ეკონომიის ხარჯზე ჯაბუშანური ძლიერ ეფექტს იძლევა. ძირითადი ხაზი ჯაბუშანურის პოეზიისა ლირიკულ-ეპიური გზით მიიმართება. პოეტს ემარჯვება მოკლე და გამართული სუჟეტების მოცემა („ცხენი“, „ლურჯა“, „ქისტის ქალი“, „სამნი“ და სხვა). დინჯი თხრობა ხში-

რად მძაფრ ლირიზმში გადადის. ამბავს ლექსის ფორმაში ოსტატურად აყალიბებს. საყურადღებოა ამ მხრივ მისი „შეხვედრა“. ნადირობის დროს ანაზდეულად ხვდებიან ერთმანეთს ქისტი და ხევსური. მათში ინსტიქტურად იჩენს თავს საუკუნოებრივი შუღლი და მზად არიან სამკვდროსასიცოცხლოდ შეეჯახონ ერთმანეთს.

„თურმე ამგვარ ზნეს ქმნის იმთავითვე
ასეულ წლობით ნაზარდი მტრობა,
წუთით ძმობის ფიცს გადაგავიწყებს
და მოგანდომებს კვლავ სისხლით თრობას“.

მაგრამ მათ შორის უცებ ჩადგება ბელადის სახე და ორივენი უმალვე იმსჭვალებიან სტალინური მეგობრობის გრძნობით:

„ორივეს გულზე ნათლად ელავდა
სტალინის სახე ჩვეული გზნებით.
ჩვენ შორის ასე ჩადგა ბელადი
და მეგობრობის გაგვიხსნა გზები“.

ეს იდეა ახალი არ არის ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ავტორს მაინც პოეტური ორიგინალობითა და დიდი ემოციურობით მოუხერხებია მისი გადმოცემა. ლექსის ვაუკაცური რიტმი, მოხდენილი გამეორება („შესდექით! რეკდა ავჯა მთებისა“) იშვიათ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

სისადავე და უბრალოება ახასიათებს ჯაბუშანურის ლექსების უმეტესობას. მდიდარი რითმები ძალდაუტანებლად მოსდევენ სიტყვას, აზრი შეუბორკავად ვლინდება ლექსში. ასეთი ბუნებრივობითაა დაწერილი „თმაშეღერცხლილი დეპუტატი“:

„წარსულში სხვებმა შენი სვე მართეს,
დაბადებითვე ხმა ჩამოგერთვა.
იკითხე: „რისთვის?“ და განგიმარტეს:
„ასე შეგქმნაო ამ ქვეყნად ღმერთმა“.
გძარცვავდნენ, გცემდნენ, შავი დღე გადგა
და გაჯერებდნენ „ენდე საწუთროს“.

ლექსის ეს ნაწყვეტი გამოხატავს იმ უუფლებობას, რომელსაც განიცდიდა რევოლუციამდე მძიმე უღელქვეშ ქედმოხრილი ხალხი. „ენდე საწუთროს“ — ეს იყო „ნუგეში“ უუფლებო ხალხისა წარსულში.

დღეს ხალხს მოპოვებული აქვს ხმა და უფლება. სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ იგი ანხორციელებს თავის ნება-სურვილებს, ხალხი თვითვე გახდა თავისი ბედის მჭედელი. აი აზრი, რომელიც პოეტს ჰაღარა დეპუტატის სახით აქვს მოცემული პირდაპირ და გულწრფელად. ლექსში არ იგრძნობა არც ყალბი ტონი და არც რიტორიული — დეკლამაციური კილო ანუ „ბუკისა და ნაღარის ხმა“.

ჯაბუშანური ლექსში პოეტური საღებავების ზომიერად და მოხდენილი გამოყენებით საკმაო ოსტატობას აღწევს. აღსანიშნავია ამ მხრივ „მწყემსი ქალის თქმა ბელადზე“, „ელნათურები ხევსურის ქოხში“, „თავთავების საუბარი“ და სხვა. ეს ლექსები ლირიკული აზროვნების ნიმუშებს წარმოადგენენ. კერძოდ პირველ ლექსში კარგადაა გადმოცემული მწყემსი ქალის ფიქრები ბელადზე:

„მზე ჯერ არ სჩანს სანუკვარი,
ჩემს ფარეხში ბუუტავს კვარი.
ზღუდავს ნახირს ძილწანაღებს,
ღამეა და აღარც არი,
წელან ვნახე სხივთა ღვარით, —
შენი სახე მოღიმარი —
შუქს აფრქვევდა იალაღებს.
ეჰ, ვინ იცის სხვამ რამდენმა
შენზე ფიქრით გაათენა, —
ეგ მზიური აზრთა დენა
უნათებდა ღამით ხედვას“.

შეგვეძლო სხვა ლექსებიდანაც მოგვეყვანა ნაწყვეტები, მაგრამ ეს ადგილიც ნათლად ლაპარაკობს პოეტის მხატვრულ უნარზე.

ჯაბუშანურის ლექსებში ადგილი აქვს სუსტ და დაუმუშავებელ სტრიქონებსაც. უკეთ—ისეთ სტრიქონებს, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება უნაკლოდაც გვეჩვენოს, მაგრამ ისინი მაინც მოკლებულნი არიან პოეტური თქმის ძალას.

მაგ., ლექსში „საზღვარზე“ ვკითხულობთ:

„ცოტა ხნის შემდეგ ამ ბილიკს
კაცი დაადგა ერთი.
ჩონჩხს გავდა იგი ნამდვილად
ძრის ჩავარდნილი მკერდით,
დაჯდა ატირდა ამ დილით
ხშირი ცრემლების ღვენთით.
საბჭოეთს შემომზეროდა
გულში იცემდა მჯიღით“...

ცოტა უფრო ქვემოდ:

„ისევ სტიროდა გაღმელი
თვალ ცრემლში ჩაეწვინა,
ამ დროს მოვარდა რაზმელი,
ხიშტით გაიგდო წინა“.

ასე პროზაულად გვიხატავს ავტორი ადამიანის ჩაგვრის სურათს მოსაზღვრე მხარეში. შეუფერებელია ლექსის წყობა და მეტრი. ზოგ ალაგას დაშორებული რითმები ძნელად აღწევენ მკითხველის ყურამდე. შეუფერებელია აგრეთვე ენაც: „მჯიღით“, „თვალ ცრემლში ჩაეწვინა“—სახამუშოა. უფრო ძლიერია ლექსის ბოლო სტროფები, სადაც ნაჩვენებია გათავისუფლებული ხალხის სიხარული. ჯაბუშანური ხშირად ღრმად ემორჩილება სიტყვის სტიქიას. მის ლექსებში გამოერევა ხოლმე ბუნდოვანი და უხერხული თქმები: მაგ., „თვალები ბინდით გადამეხრამნენ“, „მწვერვალს წვერი არ მოეკლება“, „როდესაც მნათობი შუა ცას დალახავს“, „და თესლს მცენარეთს მქისე ქართა ბერვა“, „დაწყდა სიბნელის ყველა ძაფები“ და სხვა.

აღნიშნულ თვისებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ჯაბუშანური ხანდახან ხმარობს ერთნაირ გაცვეთილ მეტაფორებსა და შედარებებს.

ჯაბუშანურმა უფრო ღრმად და მრავალფეროვნად უნდა ასახოს განახლებული მთა, მეტი სისრულითა და მხატვრული სიძლიერით უნდა დაგვანახოს მთის ახალი ადამიანები და მათი განცდები. ლექსების პირველი წიგნით მან მკაფიოდ გამოაჩინა თავისი შემოქმედებითი ძალა. ეს უფლება გვაძლევს გულახდილად მივუთითოთ ნაკლზედაც და მეტი მოთხოვნილება წავუყენოთ მას.

ვანო ხალიფაშვილი.

კლიმენტი გოგიავა — „ვლადიმერ ნანეიშვილი“

ჩვენს ქვეყანაში გმირობა და სიმამაცე გადაიქცა ყველა მშრომელის სასახელო საქმედ და წერა ამ ადამიანების შესახებ ყველა საბჭოთა მწერლის საპატიო საქმეს წარმოადგენს.

კლიმენტი გოგიავას წიგნში მხატვრულად მოთხრობილია თეთრფინელებთან მებრძოლ, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ნანეიშვილის საგმირო და სასახელო საქმეები, რომელიც დავიწყებას არასოდეს არ მიეცემიან და თაობიდან თაობაზე გადავლენ, როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი ეპიზოდი ჩვენი ხალხის ბრძოლებისა და გამარჯვებებისა.

ვლადიმერ ნანეიშვილის საგმირო საქმეებს დღეს იცნობს მთელი მსოფლიო, მოხუცი და ახალგაზრდა, ბერები და მოყვარე და ფინელი ოფიცრებისა და მფრინავებისათვის ხომ თავზარდამცემი იყო ნანეიშვილის ესკადრილიის ბრძოლის არენაზე გამოჩენა.

თეთრფინელების ვერავითარმა ვერაგულმა ხერხმა ვერ გასჭრა, რომელსაც ისინი მიმართავდნენ საბჭოთა ჯარისა და ავიაციის წინააღმდეგ. საბჭოთა გმირები ბრძოლის ლეგენდარულ საქმეეს ჩადიოდნენ და პატრიოტული იდეებით გამსჭვალულნი, საშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებულნი წინ მიიწევდნენ და მტრებს ჰმუსრავდნენ.

რამდენჯერმე იდგა ნანეიშვილი სიკვდილის პირისპირ, როდესაც მის საჰაერო ბრიგადას მტერი, როგორც ჰაერიდან, ისე მიწიდან ტყეიას სეტყვასავით აყრიდა, მაგრამ მას არ აშინებდა მტერთან პირისპირ შეხვედრა, იგი გამარჯვების რწმენით აღსავსე დანავარდობდა ფინეთის ყინულოვან სივრცეზე.

აი, ასე წარმოგვიდგება ვლადიმერ ნანეიშვილის პორტრეტი და გმირობა, როდესაც ვეცნობით კლიმენტი გოგიავას წიგნს.

მასში მშვენიერი მხატვრული ენით აღწერილია ნანეიშვილის საზღაპრო საქმეები თეთრფინელებთან ბრძოლის ფრონტზე. ავტორი აღწერს იმას, თუ როგორ მოიპოვა ნანეიშვილმა გამარჯვება და გმირის სახელი.

თავის სამშობლოში არა მარტო ვლადიმერ ნანეიშვილი დაბრუნდა ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებით დაჯილდოებული, არამედ მთელი მისი ბრიგადა ხუთმეტი კაცის შემადგენლობით, რომელნიც ნანეიშვილთან ერთად იბრძოდნენ ფინეთის ფრონტზე. აი, სასახელო სახელები: ვლადიმერ სმირნოვი, მიხეილ ეარავკოვი, იური გარბკო, ივანე ვლასოვი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! მათ ჩვენს ისტორიაში მრავალი გმირული ფურცლები ჩასწერეს. ვმირმა აღზარდა და გამოწრთვნა გმირები, მან შეასწავლა საფრენოსნო ოსტატობა და მტერთან ოსტატური და მოხერხებული ბრძოლა.

ასე იზრდებიან და ფოლადდებიან მილიონი მებრძოლები, კარგი ხელმძღვანელის გულისხმიერ დამოკიდებულობით.

წიგნში გარდა ნანეიშვილისა და მისი თანამებრძოლების გმირობისა აღწერილია გულშემზარავი სურათი, თუ როგორ მიერეკებოდნენ მშრომელ ხალხს ქალაქიდან თეთრფინელები. ისინი ავრცელებდნენ საბჭოთა კავშირის შესახებ ათასგვარ ჭორებს, მაგრამ მტრების ამ ნაცადმა და ჩვენთვის უკვე ცნობილმა ხერხებმა ვერ გასჭრეს და საბჭოთა გმირების რკინის მარჯვენამ საბოლოოდ დაამსხვრია თეთრფინელების კონტრრევოლუციური ბუდეები.

ნანეიშვილი გამარჯვებული დაბრუნდა თავის სამშობლო საქართველოში და ჩვენი მშრომელები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით მიეგებნენ მას, როგორც სამშობლოს ერთგულ დამცველს.

კარგი იქნებოდა წიგნში მხატვრულად დასურათებული ყოფილიყო ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდები, როგორც ასეთი სახის რუსულ გამოცემებშია.

ალ. სიგუა

1941 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები

წლიურად	24 მან.
ნახევარი წლით . . .	12 „
ცალკე ნომერი . . .	2 „

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი

ფასი 4 მან.

ტ. 553
1941

Ежемесячный журнал

„ЧВЕНИ ТАОБА“

Сахелгами 1941 г. Тбилиси